# ახალი ეკონომისტი

ISSN 1512 - 4649

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№3-4, 2014 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

**ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირდება:**

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

**აღიარებულია რეფერირებულად:**

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ.ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: economist_n@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

**The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) IS REVIEWED:**

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Iinstitute of Techinform

**IS KNOWN AS REVIEW BY:**

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade.

**ADDRES:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: economist_n@yahoo.com
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3-4(34-35), 2014



ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი; საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე; სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაგვილავა; რევაზ ლორთქიფანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ქაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია (თბილისის მერი); თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს მთავარი რედაქტორი); გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეთიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ომარ შუდრა; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია (ჟურნალ ,,საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი.

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2014წ.
© გამომცემლობა „ლოი“



ფასი 5 ლარი

# The New ECONOMIST

**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №3-4(34-35), 2014**

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doctor of Busines Administration, Assosiated Professor,
Academician, Member of the Presidium
of the Georgian Academy of Business Sciences.
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

**EDITORIAL BOARD**

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; REVAZ LORDKIPANIDZE (Deputy of Editor-in-Chief); QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA (Corresponding-member of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia"); MICHAEL JIBUTI.

## მთავარი გვერდი

2015 წლის საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა . . . . . . . . . . 5

## ინტერვიუ

ინტერვიუ თბილისის მერთან, ბატონ დავით ნარმანიასთან . . . . . . . . . . 9

ინტერვიუ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარესთან ბატონ გიორგი ბარაბაძესთან. . . . 13

ეკო-დაიჯესტი . . . . . . . . . . 17

## მეცნიერება

სლავა ფეტელავა, შალვა ბოგიაშვილი - ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ასპექტები . . . . . . . . . . 19

სოლომონ პავლიაშვილი, დავით ბუზალაძე – ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში . . . . . . . . . . 25

რევაზ ლორთქიფანიძე - სიახლე საერთაშორისო კონკურენციის გაგებაში – რაციონალური კონკურენცია და მისი აუცილებლობა . . . . . . . . . . 29

ნასყიდა დარბუაშვილი - მონეტარიზმი: ეკონომიკური მოდელი, რომელიც ანგრევს ქვეყნების ეკონომიკას! . . . . . . . . . . 33

ლოიდ ქარჩავა - ისევ საინვესტიციო გარემოს შესახებ საქართველოში ანუ როგორი ინვესტორი გვჭირდება? . . . . . . . . . . 45

შოთა ვეშაპიძე - ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღირებულებები . . . . . . . . . . 50

ციალა გიორგაძე, რევაზ ლორთქიფანიძე - ცხოვრების ინტელექტუალიზაციისა და ხარისხისათვის .. . . . . . . . . . . 57

კახა კობერიძე – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში . . . . . . . . . . 62

IRINE CHIKHLADZE - Die Stärkung der Oppositionsrechte in Zeiten der Großen Koalition (am Beispiel des Untersuchungsausschussrechtes) . . . . . . . . . . 66

АНДРЕЙ ИЛЬИН - ЛУЧЕВАЯ ДИАГНОСТИКА ИЗМЕНЕНИЙ ВОЗДУХОНАПОЛНЕННОСТИ ЛЕГКИХ У БОЛЬНЫХ БРОНХИАЛЬНОЙ АСТМОЙ . . . . . . . . . . 76

## მართვის ახალგაზრდული სკოლა

ნანა ლომიძე – ბიზნესმენი . . . . . . . . . . 83

БУХАЛЬЦЕВА ВИКТОРИЯ, ЛОМИДЗЕ НАНА - eHOMO : новый человек ближайшего будущего . . . . . . . . . . 85

ახალი წიგნი . . . . . . . . . . 87

მილოცვა . . . . . . . . . . 88

MAIN PAGE - CHRISTMAS EPISTLE . . . . . 5

**INTERVIEW**

Interview with the Mayor of the Tbilisi, with Mr. DAVID NARMANIA . . . . . 9

Interview with the Chairman of the Georgian Competition Agency, with Mr. GIORGI BARABADZE . . . . . 13

**ECO-DIGEST** . . . . . 17

**SCIENCE**

**Slava Fetelava, Shalva Gogiashvili** - Antimonopoly and Industry Regulation . . . . . 19

**Solomon Pavliashvili, David Gubeladze** - Perspectives of developing organic agriculture in Georgia . . . . . 25

**Revaz Lordkipanidze -** News in understanding of International Competition – Rational Competition and its necessity . . . . . 29

**Naskida Darbuashvili -** Monetarism: the economic model that is destroying the country . . . . . 33

**Loid Karchava -** Again about the investment environment in Georgia . . . . . 45

**Shota Veshapidze** - Ilia Chavchavadze and European Values . . . . . 50

**Tsiala Giorgadze, Revaz Lordkipanidze** - For Intellectualization and Quality of Life . . . . . 57

**Kakha Koberidze -** Jury court system in Georgia . . . . . 62

**Irine Chikhladze** - Die Stärkung der Oppositionsrechte in Zeiten der Großen Koalition (am Beispiel des Untersu chungsausschussrechtes) . . . . . 66

**Andrey V. Il'in -** Radio diagnosis of changes of air filled in lungs in patents with bronchial asthma . . . . . 76

**THE YIUTH SCHOOL OF MANAGEMENT** . . . . . 83

**NEW BOOK** . . . . . 87

**CONGRATULATION** . . . . . 88



# 2015 წლის საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა

"ქრისტეს მიერ საყვარელო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, უდიებო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო..., ყოველნო შვილნო საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხაროდეთ!

„მოხედნა ღმერთმა და ყო ხსნა "სიტყვაი იგი ხორციელ იქმნა ერისა თვსისა" (ლკ.I,67). და დაემკვიდრა ჩუენ შორის" (ინ.I,14).

დამთავრდა ძველი აღთქმის ჟამი და აღსრულდა წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყები: ბეთლემის გამოქვაბულში ხორცშესხმული მოგვევლინა საუკუნეთა უწინარესი ღმერთი,- ყრმა იესო.

ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობს ღვთისმშობელი, რადგან დღეს ნეტარების საუფლოდან განდევნილი ადამის მოდგმა განღმრთობას იწყებს და ჩვენი დაცემული ბუნება სამეუფო ღირსებით იმოსება.

წმიდა ქალწულმა მარიამმა, "ძველის თანანადების გამომსყიდველმან და მთელი ქმნილებისათვის ცხონების მშობელმან, გახსნა პირველ ევას მიერ შეკრული კვანძი და სამყაროს მარადიული სიცოცხლის სათავედ და ახალ დედად მოევლინა" (წმ. ირინეოს ლიონელი). სწორედ მისი სახით დაიწყო ქრისტიანული ერა რომელმაც მანამდე არნახულ სიმაღლეებს აზიარა ადამიანი.

ქრისტიანულ სწავლებაში სხვა დატვირთვა შეიძინა ოჯახურმა ურთიერთობამაც: "ცოლი როდია თავისი სხეულის უფალი, - არამედ ქმარი; არცა ქმარია თავისი სხეულის უფალი - არამედ ცოლი" (I კორინთ.7.4), – გვასწავლის მოციქული და დასძენს:

"ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არის ქრისტესა, ეგრეთცა ცოლნი-თასთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესია და თავი თავისი მისცა მისთვის" (ეფ. 5.24-25).

ქმარი არის ოჯახის თავი, რადგან მას ღვთისგან დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა, საჭიროებისამებრ ყოველთვის დაიცვას ცოლი და შვილები, იყოს ერთგული წინამძღოლი და მასაზრდოებელი;

ქალსაც არანაკლები დანიშნულება აქვს. მისი მთავარი ფუნქციაა შვილთა ყოლა, მათი აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა, რაც მის საზოგადოებრივ აქტიურობას არ გამორიცხავს.

როდესაც მეფე-დედოფალი ჯვარს იწერს, ისინი მღვდელთან ერთად სამჯერ გარშემო უვლიან ანალოღიას, რომელზეც სახარებაა დაბრძანებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან მთელი ცხოვრება ერთმანეთს და ღმერთს დაუკავშირონ.

ქრისტიანული ოჯახი ეფუძნება მღვდელმოქმედებით მადლს, რაც ქორწინების საიდუმლოს გულისხმობს; აქ ხდება ეგოისტური "მეს"-გან სრული დაცლა, რადგან ერთი პიროვნება მთლიანად უძღვნის თავს მეორეს. ისინი სიყვარულით ერთიანდებიან ქრისტეში, რათა ერთად იზრუნონ ცხონებისათვის და მეუღლეობის საკვრელით დაკავშირებულნი წარდგნენ ყოველთა მეუფის წინაშე.

დიდი ბედნიერებაა ოჯახის შექმნა სიყვარულით, მაგრამ მთავარია ამ მადლის შენარჩუნება და გამრავლება.

როდესაც ადამიანი შეყვარებულია, იგი მისთვის სასურველ პიროვნებაში ხედავს ისეთ თვისებებს, რასაც შესაძლოა სხვები ვერ ამჩნევდნენ. ამ დროს ხდება მეორე ადამიანში დაფარული შინაგანი მშვენიერების აღმოჩენა.

"რა კარგი უნდა იყოს ერთი იმედით, მსახურებითა და რწმენით ორი გულის შეერთება, - წერს ტერტულიანე. ჭეშმარიტად, ისინი ორნი არიან ერთ სხეულად განმთლიანებულნი, ხოლო სადაც ერთი სხეულია, იქ ერთსულოვნებაა. ისინი ერთად ლოცულობენ, ერთად იდრეკენ მუხლს, ერთად მარხულობენ, ერთმანეთს ამხნევებენ. თანასწორნი არიან ღმერთის წინაშე. თანაბრად ინაწილებენ დევნასა და ნუგეშს, არაფერს უმალავენ და არც ამძიმებენ ერთმანეთს..., ხედავს რა მათ ერთობას, უფალი ხარობს, სახლს მშვიდობას მოჰფენს და მკვიდრობს მათთან ერთად".

ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში შემდგომი ეტაპი არის შვილიერება. ბავშვების დაბადება და მათზე მზრუნველობა სრულყოფის კიბეზე ამაღლების ახალი შესაძლებლობაა, რადგან მეუღლეთა ურთიერთსიყვარული, ამ შემთხვევაში, გრძნობის ხელახალ გადანაწილებას ითხოვს; ადამიანი კიდევ უფრო მეტად ემიჯნება ეგოისტურ „მეს" და კიდევ უფრო მეტად ფართოვდება მსახურების არეალი, რაც ღვთის სათნო ცხოვრებას განამტკიცებს.

როგორი სიფაქიზით გვწრთვნის უფალი! როგორ ნელ-ნელა და თანდათანობით ავყავართ მას უმაღლესი სიყვარულის საფეხურებზე, ყველა პირობას გვიქმნის, რომ ჩვენი დაცემული მდგომარეობისაგან გვიხსნას და მარადიული ნეტარებისთვის მოგვამზადოს.

ასეთი ოჯახი, ასეთი ერთობა ქალისა და კაცისა, სიმბოლურად "მცირე ეკლესიად" იწოდება, რომლის სიმტკიცეც დაურღვეველია.

თუმცა ფაქტია, რომ ჩვენს ყოფაში უფრო ხშირად გვხვდება ისეთი ოჯახები სადაც უგულებელყოფილია პასუხისმგებლობა და მოვალეობები; ისინი მოკლებულნი არიან ღვთის მადლს და უსიხარულოდ ცხოვრობენ ან, საერთოდაც, ირღვევიან;

უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს ბევრი ადამიანის ცხოვრების წესი ოჯახური სიწმინდის წინააღმდეგ არის მიმართული. ბოლო პერიოდში კი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, რაც ქორწინებისთვის ახალგაზრდების მოუმზადებლობით არის განპირობებული.

განვიხილოთ რამდენიმე გარემოება:

1. ქორწინებაში მყოფთ ხშირად მხოლოდ გატაცება აკავშირებთ და თანაცხოვრების პირობებშიც ვერ აღწევენ იმ სიყვარულს, იმ ერთგულებასა და თავგანწირვას, რისთვისაც არიან მოწოდებულნი, ამიტომაც მალევე კარგავენ ერთმანეთისადმი ინტერესს და სცილდებიან.

2. ახლადშეუღლებულნი, მართალია, სიყვარულით ქმნიან ოჯახს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რას ნიშნავს მეუღლეობა, რამდენად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ და რას მოითხოვს იგი თითოეული მათგანისგან; ისინი ადვილად კარგავენ იმ განწყობას, რაც ერთად მყოფობის პირველ პერიოდში ჰქონდათ; იწყება იმედგაცრუება, ერთმანეთში მრავალი ნაკლოვანების აღმოჩენა და დაუთმენლობა. გაღიზიანება იმ მდგომარეობამდეც მიდის, რომ ერთ დროს სანუკვარი ადამიანი, უკვე აუტანელი ხდება.

3. მეუღლეთაგან ერთი იჩენს ერთგულებასა და თავდადებულ სიყვარულს, მაგრამ მეორე ამ გრძნობებს სათანადოდ არ აფასებს და მხოლოდ თავისი ვიწრო ეგოისტური სურვილების ტყვეობაშია.

საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ და მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ ადამიანში სხვისი ფლობის სურვილი და მომხმარებლური სული გააძლიერა. დღეს უკვე ამგვარი მიდგომა შეეხო ოჯახის წევრებსაც და ეგოისტური მიზნებით თვით მათი გამოყენების მცდელობები გააჩინა. ასეთი დამოკიდებულება ოჯახურ ყოფას გაუსაძლისს ხდის.

4. ხდება ისეც, რომ მშობლები ზოგჯერ უხეშად ერევიან წყვილის ცხოვრებაში. მათ უჭირთ შვილთან ერთგვარი განშორება და ძველებური ურთიერთობის შეცვლა; ისინი კრიტიკულად აღიქვამენ ახალ ვითარებას და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ხელის შემწყობნი ხდებიან ოჯახის დანგრევისა.

რა თქმა უნდა, მშობლების პატივისცემა და სიყვარული ბუნებრივიც არის და სავალდებულოც ყველასთვის; ასევე ბუნებრივია ახლობლების, მეგობრების, ნათესავების ... სიყვარული, მაგრამ ცოლ-ქმრულ ყოფა სრულიად განსხვავებულია; ამისთვის ბრძანებს წმინდა წერილი: „მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას შეუერთდება თავის ცოლს, რათა იყვნენ ორნივე ერთ ხორც" (ეფ. 5.31). ეს საიდუმლო დიდია და მისი დარღვევა - აკრძალული.

5. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ირღვევა ოჯახი არის ნარკომანია (ასევე ალკოჰოლიანი სასმელების ზედმეტად გამოყენება) და ბოროტი ძალების გავლენით ადამიანებზე ზემოქმედება. ორივე მდგომარეობაში პიროვნებას წართმეული აქვს თავისუფალი ნება, ოღონდ პირველ შემთხვევაში, ადამიანი ვერ უძლებს საცდურს და მასზე მიჯაჭვულობის გამო, ფაქტიურად, ნებაყოფლობით ამბობს უარს თავისუფალ ნებაზე, მეორე შემთხვევაში კი, გაუცნობიერებლად ექცევა სხვისი გავ-

ლენის ქვეშ.

არადა თავისუფალი ნება ღვთისგან ჩვენთვის მონიჭებული დიდი საბოძვარია. უფალმა არ შეურაცხყო პიროვნების ღირსება, არ აქცია იგი მისი სურვილის უბრალო აღმსრულებლად, არამედ მისცა უფლება არჩევანისა.

ამიტომაც ეს ცოდვები ღვთის გმობად სახელიდება და მათგან განთავისუფლება მხოლოდ ლოცვით, მარხვით და ეკლესიური ცხოვრებით შეიძლება.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. დღეს ისეთი ყოფა მკვიდრდება, რომელშიც ყველა ეძებს თავისას და არა იმას, რაც სათნოა ქრისტესთვის (ფილ. 2,4).

სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადაბრალება, - ჩვეულებად, გულგრილობა, - წესად, უზნეობა და თავაშვებულობა, – მისაბაძად; ცილისწამება და ძალადობა,- ყოველდღიურ მოვლენად; ანუ ღვთის შიშის გარეშე მცხოვრებთათვის ცოდვითი ყოფა ნორმა ხდება. მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება.

აგრესია განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებში და მამაკაცების გარკვეულ ნაწილში; განსაკუთრებით მათში, რომელნიც უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩნენ და ოჯახის მარჩენალისა და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს ტვირთი დაემატა ქალს, რამაც მისი მდგომარეობა, კიდევ უფრო დაამძიმა და ცოლსა და ქმარს შორის ფუნქციური ბალანსი სრულად დაარღვია. ეს კი იწვევს ორივე მხარის დაძაბულობასა და გაღიზიანებას. რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალების სიცოცხლის ხელყოფით მთავრდება.

მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორება სამუშაო ადგილების შექმნასა და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია. თუ ეს განხორციელდა, დიდად შეეწყობა ხელი ოჯახში სხვა სახის ძალადობის აღმოფხვრასაც და ცხოვრების, ასე თუ ისე, ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას.

ვფიქრობთ, ეს სერიოზულ გავლენას იქონიებს თვითმკვლელთა რიცხვის შემცირებაზეც. ადამიანები, განსაკუთრებით ურწმუნონი, თუნდაც, რომ ფიზიკურად ძლიერნი იყვნენ, კრიტიკულ სიტუაციებში უსუსურნი ხდებიან, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობიან და რესურსი სიმტკიცისა მალე ეწურებათ.

ავადმყოფობით, უსახსრობით, უბინაობით, ვალებით ... გამწარებულებს ჰგონიათ, რომ თავის მოკვლით პრობლემებისგან განთავისუფლდებიან; სინამდვილეში კი ამ ქმედებით ისინი მარადიული ტანჯვისა და სიკვდილის იმ კარს აღებენ, სადაც მათ ვეღარავინ უშველის (გამონაკლისს, სულით ავადმყოფები წარმოადგენენ).

ჩვენთვის ბოძებული მიწიერი ცხოვრებით უფალმა შესაძლებლობა მოგვცა მარადიულ ნეტარებაში დავმკვიდრდეთ. ვინც ამ შემოთავაზებაზე უარს ამბობს, საკუთარი თავის მიმართ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი ხდება და თავისი ნებით ჯოჯოხეთის სკნელში აღმოჩნდება. ეს იმდენად დიდი დანაშაულია, რომ მათთვის ლოცვაც აკრძალულია.

ღმერთმა ყველა დაიფაროს თვითმკვლელობისგან!

გასულ წელს მსჯელობის საგანი იყო ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობა; თუმცა, მხოლოდ ამ თემით შემოფარგვლა საკმარისი არ არის. სამწუხაროა, რომ არ იმართება დისკუსიები და არ იგმობა თუნდაც იგივე თვითმკვლელობა და სხვა უმძიმესი ცოდვები, არ იგმობა აბორტიც, რომელიც ძალადობის ყველაზე საშინელი და საზარელი სახეა.

დედა, რომელმაც შვილის მკვლელობის ეს დანაშაული ჩაიდინა და ექიმებიც, არ შეიძლება არ გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას; არ შეიძლება არ გრძნობდნენ დაღვრილი უმანკო სისხლის ძახილს. ამ დანაშაულის გამოსყიდვა მხოლოდ გულმხურვალე სინანულითა და ქველი საქმეებით შეიძლება და კიდევ იმით, რომ ეს ადამიანები გახდნენ ერთგვარი მქადაგებელნი და დაარწმუნონ თავისი ახლობლები და ნაცნობები, რომ მათ მაინც მსგავსი რამ არ ჩაიდინონ და ამით სხვა ჩვილების სიცოცხლე გადაარჩინონ.

საერთოდაც, ყველა უნდა ვეცადოთ, სიტყვით მაინც დავეხმაროთ ერთმანეთს, მივცეთ იმედი მრავალი პრობლემით დამძიმებულ ჩვენს შვილებს, დებსა და ძმებს და ხსნის რაიმე გზა შევთავაზოთ.

ამდენი ტანჯვისა და ტკივილის, თავსმოხვეული „ახალი აზროვნებისა"" და ყოველდღიური მოულოდნელობების ფონზე ოჯახები საქართველოში მაინც დგას ზნეობის სადარაჯოზე; ეს სასწაულია, რაც, პირველ რიგში, ქართველი ქალის, - დედის დამსახურებაა. ქალის როლი ყოველთვის განსაკუთრებული იყო და არის ჩვენს ისტორიაში.

წმინდა ილია მართალი წერს:

„ქართველებისთვის „დედა" მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას" ეძახის, უფროს ქალაქს,-„დედა-ქალაქს," – მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას,- „დედა-ბოძს," უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს, „დედა-ბურჯს, სამთავრო აზრს, - „დედა-აზრს," გუთნის განმგებელი მამაკაცს კი - „გუთნის-დედას".

რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დე-

დისა! "

ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი გახდა. ღვთის საიდუმლო განგებულებით, კვართი უფლისა საქართველოში ჩამობრძანდა და მცხეთაში დაიფლა. მისი აქ დაკრძალვა არ ნიშნავს მხოლოდ ამ ლოკალური ადგილის მონიშვნას; სასწაულთმოქმედი უკერველი კვართი მაცხოვრისა მთელმა საქართველომ შეიმოსა, ხოლო ყოვლადწმინდა მარიამს, ამავე საიდუმლო განგებულებით, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მფარველობა დაევალა.

ჩვენი მეოხია იგი, რომელიც დამხსნელია ადამის წყევისა, აღმასრულებელი ევას თანანადებისა, წმინდა შესაწირია აბელისა, სამკაულია სეითისა, სათნოყოფაა ენუქისა, კიდობანია პირმეტყველი ნოესი, დიდებაა მელქისედეკის მეფობისა და მღვდელობისა, რომელიც სიმტკიცეა აბრაამის სარწმუნოებისა, ზეცად მიწევნული კიბეა იაკობისი, ღვთივწერილი წიგნია მოსესი, კვერთხია იგი განედლებული და აღყვავებული აარონისი, ძლევაი ისუ ნავესი, გზაა მშვენიერი ელიას ამაღლებისა, მრჩობლი კურთხევაა ელისეს ხალენისა, წინასწარმეტყველთა ქადაგებაა და სიტყვათა მათთა აღსრულება.

აი, ამ საოცარი ქალწულის მიერ ჩვენს განსანათლებლად და გადასარჩენად წარმოგზავნილი ანდრია მოციქულის, წმინდა ნინოსა და სხვა წმინდანთა მადლით საქართველომ, ხალხის დიდი მსხვერპლშეწირვისა და ძალისხმევის ფასად, საუკუნეთა მანძილზე გაუძლო ყოველი მხრიდან შემოსეულ მომხდურს; დღეს კი კიდევ უფრო დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ.

ყველამ, – ერმაც და ბერმაც, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, საკუთარი ოჯახიცა და თავიც, პირველ რიგში, ჩვენი ცხოვრება უნდა გამოვასწოროთ; ჩვენში და ჩვენს შორის დაბუდებული ცოდვა და მისი შედეგი, – სიკვდილი უნდა დავძლიოთ და სიკეთისა და სიცოცხლის გამარჯვება ვიზეიმოთ.

მაცხოვრის შობის ამ ბრწყინვალე დღეს ზეცა ივსება ანგელოზთა საგალობლით: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება." ბეთლემელი მწყემსებიც და ქალდეველნი მოგვნიც კვლავ მიიჩქარიან, რათა თაყვანი სცენ ყრმა იესოს და ყოვლადწმნიდა ქალწულს.

ჩვენც მოვიყაროთ მუხლნი გულისა ჩვენისანი წინაშე უფლისა და დედაღვთისმშობელს შევთხოვოთ,განგვიღოს მოწყალებისა კარი,რათა მადლით აღავსოს ყოველნი მორჩილებით მისგან წყალობის მომლოდინენი.

მაშ, განვიწმინდოთ სული, გონება და გული, ჩვენი ზრახვა და გრძნობები, ვაპატიოთ და შევურიგდეთ ერთმანეთს, რათა ღირს ვიქმნეთ, მივეგებოთ ბეთლემში შობილ მაცხოვარს და ცოდვებისაგან განთავისუფლებულებმა, აღმოვსთქვათ: ემმანუელ, – ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთს ებარებოდეთ.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი, შობა ქრისტესი,

2014-2015 წელი.



# ინტერვიუ თბილისის მერთან, ბატონ დავით ნარმანიასთან

*ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება ბატონი დავითის წარმატებების შესახებ მთავრობაში, მინისტრის პოსტზე ყოფნისას. სწორედ მისი წარმატებული მოღვაწეობის გამო წამოაყენეს მისი კანდიდატურა თბილისის მერად და გაიმარჯვა კიდევაც არჩევნებში. თუმცა არჩევნებში გამარჯვება თვითკმაყოფილების საფუძველს არავის აძლევს, პირიქით - წინ უფრო დიდი საქმეებია და პასუხისმგებლობა, რომელსაც წინასაარჩევნოდ პროგრამაშიც ხაზს უსვამდა ბატონი დავითი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას ძალიან ცუდი მემკვიდრეობა ერგო წინამორბედი მერისაგან. თუმცა ამაზე, არსებულ სიტუაციაზე და სამომავლო გეგმებზე თვითონ ბატონი დავითი უკეთესად გვეტყვის.*

- ბატონო დავით, დღეს 14 იანვარია, ძველი სტილით ახალი წელი. გილოცავთ შობა-ახალ წელს.

- თქვენც გილოცავთ.

- ბატონო დავით, დავიწყოთ ზოგადი ფონით, როგორი იყო 2014 წელი ქვეყნისთვის, ხელისუფლებისთვის და მათ შორის ქალაქის მერიისთვის?

- 2014 წელი იყო ძალიან ბევრი თვალსაზრისით დატვირთული და მნიშვნელოვანი ერთის მხრივ, მეორეს მხრივ, ახალი გამოწვევების წელი. მნიშვნელოვანი იყო, ჩემის აზრით იმით, რომ საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირთან ასოცირების კუთხით და შესაბამისად, ევროკავშირთან ასოცირების (მნიშვნელოვან შეთანხმებას) ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რაც ძალიან კარგ შესაძლებლობას აძლევს ჩვენს ქვეყანას სამომავლოდ განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ ამავდროულად ეს არის ახალი გამოწვევების წელი. იმიტომ რომ ამ შეთანხმებების შესაბამისად ჩვენ აბსოლუტურად ევროპული რეგულაციების, ევროპული ყაიდის სახელმწიფო უნდა გავხდეთ დროთა განმავლობაში. ამიტომაც ევროპული წესრიგი უნდა ვისწავლოთ და ბუნებრივია ამისთვის სერიოზული რეფორმები და სერიოზული მუშაობა დაგვჭირდება. ასევე მნიშვნელოვანი წელი იყო იმით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა ყველა ძირითადი ვალდებულება რაც ჰქონდა სახელმწიფოს, ის იქნა გასტუმრებული, გარკვეული დისკომფორტის შექმნა ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობამ წლის ბოლოს. რაც შეეხება უშუალოდ დედაქალაქს, ჩვენ საკმაოდ ბევრი პრობლემები ჩავიბარეთ, როცა მოვედით ქალაქის ხელმძღვანელობაში და ვცდილობთ, რომ ეს პრობლემები დავძლიოთ, გადავლახოთ და განვითარების გზას დავადგეთ. ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც დაგვხვდა, ეს იყო ბიუჯეტის პრობლემები ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსების კუთხით, რის გამოც მოგვიწია სხვა ვალდებულებების შემცირება და ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გზით ამ ნაწილში დაფინანსების დამატებით გადმოტანა, რათა მინიმალური მომსახურება მიწოდებოდა საზოგადოებას. ასევე, მნიშვნელოვანია ის რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი პრობლემებისა, ჩვენ აქტიურად დავიწყეთ მუშაობა ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ქალაქგანვითარებაზე, გენერალური გეგმის მომზადების საკითხებზე და ა.შ. და ვფიქრობთ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ გვექნება გარკვეული პროგრესი და მას დაინახავს საზოგადოება.

- თქვენ ნაწილობრივ გაეცით პასუხი მეორე კითხვასაც, მაგრამ დავასრულოთ ბარემ.

**როგორი სურათი დაგხვდათ მერიაში, ზოგადად, ეკონომიკური, ფინანსური, სტრუქტურული, საკადრო და ა.შ., რაც მნიშვნელოვნად მიგჩნიათ?**

- დავამატებდი იმას, რომ საკადრო თვალსაზრისით ჩვენ აუცილებელი წესით ატესტაცია გავიარეთ და ჩავატარეთ, ვინაიდან კანონმდებლობით იყო მოთხოვნილი. კონკურსის პროცესი დაიწყო და ახლაც გრძელდება. აქ ყურად საღემია ის, რომ კვალიფიციური ადამიანები, კვალიფიციური თანამშრომლები, ვინც საბოტაჟს არ ეწევა, ვინც ზრუნავს ქალაქზე, ასეთი ადამიანები იქნენ შენარჩუნებული და აქტიურად აგრძელებენ მუშაობას. მეორე ნაწილი ადამიანებისა უნდა შეივსოს გარეადან და სწორედ ამიტომ გამოვაცხადეთ საჯაროდ კონკურსი და დარწმუნებული ვარ გარედან კვალიფიციურ კადრს მოვიზიდავთ და დავნიშნავთ, დავასაქმებთ იმისათვის, რომ უფრო მეტად გაიზარდოს თბილისის მერიის ეფექტიანობა.

- **პირველი რა გააკეთეთ მერიაში მოსვლისას გარდა იმისა, რომ ორშაბათობით მოქალაქეთა მიღება დააწესეთ, რაც იყო მნიშვნელოვანი?**

- პირველი გადაწყვეტილება რა თქმა უნდა, მოქალაქეთა მიღების დღესთან ერთად იყო საკუთრივ თბილისის მერიის გამჭვირვალობის და ანგარიშ-ვალდებულებების გაზრდა. ეს იყო აბსოლუტურად გაუმჭვირვალე უწყება, რომელიც გამჭვირვალობის გზაზე დავყენეთ და გვაქვს პრეტენზია, რომ გავხადოთ ერთ-ერთი გამჭვირვალე საჯარო უწყება. . . .

- **ეს თქვენ სამინისტროშიც გააკეთეთ. . .**

- დიახ, სამინისტროშიც გავაკეთეთ და სამინისტროც თავის დროზე დაგვხვდა ზუსტად ასეთი, ერთ-ერთი გაუმჭვირვალე უწყება იყო და გამჭვირვალეობის რეიტინგში რამდენიმე თვეში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ამის გამოცდილება ნამდვილად გვაქვს, საჭიროებაც ნამდვილად არის და ძალიან აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებითაც. იმიტომ, რომ მერია ეს არის ხალხზე მზრუნველი და ხალხის კეთილდღეობა უნდა უზრუნველყოს, ხალხთან კომუნიკაცია უნდა გვქონდეს და მათთან ანგარიშვალდებული უნდა ვიყოთ. ამიტომ ამ საკითხებზე მომავალშიც აქტიურად ვიმუშავებთ. ასევე,ამის გარკვეული გაგრძელებაა ის,რომ ჩვენ პროგრამული ბიუჯეტი გავაკეთეთ 2015 წლისთვის და ეს საკმაოდ დეტალური და სიღრმისეულია,რაც ასევე,გულისხმობს ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობას. საზოგადოებამ იცის და აქვს ინფორმაცია იმის შესახებ თუ სად რას ვაკეთებთ,მათი გადახდილი გადასახადებითა და მოსაკრებლებით რას ვაფინანსებთ. დაინტერესებულ ადამიანებს შემდგომში შეუძლიათ გააკეთონ თავიანთი შეფასებები, თუ რამდენად სწორად აფასებენ ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

- **კეთილი. რა იყო მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც 2014 წლის შეზღუდულ მოკლე პერიოდში გააკეთეთ თქვენს ახალ გუნდთან ერთად?**

- პირველ რიგში ეს იყო არსებული მდგომარეობის შეფასება. ყველა კუთხით გაკეთდა შეფასება თუ რა მდგომარეობა დაგვხვდა. ამის შემდეგ დავიწყეთ უკვე სამოქმედო გეგმების მომზადება ანუ სტრატეგიის მომზადება თუ რომელი კუთხით რანაირად ვიმუშავებდით. სწორედ შეფასების გაკეთებამ მოგვცა საშუალება სათანადოდ დაგვენახა არსებული მდგომარეობა და პრობლემები, სწორი დასკვნები გაგვეკეთებინა თუ რა კუთხით უნდა განვვითარდეთ მომავალში. გარდა იმისა, რაზეც უკვე ვისაუბრე გამჭვირვალობასთან, ანგარიშვალდებულებასთან, ბიჯეტთან, მოქალაქეთა მიღებასთან დაკავშირებით,ჩვენ ასევე აქტიურად დავიწყეთ მუშაობა ქალაქის განაშენიანების გენერალურ გეგმაზე, აქტიურად დავიწყეთ მუშაობა მრავალდართულიანი პარკირების სისტემის განვითარებაზე, თბილისში ცივილური ნაგავსაყრელის გაკეთებაზე და ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტი მოვამზადეთ ამ თვალსაზრისით, აქტიურად დავიწყეთ მუშაობა ძველი სახლების ჩანაცვლების პროექტზე,რომელიც ასევე თითქმის მზად არის და დაინტერესებულ კომპანიებს ვიწვევთ. აქტიურად დავიწყეთ მუშაობა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, ახალგაზრდული ოლიმპიადის ობიექტების მშენებლობაზე და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, და აგრეთვე აქტიურად ვმუშაობთ იმაზე, რომ „დინამოს“ სტადიონის მოდერნიზაცია განხორციელდეს ევროპული სტანდარტების, „უეფას“ სტანდარტების შესაბამისად, რათა ამ წლის აგვისტოში ღირსეულად ჩატარდეს ევროპის სუპერთასის ფინალი.

- **თქვენი წინასაარჩევნო პროგრამა ცნობილია ამომრჩევლებისთვის, თბილისელებისთვის, მაგრამ იქ ძირითადად სტრატეგიაზეა საუბარი. კონკრეტულად 2015 წლისთვის რა გეგმები გაქვთ, რა არის მათ შორის მთავრი მიმართულებები?**

- ჩვენ ოთხი მთავარი პრიორიტეტი გამოვყავით 2015 წელს. პირველ რიგში ეს არის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; მეორე, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება; მესამე, ეკოლოგიური მდგომარეობის მოწესრიგება და ქალაქის გამწვანება; და მეოთხე, საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის მოწესრიგება და უფრო მეტი ადგილების გაჩენა ბავშვებისთვის. გარდა რა თქმა უნდა ამ სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებებისა დედაქალაქი ოთხ მნიშვნელოვან ღონისძიებას მასპინძლობს 2015 წელს და შესაბამისად, ამაში ჩვენი რესურსები და ჩვენი მონაწილეობა არის ლომის წილი. პირველ რიგში ეს არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წლიური კონფერენცია მაისში, ჭადრაკის სუპერფინალი, ფეხბურთის, „უეფის" სუპერფინალი და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადა. ამიტომაც, ამ საკითხებთან დაკავშირებული აქტივობები და მათი მოწესრიგება როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე საორგანიზაციო თვალსაზრისით ჩვენი მთავარი მიმართულებები იქნება.

- სამეურნეო კუთხით რა კონკრეტული გეგმებია?

- სამეურნეო თვალსაზრისით რათქმა უნდა, იგივე პუშკინის ქუჩის გაკეთება, იგივე სხვა ნაწილებში გზების მოწესრიგება, ავჭალის სარკინიგზო-საავტომობილო ხიდის მოწესრიგება, 100-ზე მეტ ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგება. თბილისის წყლის კომპანიასთან ნერთად 90-მდე ქუჩაზე მოხდება წყლის მილების გამოცვლა და შესაბამისად საფარის მოწესრიგება. დაიწყება ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც საკმაოდ სერიოზული პროექტია, მედიატეკის მშენებლობა ნაძალადევის რაიონში და რამდენიმე საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლება უნივერსალთან ერთად, ანუ სახვოვრებლ კორპუსებს ვგულისხმობ, რაც ასევე მნიშვნელოვანი საკითხია.

- თვითონ წინასაარჩევნო პროგრამამ ხომ არ განიცადა ცვლილებები ან კორექტირება გარკვეული ან სერიოზული დოზით?

- რამე სახის ცვლილება წინასაარჩევნო პროგრამას არ განუცდია, რაც იქ გვქონდა ძირითადი მიმართულებები არის შესრულებადი ეტაპობრივად და შესაბამისად, ვთვლი, რომ არც უნდა განიცადოს. ის მაინც არ იყო კონცეპტუალური ჩარჩო დოკუმენტი, რომელზეც ჩვენ რამდენიმე თვე ვიფიქრეთ, რამდენიმე ხნის განმავლობაში ვიმუშავეთ და ამიტომ შესაბამისად ჩარჩო დოკუმენტად დარჩება, მაგრამ უფრო ვიწრო მიმართულებები იმ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში იქნება, რომელსაც ჩვენ ახლა ვამზადებთ.

- თქვენ წინასაარჩევნოდ პროგრამაში გქონდათ, რომ 100 მილიონ ლარს გამოყოფდით ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 10-10 მლნ ლარს თითოეული რაიონისთვის. როგორია დღევანდელი მდგომარეობა, გათვალისწინებულია თუ არა ეს ბიუჯეტში?

- ჩვენ წელს გვაქვს არა რაიონების მიხედვით, არამედ ერთიანად ეკონომიკურ საქალაქო სამსახურში ეს მიმართულებები ბიზნესის ხელშეწყობასთან დაკავშირებით. ძირითადად ვაფინანსებთ ვთქვათ, საპროცენტო განაკვეთებს 6%-ის ფარგლებში იმ პროექტებისა, რომლებიც არის საშუალო და მცირე ბიზნესში და რომელიც მოწონებული არის კომერციული ბანკის მიერ. რაც ჩვენი აზრით არი შეღავათი კომპანიისთვის და ვაფინანსებთ ასევე, საჯარო კერძო პარტნიორობის ფარგლებში იმ პროექტებს, რომელიც გულისხმობს რომელიმე საწარმოსთვის, სადაც ინვესტიცია იდება, საჯარო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. თუმცა დროთა განმავლობაში ვფიქრობთ, რომ კიდევ უფრო გავზარდოთ პროგრამის მოცულობა და მასშტაბები, ვინაიდან მოთხოვნა არის მაღალი და შესაბამისად დამატებითი ფინანსური რესურსების გაჩენის შემთხვევაში, რა თქმა უნდა ამ პროგრამებს გავზრდით.

- რა თანხა არის გათვალისწინებული ამ მიმართულებით?

- ჯამში ამ მიმართულებით ეკონომიკურ საქალაქო სამსახურში და ეკონომიკური განვითარების ფონდში 10 მილიონ ლარამდე არის გათვალისწინებული. საერთოდ ვთვლით, რომ მეტი შემოსავლების შემთხვევაში აუცილებლად გავზარდოთ ბიუჯეტის ეს მუხლი.

- დახმარება გათვალისწინებულია დამწყებ ბიზნესმენებზე, მოქმედ ბიზნესმენებზე თუ ორივეზე?

- ორივეზე.

- თვითონ ხომ არ დაამატებთ რამეს, რომელიც მნიშვნელოვანია და მე შეიძლება გამომრჩა?

- მნიშვნელოვანი და უაღრესად აქტუალური საკითხი არის ქალაქის განტვირთვა საცობებისგან, რაც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო

მეტ პრობლემას შექმნის, ამიტომაც ჩვენ დავიწყ-ეთ ერთობლივი კოორდინირებული მუშაობა საპატრულო პოლიციასთან და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად. პირველ რიგში არსებული მდგომარეობის შეფასება კეთდება და რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი დავგეგმეთ იმისათვის, რომ შემცირდეს ზოგიერთ ადგილას ავტომანქანების დიდი ნაკადი. ესაა „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიის გაფართოება, ესაა პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენა, ასევე ჭის თავსახურების მოწესრიგების პროექტი, გზის საფარის მოწესრიგების პროექტი. მეორეს მხრივ საპატრულო პოლიცია აქტიურად გვაწდის ინფორმაციას იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც ხელს უშლის მოძრაობას და სწრაფად გადაადგილებას, შესაბამისად ამ ნაწილზეც ვმუშაობთ. ასევე გრძელდება ე.წ. „ჭკვიანი შუქნიშნების“ პროექტი და ამ ნაწილში რამდენიმე გზაჯვარედინზე მოძრაობა მოწესრიგდება დამატებით. კიდევ გვაქვს რიგი ღონისძიებებისა და ვფიქრობ, რომ კომპლექსური ღონისძიებების გატარების შემთხვევაში გარკვეული თვალსაზრისით განიმუხტება არსებული მდგომარეობა, თუმცა საცობები იმდენად მწვავე თემაა, მანქანების დიდი რაოდენობიდან და ქალაქში შეზღუდული სივრციდან გამომდინარე, რომ ამ პრობლემის ბოლომდე მოგვარება შეუძლებელია.

- **დიდი მადლობა ბატონო დავით, დრო რომ დაგვითმეთ და გვესაუბრეთ დედაქალაქის პრობლემებზე. კვლავაც წარმატებებს გისურვებთ.**

- გმადლობთ.

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“
კორესპონდენტი ხათუნა ბურჭულაძე



# ინტერვიუ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარესთან ბატონ გიორგი ბარაბაძესთან

*სსიპ კონკურენციის სააგენტოს თანმიმდევრულ და გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება და თავისუფალი ვაჭრობის განვითარება, რამაც საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას. შესაბამისად, იმ დროს, როდესაც საზოგადოებაში არსებობს გარკვეული ეჭვი, ამ თუ იმ სფეროში სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, ძალიან დიდია ახლად ჩამოყალიბებული სააგენტოსადმი საზოგადოების ინტერესი. სწორედ, საზოგადოების მაღალი ინტერსიდან გამომდინარე, ახორციელებს კონკურენციის სააგენტო ქვეყანაში ნავთობპროდუქტების ბაზარის მოკვლევას, ამ ბაზარზე ანტიკონკურენციული ქმედების შესაძლო ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით. ამ საკითხზე და საერთოდ, კონკურენციის სააგენტოს მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით, სასაუბროდ, ჟურნალი „ახალი ეკონომისტის“ რედაქცია ესტუმრა სააგენტოს თავმჯდომარეს, სამართალმცოდნეობის დოქტორს, ასოცირებულ პროფესორს ბატონ გიორგი ბარაბაძეს.*

- ბატონო გიორგი პირველ რიგში გვინდა მოგილოცოთ კარს მომდგარი შობა-ახალი წელი და გისურვოთ წარმატებები.

- მეც მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი ჟურნალის ყველა მკითხველს, მთელს თქვენს კოლექტივს და სრულიად საქართველოს, მივულოცო შობა-ახალი წელი და გისურვოთ ყველაფერი საუკეთესო ცხოვრებაში.

- ბატონო გიორგი, კონკურენციის სააგენტო როდიდან ფუნქციონირებს და რომელ კონკრეტულ საკითხებზე მუშაობთ ამჟამად?

სსიპ კონკურენციის სააგენტო ჩამოყალიბდა მ/წ 21 მარტს „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი დამატებებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მ/წ 14 აპრილის 288 დადგენილების საფუძველზე. ამასთან, საწყის ეტაპზე სააგენტოს საქმიანობის უმთავრეს ამოცანად განისაზღვრა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება, რადგანაც, ის უფლებამოსილებანი, რომელთა განსახორციელებლადაც აუცილებელი იყო ამავე კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების მიღება, სრულად ამოქმედდებოდა მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი (კანონქვემდებარე) აქტის დამტკიცების შემდეგ. ამჟამად (2014 წლის 30 სეტემბრიდან), ეს პროცესი დასრულებულია (მიღებულია საქართველოს მთავრობის 2 დადგენილება და კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 5 ბრძანება) და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა მის ხელთ არსებული ანტიკონკურენციული ქმედების შესახებ ინფორმაცია (განცხადების ან საჩივრის სახით) მიაწოდოს კონკურენციის სააგენტოს, რაც შეიძლება გახდეს საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველი.

თავის მხრივ, კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, საქმის მოკვლევა აწარმოოს წარმოდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე, ან საკუთარი ინციატივით. შესაბამისად, ამ ეტაპზე (მ/წ 12 ნოემბრიდან) კონკურენციის სააგენტო ახორციელებს საკუთარი ინციატივის საფუძველზე ნავთობპროდუქტების ბაზრის (ბენზინი, დიზელი, ნავთი) შესწავლას. ასევე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-172 მუხლის შესაბამისად სწავლობს ყავის სასაქონლო ბაზარს, რათა მოახდინოს ამ ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასება და საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

ამასთან, „საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „გლობალაგროს“ განცხადებების საფუძველზე

დაწყებულია საქმის მოკვლევა ფქვილის წარმოების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის კუთხით. ანალოგიურად, ს/ს „ჯანმრთელობა“-ს განცხადებების საფუძველზე, მიმდინარეობს საქმის მოკვლევა ‚ბალნეოლოგიურ კურორტ წყალტუბოში თერმული წყლის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სუბიექტის ქცევის კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართების დადგენის კუთხით.

ასევე, სააგენტოში შემოსულია შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცას“ საჩივარი და განცხადება. საჩივარში ყურადღებაა გამახვილებული სარკინიგზო-საკონტეინერო გადაზიდვის სფეროში კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის ფაქტზე, ხოლო განცხადებაში საუბარია ავტომანქანების საკონტეინერო განბაჟების სფეროში არსებულ ხელისშემშლელ ფაქტორებზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს როგორც საჩივრის, ისე განცხადების დასაშვებად ცნობის საკითხის შესწავლა, რაც განცხადებისა და საჩივრის უხარვეზოდ შემოტანიდან, ერთი თვის ვადაში უნდა დასრულდეს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კონკურენციის სააგენტოს მიერ საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან მიღებული წერილებისა და ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაციების და მიღებული კონსულტაციების შედეგად, შესწავლილ იქნა სააუდიტორო მომსახურების ბაზარზე არსებული მდგომარეობა 1) კონკრეტული ეკონომიკური აგენტებისათვის სახელმწიფო საწარმოებში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებაზე უპირატესობის მინიჭების კუთხით და 2) პროფესიული ადიტორული ორგანიზაციების აკრედიტაციის პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობის კუთხით და მომზადებულ იქნა კონკრეტული დასკვნები, სადაც ამ სფეროში არსებული მდგომარეობის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესობამისობაში მოყვანის მიზნით, შეთავაზებული იქნა კონკრეტული რეკომენდაციები შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის.

- საქმის მოკვლევისათვის კონკურენციის სააგენტოს რა დრო სჭირდება?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონკურენციის სააგენტომ საქმის მოკვლევა შეიძლება დაიწყოს საკუთარი ინიციატივით, განცხადების ან საჩივრის საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლისა და „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 30.09.2014 წლის 30/09-5 ბრძანების საფუძველზე.

ამავე კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად - „სააგენტო მის მიერ საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის მოკვლევას და იღებს გადაწყვეტილებას არაუგვიანეს 3 თვისა“. თუმცა, „საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გავალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 10 თვისა“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, ყოველ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, საქმის სირთულიდან გამომდინარე კონკურენციის სააგენტოს აქვს სამართლებრივი საფუძველი, საქმის მოკვლევის პროცესი იმ ვადით გააგრძელოს, რა ვადაც მას სჭირდება საბოლოო დასკვნის მოსამზადებლად. თუმცა, იმთავითვე ცხადია, რომ - საქმის მოკვლევა არ შეიძლება 10 თვეზე მეტხანს გაგრძელდეს.

- ცხადია, ეკონომიკური კონკურენციის სპეციალისტების მოძიება არც თუ ისე ადვილია. შესაბამისად, როგორ მიმდინარეობს კონურენციის სააგენტოს სათანადო კადრებით დაკომპლექტების პროცესი?

- კონკურენციის სააგენტო ჩამოყალიბების პირველივე დღიდან ინტენსიურად მუშაობდა და მუშაობს პროფესიონალი კადრების მოძიების და მათი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების კუთხით. შესაბამისად, დღემდე ჩატარებულია 7 საჯარო კონკურსი, რამაც საშუალება მისცა სააგენტოს ხელმძღვანელობას შეერჩია სათანადო კვალიფიკაციის თანამშრომლები. თუმცა, სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს არც თუ ისე მარტივი პროცესია, რის გამოც, ის დღემდე გრძელდება.

ამჟამად, გამოცხადებულია კიდევ ერთი საჯარო კონკურსი 5 ვაკანტურ თანამდებობაზე და შესაბამისი კადრების შერჩევის პროცესი იგეგმება მიმდინარე წლის ბოლომდე.

ამასთან, რამდენადაც ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში (და არა მარტო საქართველოში) საკონკურენციო სამართლის სპეციალისტები არ მზადდება, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს სააგენტოში მიღებული თანამშრომლების გადამზადების სისტემის ჩამოყალიბება. შესაბამისად, სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავმჯდომარის ბრძანებით დამკიცებული 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმით გან-

ისაზღვრა ის 61 მიმართულება, რაშიც, სასურველია მოხდეს სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის მისაღებად. სწორედ ამ კუთხით, სააგენტო ინტენსიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და შესაბამის სტრუქტურებთან. მათ შორის, პოლონეთის მთავრობასთან, რომლის მხარდაჭერით, უკვე 8 სემინარია (1 ვარშავაში, ხოლო 7 თბილისში) ჩატარებული პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისის ექსპერტების მონაწილეობით. ამასთან, მიღწეულია შეთანხმება და პოლონურ მხარესთან და თანამშრომლობა გაგრძელდება მომავალი 2015 წლის განმავლობაშიც.

ასევე, მ/წ ნოემბრის თვეში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (GIZ) მხარდაჭერით, თბილისში ჩატარდა სემინარი - ბაზრის კვლევის პრობლემატიკაზე. ამასთან, GIZ-ის დაფინანსებით, კონკურენციის სააგენტოს ორმა თანამშრომელმა მ/წ ნოემბრის ბოლოს გაიარა ორკვირიანი სტაჟირება ბუნდესკარტელში (გერმანიის კონკურენციის საბჭო), ხოლო 7 თანამშრომლისათვის მოეწყო სპეციალური სასწავლო ტური ლიტვის კონკურენციის სააგენტოსა და გერმანიის კონკურენციის ორგანოში (დეკემბერი).

გარდა ამისა, კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში, რომელიც სისტემატიურად (წელიწადში 6-7 ღონისძიება) ტარდება OECD-ის უნგრეთის რეგიონალური ცენტრის მიერ ბუდაპეშტში. ერთ-ერთი ასეთი საერთაშორო სემინარი, OECD-ის უნგრეთის ცენტრთან შეთანხმებით, მომავალი წლის ივლისის ბოლოს დაგეგმილია თბილისში. მასში მონაწილეობას მიიღებს ევროპის 20-ზე მეტი ქვეყნის კონკურენციის ორგანოს წარმომადგენელი.

ამასთან ფაქტია, რომ საერთაშორისო გამოცდილების მიღებისა და პროფესიული ზრდის გაუმჯობესების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს, პროფესიულ საერთაშორისო ორგანიზაცებში გაწევრიანება. შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოს აქტიურობის შედეგად დასრულებულია გაწევრიანების პროცესი სოფიის კონკურენციის ფორუმსა და კონკურენციის საერთაშორისო ქსელში. უფრო მეტიც, სოფიის ფორუმის ფარგლებში, მ/წ ოქტომბრის ბოლოს სოფიაში ჩატარებულ კონფერენციაში, როგორც წევრი ორგანიზაცია, აქტიურად იყო ჩართული საქართველოს კონკურენციის სააგენტო.

გარდა აღნიშნულისა, კონკურენციის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს როგორც დარგის ექსპერტებთან, ისე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. შესაბამისად, ცალკეულ პრობლემატურ საკითხებთან მიმართებით, ინტენსიურად მიმდინარეობს კონსულტაციების მიღება/გაწევა, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლებას, აუმჯობესებს სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობას და ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას.

- რა გეგმები აქვს კონკურენციის სააგენტოს სამომავლოდ და რომელი სფეროების შესწავლას აპირებთ?

- რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, პირველ რიგში ვაპირებთ ბოლომდე მივიყვანოთ და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში დავასრულოთ ყველა დაწყებული საქმის მოკვლევა.

ამასთან, როგორც ამ ეტაპზე, ისე სამომავლოდაც, კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა იქნება მიმართული იმ მიზნებისა და ამოცანების აღსასრულებლად რაც „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონითაა მასზე დელეგირებული. შესაბამისად, სააგენტოს უპირატესი ამოცანა იქნება ხელი შეუწყოს ქვეყანაში ბაზრის ლიბერალიზაციას, თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციას. კერძოდ:

- არ დაუშვას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერები;

- უზრუნველყოს ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობები;

- არ დაუშვას ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვა;

- დაიცვას ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპი;

- არ დაუშვას დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;

- არ დაუშვას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებების მინიჭება, რომელიც იწვევს კონკურენციის

არამართლზომიერ შეზღუდვას.

ამ მიზნების მისაღწევად სააგენტომ უნდა გააძლიეროს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოძიება და არსებული კადრების გადამზადების კუთხით გააღმავოს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განვითარებული ქვეყნების კონკურენციის ინსტიტუტებთან.

რაც შეეხება უშუალოდ პუნქტობრივად გაწერილ სამოქმედო გეგმას, ეს მოცემულია სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 16 ივლისის 16/07-1 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში. თუმცა, ამ ეტაპზე, წინასწარ საუბარი იმაზე, თუ, რომელი სფეროების შესწავლას აპირებს სააგენტო სამომავლოდ არ იქნება სწორი, რადგანაც სააგენტო ვალდებულია არა წინასწარ დეკლარილებული სფეროები შეისწავლოს, არამედ მთელი მისი რესურსი მიმართოს იმ პრობლემატური საკითხების (სფეროების) დასარეგულირებლად (შესასწავლად), სადაც იზღუდება კონკურენცია და თავისუფალი ვაჭრობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის სააგენტო სამომავლოდ შეისწავლის მის კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა იმ სფეროს, სადაც ადგილი ექნება საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას.

- რა შეგიძლიათ გვითხრათ იმ სფეროებზე, რომელთა შესწავლაც უკვე დაასრულეთ ან ამ ეტაპზე მიმდინარეობს?

რაც შეეხება ინფორმაციას იმ სფეროებთან დაკავშირებით, რომელთა შესწავლასაც კონკურენციის სააგენტო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების შემდგომი პერიოდიდან (მ/წ 1 ოქტომბრიდან) ახორციელებს, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე აუდიტორული საქმიანობის გარდა, სხვა დანარჩენი საკითხები შესწავლისა და წინასწარი მომზადების პროცესშია. შესაბამისად, იმ სფეროებში, სადაც საქმის მოკვლევაა დაწყებული ან სადაც საჩივრის/განცხადების დასაშვებობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს საკითხის შესწავლა, წინასწარ (საკითხის შესწავლის პროცესის დასრულების გარეშე) რაიმე სახის ინფორმაციის გაჟღერება დააზიანებს საქმის მოკვლევის პროცესს.

საქმის მოკვლევის პროცესი უნდა წარიმართოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით - „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის" (კონკურენციის სააგენტოს 30.09.2014 წლის 30/09-5 ბრძანება) და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების" (სააგენტოს თავმჯდომარის 30.09.2014 წლის 30/09-3 ბრძანება) შესაბამისად. კერძოდ, პირველ რიგში უნდა მოხდეს შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება (სასაქონლო ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრები და ბაზრის დროითი ჩარჩოს დადგენა), ხოლო შემდეგ კი ამ იდენტიფიცირებულ ბაზარზე უნდა შეფასდეს კონკურენტული გარემო. თავის მხრივ, კონკურენტული გარემოს შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ისეთი პარამეტრები, როგორიცაა: ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები; ბ) შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება; გ) შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე; დ) შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები; ე) ეკონომიკური აგენტთა საბაზრო ძალა და სხვა ის პარამატრები, რომელთაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროდ ჩათვლის კონკურენციის სააგენტო.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მოკვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, რაიმე სახის ინფორმაციის წინასწარ გაჟღერება არაა გამართლებული. მეტიც, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სააგენტოს ხელმძღვანელობას და მის ყველა თანამშრომელს აქვს ვალდებულება, დაიცვას ეკონომიკური აგენტის თაობაზე ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში, მოკვლევის პროცესში, საქმე გვაქვს კომერციულ ან/და საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციასთან, რომლიც გამჟღავნებაც აკრძალულია და იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

- დიდი მადლობა ინტერვიუსათვის. გისურვებთ წარმატებებს.

- თქვენც დიდი მადლობა.

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტის"
კორესპონდენტი ხათუნა ბურჭულაძე
2014 წლის 22 დეკემბერი

# ეკო-დაიჯესტი

## პარლამენტმა 2015 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის ბიუჯეტი 82 ხმით დაამტკიცა. კანონმდებლებმა ბიუჯეტთან ერთად, მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიც დაამტკიცეს. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტით, ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი - 9 მილიარდ 875 მილიონი ლარით განისაზღვრა. გადასახდელები კი - 9 მილიარდ 575 მილიონი ლარით. 2015 წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროგნოზია 5%. მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2015 წლის ნომინლაური მშპ-ს მოცულობა 31,9 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2018 წლისათვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 41,9 მლრდ ლარამდე. ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში ასახულია პენსიის 10 ლარით გაზრდა, რის განხორციელებასაც მთავრობა 2015 წლის 1 სექტემბრიდან აპირებს.

## ავტომობილების ექსპორტმა დაიკლო

2014 წლის სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, საქართველოდან ავტომობილების ექსპორტი გაიზარდა, თუმცა, შარშანდელ სექტემბერთან შედარებით, ავტომობილების ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი 24%-ით არის შემცირებული. 2014 წლის სექტემბერში ექსპორტზე 45,26 მლნ დოლარის ავტომობილი გავიდა (აგვისტოში - 31,97 მლნ-ის), 2013 წლის სექტემბერში კი 59,4 მლნ დოლარის. წლევანდელ 9 თვეში ჯამში საქართველოდან ექსპორტზე 409 მლნ დოლარის მსუბუქი ავტომობილები გაიყვანეს (მთლიანი ექსპორტის 19%), რაც 2013 წლის პირველი 9 თვის მაჩვენებელზე 20%-ით ნაკლებია.

## ნავთობქარხანას ფოთშიააშენებენ

ფოთში ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება იგეგმება. ინვესტორის მოსაძიებლად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ინტერესთა გამოხატვას გამოაცხადებს, რომელიც სავარაუდოდ, 2015 წლის თებერვლისათვის დასრულდება. ქარხანა მთლიანად კერძო ინვესტიციით აიგება. უკვე ცნობილია, რომ მან წელიწადში სულ ცოტა 2 მლნ ტონა ნედლი ნავთობის გადამუშავება უნდა შეძლოს. რა ინვესტიცია ჩაიდება ახალი საწარმოს ამოქმედებაში, ეს ინტერესთა გამოხატვის დასრულების შემდეგ გაირკვევა.

## გაზის ქსელთან მიერთების საფასური მცირდება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სეწმეკ) გადაწყვეტილებით, მცირდება ბუნებრივი გაზის ქსელთან ახალი მომხმარებლის მიერთების ტარიფი. 600-დან 400 ლარამდე შემცირებული ტარიფის გადახდა მოქალაქეებს 25 ლარიანი პორციებით, 16 თვის განმავლობაში შეეძლება. მომსახურების ღირებულებაში ბუნებრივი გაზის ერთი წერტილის მოწყობა შედის. თუ კომპანია ახალ მომხმარებელს ქსელთან 30 დღეში არ მიაერთებს, ღირებულება 400-დან 200 ლარამდე მცირდება.

## The Banker-ის ჯილდო „თიბისი ბანკს"

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამომცემლობის Financial Times ფინანსურმა ჟურნალმა, The Banker-მა, „თიბისი ბანკი" დაასახელა 2014 წლის საუკეთესო ბანკად საქართველოში. დაჯილდოების ყოველწლიური ცერემონიალი ჩატარდა ლონდონში, 27 ნოემბერს, სადაც „თიბისი ბანკი" წარმოდგენილი იყო მსოფლიოს წამყვან ბანკებთან ერთად. 2014 წლის განმავლობაში „თიბისი ბანკმა" „საქართველოს საუკეთესო ბანკის" წოდება უკვე მეოთხედ მიიღო სხვადასხვა ფინანსური გამოცემისაგან.

## „სითი პარკი" დააჯარიმეს

თბილისის მერიის ინფორმაციით, კომპანია „სითი პარკს" 2007 წლიდან დასუფთავების მოსაკრებელი არ გადაუხდია, რის გამოც დაჯარიმდა. მერიის წარმომადგენელთა თქმით, 7 წლის განმავლობაში თანხის გადაუხდელობამ დედაქალაქის ბიუჯეტი დაახლოებით 900.000 ლარით დააზარალა, მიუხედავად ამისა, კომპანია მხოლოდ 2013 წლის 1-ლი ივნისიდან გადაუხდელი თანხის ოდე-

ენობით - 145.000 ლარით დაჯარიმდა. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ „სითი პარკთან" დადებულ ხელშეკრულებას საერთაშორისო აუდიტორული კომპანია შესწავლის.

საქართველოს ნავთობრესურსების ანტომია

- საბადოები, რომლებზეც მიმდინარეობდა ან/და მიმდინარეობს მოპოვება:
- აღმოსავლეთ ჭალადიდი;
- სუფსა;
- შრომისუბანი;
- ნორიო;
- საცხენისი;
- სამგორი-პატარძეული-ნინოწმინდა;
- სამგორის სამხრეთი თაღი;
- თელეთი;
- დასავლეთ რუსთავი;
- მწარეხევი;
- ბაიდა;
- ტარიბანი;
- მირზაანი;
- პატარა შირაქი;
- ნაზარლები;

- გაზის საბადო:
- რუსთავი

- აღმოჩენილი საბადოები,რომელთა კომერციულობა ჯერ არ არის შეფასებული:
- ოქუმი;
- ვეძები;
- ნორიო-მარტყოფი;
- მანავი.

- ძირითადი პერსპექტიული სტრუქტურები:
- გუდაუთა;
- ოჩამჩირე;
- ყულევი;
- ეგრისი;
- კოლხეთი;
- იბერია;
- ლაზიკა;
- ოკამი;
- სამხრეთ-დასავლეთ თელეთი;
- სამხრეთ-აღმოსავლეთ თელეთი;
- ჟატი;
- სამხრეთ-აღმოსავლეთ თელეთი საცხენისი;
- ნაქარალი;
- ნაცვალწყალი;
- ფხოველი;
- დედოფლისწყარო;
- ქედები.

„ეკო-დაიჯესტი" ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტმა თამთა ფეტელავამ

# ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ასპექტები





სლავა ფეტელავა

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

შალვა გოგიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

*ნაშრომში განხილულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგულირების როლი და მნიშვნელობა. მასში კონკრეტულად საუბარია რეგულირების საერთო სისტემაში ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ადგილზე. აღნიშნულია, რომ მარეგულირებელ ორგანოთა პრაქტიკაში ძირითადად რეგულირების სამი მეთოდი გამოიყენება; პირველი (ზედამხედველობა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად) გულისხმობს, რომ ანტიმონოპოლიურმა ორგანომ არ დაუშვას ეკონომიკური აგენტის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; მეორე მეთოდის (რეგულირება საოპერაციო დანახარჯების საფუძველზე) თანახმად იქმნება მარეგულირებელი ორგანო, რომელიც აწესებს ფასებს (ტარიფებს) ან მათ ზღვრულ დონეს, ემყარება რა ამ პროცესში ფაქტიური დანახარჯების ანალიზს და მოგების ადექვატური ნორმის უზრუნველყოფის პრინციპს, ხოლო მესამე მეთოდის (მასტიმულირებელი რეგულირება) შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანო აწესებს ფასს (ტარიფებს) რამდენიმე ფაქტორის (რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული საწარმოს მიმდინარე და გაწეულ დანახარჯებთან) გათვალისწინებით. ხაზგასმულია, რომ რეგულირების განსხვავებული სქემები შესაძლოა სხვადასხვა ხარისხით მისაღები აღმოჩნდეს სხვადასხვა დარგის, აგრეთვე დროის განსხვავებული მონაკვეთისათვის. ამდენად, რეგულირებასთან მიმართებაში კონკრეტული მეთოდის არჩევა დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკის მიზანზე. ამასთან, დროთა განმავლობაში საბაზრო ცვლილებებთან ერთად მიდგომები შესაძლოა შეიცვალოს.*

*ნაშრომში ასევე მითითებულია ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ქართულ რეალობაზე და ხაზგასმულია, რომ ეკონომიკური კონკურენციის და ინფრასტრუქტრურის სფეროების კანონმდებლობათა სრულყოფილებასა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების (კონკურენციის სააგენტო და ეროვნული მარეგულირებელი კომისიები) ეფექტურ მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესის დაჩქარება და მისი შემდგომი განვითარების სტიმულირება.*

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ამა თუ იმ ზომით თითქმის ყველა დარგი განიცდის სახელმწიფო რეგულირებას, რომლის ფორმა (მეთოდები) და აღსრულების მექანიზმები შესაძლებელია განსხვავებული იყოს სახელმწიფოების მიხედვით, თუმცა, მათი მიზანი ერთი და იგივეა ყველგან. ამასთან, თუ საუბარია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრის რეგულირებაზე, ცხადია აქ პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები რეგულირების ის ფორმები, რომლებიც აღიარებული და შეცნობილია მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული სახელმწიფოს მიერ და რომელთა მიზანია ბაზრის ლიბერალიზაცია და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ნებისმიერ ქვეყანას გააჩნდეს გარე სამყაროსთან ჰარმონიზებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკა,

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

რომლის პრაქტიკაში რეალიზაციამ ხელი უნდა შეუშალოს კარტელების შექმნას და შეაჩეროს ეკონომიკურ აგენტთა შერწყმა და ისეთი სხვა ანტიკონკურენციული პროცესები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით აფერხებენ თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასევე, მსოფლიოს მასშტაბით რეგულირების ერთ-ერთ აპრობირებულ და გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის სფეროების რეგულირება, კონკრეტული დარგის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და შესაბამისი ინსტიტუტების (კომისიების) მეშვეობით.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ რეგულირების სასარგებლოდ წარმოდგენილი ძირითადი არგუმენტები არის შემდეგი სახის:

1. მონოპოლიური ძალაუფლების (დომინირებული მდგომარეობის) პრობლემა - რომლის შექმნისა და ბოროტად გამოყენებისაგან დაცვა ხორციელდება ანტიმონოპოლიური ღონისძიებებით;

2. გარეშე ეფექტები, რაც ქმნის გარემოს დაბინძურების დონის, მიწის გამოყენებაში შეზღუდვების, ტელემაუწყებლობაზე კონტროლისა და სხვა მსგავსი ხასიათის საქმიანობათა განხორციელების საფუძველს;

3. ინფორმაციის არასრულყოფილება – სრულყოფილი კონკურენციის მოდელი გულისხმობს, რომ მომხმარებლებიც და გამყიდველებიც ფლობენ მათთვის საჭირო ყველა ინფორმაციას საკუთარი ინტერესების დასაცავად. რეალურად კი ეს დაშვება არასდროს არ სრულდება და შესაბამისად მოითხოვს გარკვეული სამართლებრივი ზომების გატარებას.

თავის მხრივ, გადაწყვეტილება რეგულირების შესახებ პოლიტიკური საკითხია და როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, არც თუ იშვიათად სახელმწიფო რეგულირებას ფართო მასშტაბით ადგილი აქვს იქაც, სადაც აშკარა არ არის ბაზრის ნაკლოვანებები. მეორეს მხრივ, რეგულირების მექანიზმმა შეიძლება სუსტად იმუშაოს იქაც, სადაც სახელმწიფოს ჩარევა გამართლებულია. შესაბამისად, ცალკეული სახელმწიფოები მათი თავისებურებებისა და კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით წყვეტენ, თუ როგორი მარეგულირებელი ინსტიტუტები უნდა შექმნან და რა უნდა აკეთონ მათ.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკაში ფასები წარმოადგენენ ძირითად გამანაწილებელ მექანიზმს და განაპირობებენ, როგორც მომხმარებლის ალტერნატიულ არჩევანს ისე რესურსების განაწილების პროპორციებს მწარმოებელთა შორის. ამასთან, ერთის მხრივ, სრულყოფილი კონკურენცია ოპტიმალურად ანაწილებს რესურსებს, თუმცა, მეორეს მხრივ, ის მხოლოდ თეორიულ აბსტრაქციას წარმოადგენს და მას ვერსად ვერ ვხვდებით პრაქტიკაში. შესაბამისად, მონოპოლიური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და „ბაზრის დეფექტებისაგან" საზოგადოების დაცვის აუცილებლობა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას განაპირობებს.

რეალურად ყველა ქვეყანაში მარეგულირებელი ორგანოები იქმნებიან ზემოხსენებული ერთი ან რამდენიმე პრობლემის გადასაწყვეტად. სხვა საკითხია, თუ პრაქტიკულად როგორ ახორციელებენ ისინი ბაზრის დეფექტების აღმოფხვრას. თავის მხრივ, ეკონომიკის რეგულირებას უძველესი ისტორია აქვს, მაგრამ ის ჩვენთვის საინტერესოა განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პერიოდიდან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის რეგულირებას საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის ბოლოს, კერძოდ, 1887 წელს, აშშ-ში - ტრანსპორტისა და ვაჭრობის სფეროში ფედერალური რეგულაციების შემოღებით და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების შექმნით. მოგვიანებით, 1890 წელს მიღებულ იქნა ფედერალურ დონეზე პირველი ანტიტრესტული კანონმდებლობა, ხოლო 1914 წელს შეიქმნა ფედერალური ვაჭრობის კომისია (იგივე ანტიმონოპოლიური ორგანო). ამასთან, იმავე პერიოდში ცალკეული შტატების დონეზე შეიქმნა ფასების მარეგულირებელი კომისიები (კომუნალური საწარმოებისათვის). ამასთან, რეგულირების მასშტაბები გაძლიერდა დიდი დეპრესიის დროს და კიდევ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც დაიწყო ნავთობის, ბენზინის და სხვა თანმხლები პროდუქტების ფასების რეგულირება. რაც შეეხება სოციალურ რეგულირებას, მას საფუძველი ჩაეყარა 1906 წელს, როდესაც შეიქმნა კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების ხარისხის კონტროლის ადმინისტრაცია.

გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდში გაძლიერდა კრიტიკა ეკონომიკური და სოციალური რეგულირების საწინააღმდეგოდ. კრიტიკოსთა რისხვას იმსახურებდა რეგულირების დანახარჯები, რომელიც, მათი აზრით, მძიმე ტვირთად აწვებოდა საზოგადოებას. კრიტიკის ობიექტი იყო ასევე რეგულირების პრაქტიკაც, რაც მათი აზრით, ხელს კი არ უწყობდა საბაზრო ნაკლოვანებების აღმოხვრას, არამედ ქმნიდა საზოგადოე-

ბრივი თვალსაზრისით არაეფექტურობის ახალ წყაროებს. ამ პერიოდში, რეგულირების საწინააღმდეგო მოძრაობას (დერეგულაციის მომხრეთა მოძრაობა) შედეგად მოჰყვა ის, რომ რეგულირების ბერკეტები შერბილდა და ნაწილობრივ რეგულირებას დაექვემდებარა ბანკები, რკინიგზა და სატელეფონო ქსელი. მთავრობამ შეწყვიტა ფასების დაწესება - ნავთობზე, გაზზე, ბენზინზე, ასევე, უარი განაცხადა საავიაციო და ავტოსატრანსპორტო კომპანიების ტარიფების დაწესებაზე. თუმცა, ეს პროცესი ნაკლებად შეეხო სოციალურ სფეროს.

ეკონომიკური და სოციალური რეგულირების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მარეგულირებელ ორგანოთა არსებობის მიზეზები განსხვავებულულია ისევე, როგორც ის პოლიტიკური ძალები, რომლებზეც ისინი რეაგირებენ. კერძოდ, დარგის მარეგულირებელ ორგანოთა ფუნქციები მოიცავენ შეზღუდვებს კონკრეტულ დარგში შესვლაზე და კონტროლს მომსახურების ფასებზე და ხარისხზე. ძირითად ეკონომიკურ საფუძველს კი ასეთი რეგულირებისათვის წარმოადგენს ბუნებრივ მონოპოლიებთან დაკავშირებული პრობლემები. თუმცა, როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რეგულირებას ექვემდებარება მრავალი ისეთი დარგიც, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ ბუნებრივ მონოპოლიებთან. ამ უკანასკნელის მიზეზი ბაზრის ნაკლოვანებებსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად შესაძლებელია აიხსნას საკმაოდ ცნობილი „დაპყრობის ჰიპოთეზით", რომლის თანახმადაც მარეგულირებელი ინსტიტუტები იქმნებიან და ემსახურებიან იმ ეკონომიკური აგენტთა ინტერესებს, რომელთა რეგულირებისთვისაც ისინი არიან მოწოდებული. ამასთან, „დაპყრობის ჰიპოთეზა" ნაკლებად ვრცელდება სოციალური პროფილის რეგულირებაზე და ის ძირითადად დამახასიათებელია დარგობრივი რეგულირებისათვის.

აღსანიშნავია, რომ რეგულირების საერთო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, რომელსაც ექვემდებარება ყველა საბაზრო ძალა.

პოსტკომუნისტურ სივრცეში ანტიმონოპოლიური რეგულირება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ხორციელდება. რეგულირების პრინციპებისა და საფუძვლების იდენტურობის მიუხედავად სახელმწიფოები ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განვითარებისათვის ინსტიტუციური მოწყობის სხვადასხვა გზას ირჩევენ, რაც განპირობებულია სახელმწიფოების მთავრობათა პოლიტიკური ნებით და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონით.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გეგმიური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლების პარალელურად დაიწყეს მასიური პრივატიზების პროცესი, რომლის დროსაც დიდი იყო სახელმწიფო მონოპოლიების კერძო მონოპოლიებად გარდაქმნის და ახალი მონოპოლიური გაერთიანებების შექმნის ცდუნება. ამ პრობლემამ რეალური საფრთხე შეუქმნა ისედაც არამდგრად ეკონომიკურ სიტუაციას და სწორედ აქ გამოჩნდა ყველაზე ნათლად ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის და შესაბამისი აღმასრულებელი ინსტიტუტის, როგორც ამ პროცესის დამაბალანსებელი ძალის როლი და მნიშვნელობა.

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ საწყის ეტაპზე სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, ანტიმონოპოლიური ორგანოების ინსტიტუციური მოწყობის სხვადასხვა მოდელი იქნა მიჩნეული ოპტიმალურად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მოგვიანებით რეფორმის ეტაპობრივ განვითარებასთან ერთად განხორციელდა მათი სტრუქტურული რეორგანიზაცია. იგივე პროცესები შეეხო როგორც მაღალგანვითარებულ (გაერთიანებული სამეფო, იაპონია), ისე შედარებით ნაკლებად განვითარებულ (საბერძნეთი, უნგრეთი, თურქეთი) ქვეყნებს. ამ ქვეყნებმა ინსტიტუციური მოწყობის დარგობრივ რეგულაციებს ამჯობინეს ანტიმონოპოლიური რეგულირების ცენტრალიზებული ვარიანტი და ამ გზით მიაღწიეს ეკონომიკის განვითარების შედარებით მაღალ დონეს.

ამასთან, უმთავრეს მომენტს დარგობრივი მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობაში წარმოადგენს ამ დარგის საწარმოთა ტარიფების რეგულირება. თუმცა, მათი როლი კონკრეტული დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში სადაც ტრადიციულია ანტიმონოპოლიური ინსტიტუტების კომისიური მოწყობა, მკაცრადაა გამიჯნული უფლებამოსილებანი ინფრასტრუქტურის მარეგულირებელ კომისიებსა და ანტიმონოპოლიურ ორგანოებს შორის. შესაბამისად, მხოლოდ ფედერალური ვაჭრობის კომისიისა და იუსტიციის სამინისტროს ანტიტრასტული დეპარტამენტის განხილვის საგანს წარმოადგენს რეგულირების ისეთი უმნიშვნელოვანესი ასპექტები - როგორიცაა ეკონომიკურ აგენტთა შერწყმა და გაერთიანება.

საზოგადოდ, მარეგულირებელი ორგანოები მოწოდებული არიან გაატარონ შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ბაზარზე შესვლის გაადვილება (სადაც ეს შესაძლებელია);
- მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება და ა.შ.

შესაბამისად მარეგულირებელი ორგანოების მნიშვნელოვანი ამოცანაა რეგულირების რაციონალური ხერხის (ერთი ან რამდენიმე) შერჩევა, მათ შორის:

- ფასების რეგულირება ტარიფებზე მუდმივი კონტროლის ან ფასების ზღვრული დონის (ზედა) დაწესების გზით;
- მომსახურების ხარისხზე კონტროლი;
- დანადგარების ექსპერტიზა და კონტროლი და მათი მიერთება საერთო სარგებლობის ქსელებთან (ურთიერთჩართვები);
- ტექნიკურ და საოპერატორო ნორმების დაცვაზე კონტროლი.

მარეგულირებელ ორგანოთა პრაქტიკაში (როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს), ძირითადად რეგულირების შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

1. ზედამხედველობა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად;
2. რეგულირება საოპერაციო დანახარჯების საფუძველზე;
3. მასტიმულირებელი რეგულირება.

პირველი მეთოდის გამოყენება გულისხმობს, რომ ანტიმონოპოლიურმა ორგანომ არ დაუშვას ეკონომიკური აგენტის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. მდგომარეობის ბოროტად გამოყენებათა შესაძლო კონკრეტულ გამოვლინებებს კი წარმოადგენენ - ფასით დისკრიმინაცია, ასორტიმენტის თავს მოხვევა, არაგონივრული ფასის დაწესება, დეფიციტის შექმნა ფასის აწევის მიზნით და ა.შ.

მეორე მეთოდის თანახმად იქმნება მარეგულირებელი ორგანო, რომელიც აწესებს ფასებს (ტარიფებს) ან მათ ზღვრულ დონეს, ემყარება რა ამ პროცესში ფაქტიური დანახარჯების ანალიზს და მოგების ადექვატური ნორმის უზრუნველყოფის პრინციპს.

მესამე შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანო აწესებს ფასებს (ტარიფებს) რამდენიმე ფაქტორის (რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული საწარმოს მიმდინარე და გაწეულ დანახარჯებთან) გათვალისწინებით.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ რეგულირების განსხვავებული სქემები შესაძლოა სხვადასხვა ხარისხით მისაღები აღმოჩნდეს სხვადასხვა დარგის, აგრეთვე დროის განსხვავებული მონაკვეთისათვის. ამდენად, კონკრეტული მეთოდის არჩევა დამოკიდებულია რეგულირებასთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანზე. ამასთან, დროთა განმავლობაში საბაზრო ცვლილებებთან ერთად მიდგომები შესაძლოა შეიცვალოს.

საქართველოში, ისევე როგორც პოსტსოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების პრაქტიკულ რეალიზაციას (ანტიმონოპოლიური და ინფრასტრუქტურის სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის მიღება და ინსტიტუციური მოწყობა) საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან. კერძოდ, 1992 წელს იქნა მიღებული პირველი ქართული ანტიმონოპოლიური აქტი - „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის სახით, ხოლო მოგვიანებით, 1996 წელს მიღებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რის საფუძველზეც შეიქმნა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (ლიკვიდირებულ იქნა 2005 წლის 19 აგვისტოს). ამჟამად, ქვეყანაში მოქმედებს – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის კანონი, რომელშიც 2014 წლის მარტის ბოლოს შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები (მათ შორის, შეიცვალა კანონის სახელწოდება და ის უკვე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სახელით მოქმედებს), რითაც ის დაუახლოვდა ევროკავშირის შესაბამის ნორმას. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღმასრულებელ ორგანოს 2014 წლის 14 აპრილიდან წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციის სააგენტო.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურის სფეროს მარეგულირებელ ნორმათა მიღებას და შესაბამისი აღმასრულებელი კომისიების შექმნას, მას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს. ამჟამად მოქმედებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონები, რომელთა საფუძველზეც შექმნილია –1)საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და 2)საქართველოს

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური კონკურენციის და ინფრასტრუქტრის სფეროების კანონმდებლობის სრულყოფილებასა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების (კონკურენციის სააგენტო და ეროვნული მარეგულირებელი კომისიები) ეფექტურ მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესის დაჩქარება და მისი შემდგომი ხელშეწყობა და განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Белов В., Обзор мировой практики регулирования естественных монополии, журнал ,,конкурент,, №9, 1995.

2. Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестовская законодательство и экономика, Международный институт права, США, 1995.

3. Ордовер Д., Питман Р., Конкурентная политика для естественных монополии, Журнал для акционеров №1, 1993.

4. Разгуляев Ю., Практика регулирования естественных монополий в отдельных отраслях инфраструктуры, журнал ,,конкурент,, №9, 1995.

5. Кэмпбелл Р.Макконнелл, Стэнли Л. Брю, Экономикс: Принципы, проблемы и политика, М., ,,инфра-м", 1999.

6. Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р., Экономика, М., ,,Дело", 1993.

7. Чепраков С., Пределы административного регулирования (из зарубежного опыта), Журнал для акционеров №1, 1993.

8. Regulation of Utilities & Monopolies: Effective Models for promoting Competition and consumer Protection in Market Economies, Washington, DC. December 4-5, 1995;

9. Scott H. Jacobs, Bulding Regulatory Institutions in Central and Eastern Europe, OECD, 15 December, 1996;

10. მსოფლიო ბანკისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით ინფრასტრუქტურის საკვანძო დარგებში კონკურენციისა და დარგობრივი რეგულირების საკითხებზე ორგანიზებული საერთაშორისო სემინარის მასალები ,ბუდაპეშტი (უნგრეთი), 1994.

11. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 2 ივნისის კანონი;

12. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს 2002 წლის 13 სექტემბრის კანონი;

13. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი;

14. „კონკურენციის შესახებ" საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი (კოდიფიცირებული);

15. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი;

16. „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონი;

17. „საქართველოს რესპუბლიკაში მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ" სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 16 სექტემბრის დეკრეტი.

## Antimonopoly and Industry Regulation

**Slava Fetelava**
The professor of St. Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia

**Shalva Gogiashvili**
The associate professor
of Tbilisi Ivane Javakhishvili State University

In this article there is discussed role and importance of regulation in terms of market economy. Specifically it concerns the place of antimonopoly and industry regulation in regulation overall system. There is mentioned that in practice of regulatory authorities basically three methods are used: first (regulation according to the antimonopoly legislation) means that antimonopoly authority should not allow economic agents to abuse dominance; According to the second method (regulation according to operational expenses) regulatory authority should be created. This authority will set prices (tariff) or marginal level and will be based on analysis of real costs in the process and principle of adequate income provision; In case of the third method (stimulating regulation) the regulatory authority sets price (tariff) according to the several factors (which are directly linked to the current and incurred expenses of the entity). There is underlined that different schemes of regulation with varying degrees can be appropriate in different fields, also for different period of time. Thus, selection of particular regulation method is depended on the aim of the state policy. Moreover, as time passes and market conditions change, approach can also be changed.

In this article there is also indicated antimonopoly and industry regulation in frames of Georgian reality and is underlined that market economy formation process acceleration and further development stimulation is significantly depended on perfection of economic competition and infrastructure sphere legislation and effective work of corresponding executive authorities (Competition Agency and United regulatory commissions).

# ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში





სოლომონ პავლიაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დავით გუბელაძე

აგროინჟინერიის დოქტორი პროფესორი

*საქართველოს სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა სასურსათო კომპლექსის დინამიურ განვითარებას საჭიროებს. ამასთან ცვალებადი ეკონომიკური პირობებისადმი ადაპტაცია ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარეობს, რაც რეფორმირების პერიოდში ზოგიერთი სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მნიშვნელოვანი დაცემით ხასიათდება*

*საქართველოში ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტის წარმოების გადიდების და მისი ექსპორტზე გატანის კარგი შესაძლებლობებია. საჭიროა მხოლოდ მიზანმიმართული მუშაობა იმის გათვალისწინებით, რომ ბიომეურნეობის მიზანი ბუნების დაცვასთან და ბევრ სხვა მხარესთან ერთად, უპირველესად ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა*

გარემოს მდგრადი განვითარება და შესაბამისად აგროეკოლოგიური საქმიანობა განსაზღვრავს სოფლად ორგანული სოფლის მეურნეობის გლობალურ განვითარებას.

ორგანული სოფლის მეურნეობა წარმოადგენს საწარმოო სისტემას, რომელიც გამორიცხავს ხელოვნური სასუქების, პესტიციდების, ზრდის რეგულატორებისა და ქიმიური საკვები დანამატების გამოყენებას. ორგანული სოფლის მეურნეობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს თესლბრუნვის, მცენარეული ნარჩენების, ნაკელის, მწვანე სასუქების, ნიადაგი მექანიკური კულტივაციისა და მცენარეების მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენება.

ორგანული სოფლის მეურნეობა, როგორც ბევრი განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, უზრუნველყოფს ენერგიის ეკონომიას, გარემოს დაცვას, გააჩნია გრძელვადიანი მდგრადობის ტენდენცია და ეკონომიკურად ფრიად ეფექტურია. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მაღალია გვალვის დროსაც. ორგანული სოფლის მეურნეობის პირობებში ენერგიის დანახარჯი პროდუქციის წარმობაში 60%-ით უფრო დაბალია, ვიდრე ჩვეულებრივი წარმოდების დროს, ორგანული სოფლის მეურნეობა უფრო ნაკლებად კაპიტალტევადია, რაც ამცირებს კრედიტებზე სოფლის მეურნეობის დამოკიდებულების ხარისხს. ორგანულმა მეურნეობამ განავითარა ეკოლოგიური თვალსაზრისით სუფთა და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო მეთოდები და პროცესები, რომლებიც ამტკიცებს, რომ ორგანული მეურნეობის სისტემა კონკურენტუნარიანია და ითვალისწინებს დღევანდელი და შემდგომი თაობებისათვის უსაფრთხო საკვების წარმოებას, რასაც მინიმუმადე დაჰყავს გვერდითი მოვლენები.

ორგანული მეურნეობა მოიცავს ყველა სასოფლო-სამეურნეო სისტემას, რომელიც ეკოლოგიურად, სოციალურად და ეკონომიკურად სუფთა საკვებისა და ბოჭკოს წარმოებას უწყობს ხელს. ამ სისტემისათვის პროდუქციის წარმოების უნარი ეფუძნება ნიადაგი. ნაყოფიერებას ადგილობრივი მცენარეების, ცხოველებისა და ლანდშაფტების გათვალისწინებით და ამ ურთიერთდამოკიდებულ ფაქტორთა ხარისხის ოპტიმიზაციით.

ბუნებრივი ეკოლოგიური ბალანსის საფუძველს წარმოადგენს ჰარმონიული დამოკიდებულე-

ბა მემცენარეობასა და მეცხოველეობას შორის. ეს შესაძლებელია, თუ მეურნეობა თვაის თავს შეძლებისდაგავრად უზრუნველყოფს საქონლის საკვებითა და ნაკელით და მეურნეობა მაქსიმალურად სპეციალიზირებულია. ეკოლოგიურ მეურნეობაზე გადასვლისათვის აუცილებელია მეურნეობის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილება, რასაც დაახლოებით 2-3 წლიანი კონვენსიის პერიოდი სჭირდება.

ორგანული სოფლის მეურნეობა სულაც არ არის მარტო ფილოსოფია, ის განისაზღვრება წარმოების სტანდარტებით. ბევრ სახელმწიფოში კანონებით სცადეს განესაზღვრათ ტერმინი „ორგანული პროდუქტი" და დაეკანონებინათ იგი, რათა გარანტირებული ყოფილიყო მისი შემოწმების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფდა მომხმარებლის ნდობას შეძენილი პროდუქციის ხარისხისადმი.

ორგანული წარმოების მეთოდები სხვადასხვა ქვეყნებში განვითარდა ბიოდინამიკური კონცეფციის საფუძველზე. ამ საქმის პიონერები განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებდნენ, ამიტომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ორგანულ სოფლის მეურნეობის სხვადასხვანაირი დასახელება აქვს. ევროპაში „ორგანული", „ეკოლოგიური" და „ბიოლოგიური" სინონიმებად ცნეს და ეს ტერმინები კანონიერად ითვლება.

მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ნედლეულისა და სურსათის წარმოების გადიდებისათვის, რადგან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მოხმარება მიუთითებს ამა თუ იმ ქვეყანაში არა მარტო ეკონომიკის განვითარების დონეზე, არამედ საზოგადოების განათლების, კულტურისა და ჰუმანიზაციის დონეზეც.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე აქცენტის გადატანა იქედანაც ჩანს, რომ მსოფლიოში არსებობს ორგანული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფედერაცია (IFOAM), რომელიც მუშაობს ორგანული სოფლის მეურნეობის მსოფლიო სტანდარტების დადგენაზე.

ორგანული სოფლის მეურნეობის გლობალურ განვითარებას IFOAM-ის წევრი ქვეყნების მონაცემებიც გვიჩვენებს: ამ ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა დაიწყო ხუთი წევრი ორგანიზაციით სამი კონტინენტიდან და თხუთმეტი წლის თავზე იგი უკვე ას წევრს ითვლიდა ოცდახუთი ქვეყნებიდან. ბოლო წლებში წევრ ორგანიზაციათა რიცხვი ხუთასამდე გაიზარდა ასი ქვეყნიდან. აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღეს ორგანული მეურნეობის ასეთი გავრცელება განპირობებულია ბაზრის მოთხოვნით.

ორგანული სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი კონტინენტებიდან პირველ ადგილზეა ოკეანეთი 48,51%, ხოლო მეორეზე ევროპა – 23,58%, ბოლო ადგილზეა – აფრიკა 0,14%.

განსაკუთრებით ეფექტური ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის განვითარება იქნება იმ რაიონებში, რომლებიც მეურნეობრიობის ექსტენსიურ გზას მისდევენ და აქედან გამომდინარე, აქ წარმოებული პროდუქცია არა კონკურენტუნარიანია (პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯების გამო), ხოლო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე ფასების შედარებით მაღალი დონე დანამატებით ეკონომიკური ეფექტის წყარო იქნება მათთვის.

უკანასკნელ ათწლეულში სოფლის მეურნეობა ძალიან შეიცვალა, ახალი ცოდნის, ტექნიკისა და ქიმიური ინდუსტრიის განვითარების გამო, რამაც ხელი შეუწყო კვების მრეწველობის განვითარება-გაფართოებას, მაგრამ ამავე დროს აღნიშნულმა ფაქტორებმა გამოიწვია მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები, რაც შემდეგში მდგომარეობს:

- იგი აზიანებს ნიადაგის სტრუქტურას;
- აზიანებს გარემოსა და ტრადიციულ ლანდშაფტებს;
- საკვების ხარისხის გლობალური გაუარესება პოტენციურ საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას;
- ანადგურებს ტრადიციულ-სოციალურ სტრუქტურებს და სოფლის მეურნეობას აგროინდუსტრიულ სექტორად გარდაქმნის.

ამის საწინააღმდეგოდ ორგანული მეურნეობა დადებით გავლენას ახდენს გარემოზე. იგი ძირითადად ეყრდნობა ადგილობრივ რესურსებს და დამოკიდებულია ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებასა და ბიოლოგიური პროცესების ოპტიმალურ განვითარებაზე.

ნიადაგისა და გარემოს დაცვა – ეს არის მთავარი აუცილებლობა ორგანულ სოფლის მეურნეობაში და არა რაღაც შემთხვევითობა, რასაც შეიძლება სარგებელი ჰქონდეს.

მომხმარებელი შესაბამისად აფასებს ფერმერის მიღწევებს და სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება ორგანულ საკვებზე. მომხმარებელი ზედმეტს იხდის, რადგან იცის, რომ ორგანული პროდუქტის სუფთაა და თანხები, რომლებიც დაიხარჯა უარყოფითი ეფექტების მინიმუმამდე დასაყვანად, განსაზღვრავს პროდუქტის მომატებულ ფასს.

ამგვარად, ორგანული საკვების მწარმოებელი

ფერმერი და მომხმარებელი ურთიერთთანამშრომლობენ, რათა განავითარონ მდგრადი სოფლის მეურნეობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიოლოგიზაციის სასარგებლოდ ბევრის თქმა შეიძლება. ფაქტია, რომ სახეზეა მსოფლიოში კვების პროდუქტების წარმოების ცნობილი მეთოდების ახლო მომავალში, ძირითადად ბუნებათსარგებლობის პრინციპებით შეცვლა, რაც თავის მხრივ ეკოლოგიურად უსაფრთხო განახლებადი ბუნებრივი რესურსების და ტექნოლოგიური ფაქტორების უფრო ეფექტურ გამოყენებას ეფუძნება. ამდენად, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების „ბიოლოგიზაციისა" „ეკოლოგიზაციის" სტიმულირება, რათა რაც შეიძლება მოკლე პერიოდში მოხდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული მინერალური სასუქების, შხამ-ქიმიკატების და სხვა მსგავსი ქიმიური საშუალებების ჩანაცვლება ბიოლოგიური საშუალებებით.

როცა ეკოლოგიურად უსაფრთხო სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის, აგრეთვე სურსათის წარმოების საკითხებს ვეხებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ უმნიშვნელოვანესი რეზერვებისა და რესურსების შესახებ, რომელიც საქართველოს გააჩნია. კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტის და სასურსათო პროდუქციის წარმოების შესანიშნავი პირობები საქართველოს მთისა და მთისწინეთის პრაქტიკულად ყველა რაიონს გააჩნია. დღეს აქ ცნობილი მიზეზების გამო, ისედაც უმნიშვნელო რაოდენობით გამოიყენება (ან საერთოდ არ გამოიყენება) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ისეთი ფაქტორი, როგორც ქიმიიზაციაა. ამიტომ მათი გადაყვანა ეკოლოგიურაც სუფთა პროდუქციის წარმოებაზე უფრო ადვილია, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოწესრიგებულ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და სამართლებრივ გარემოში ასეთი სახის პროდუქცია გაცილებით მაღალ ფასში რეალიზდება და პრაქტიკულად მის მწარმოებელს უნაზღაურებს იმ დანაკლისს, რომელიც მან წარმოების ზრდის ინტენსიური საშუალებების გამოუყენებლობით მიიღო.

ამდენად, საქართველოში არსებობს ყველა ძირითადი პირობა ბიომეურნეობის ანუ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელ მეურნეობათა გაფართოებისა და განვითარებისათვის. ამ მიმართულებით ქვეყანაში აქტიურად მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანა", რომელიც ორგანული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფედერაციის წევრია. დღეს საქართველოში 2000-ზე მეტი გლეხური, ფერმერული მეურნეობა აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას ბიომეთოდებით, ამ მიზნით შემუშავებულია და აპრობირებულია სამუშაო მეთოდები და მეთოდოლოგიები, შექმნილია ბიომეურნეთა და მრჩეველთა სამსახური, ბიომეურნეობის განვითარების, ეკოპროდუქციის მარკეტინგის და სერტიფიცირების დარგში.

საქართველოში ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტის წარმოების გადიდების და მისი ექსპორტზე გატანის კარგი შესაძლებლობებია. საჭიროა მხოლოდ მიზანმიმართული მუშაობა იმის გათვალისწინებით, რომ ბიომეურნეობის მიზანი ბუნების დაცვასთან და ბევრ სხვა მხარესთან ერთად, უპირველესად ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

ორგანული სოფლის მეურნეობისა და პროდუქტების წარმოების IFOAM-ის ძირითადი სტანდარტების მიხედვით ორგანული სოფლის მეურნეობის მიზანი შემდეგში მდგომარეობს:

- აწარმოოს საკმარისი რაოდენობის ხარისხიანი პროდუქცია;
- ურთიერთკავშირში იყოს ბუნებრივ სისტემებთან და ციკლებთან;
- ხელი შეუწყოს და განავრცოს სოფლის მეურნეობაში ბიოლოგიური ციკლების მოხმარება მიკროორგანიზმების ნიადაგის, ფლორისა და ფაუნის გამოყენების გზით;
- ხანგრძლივად შეინარჩუნოს და გაზარდოს ნიადაგის ნაყოფიერება;
- შეძლებისდაგვარად გამოიყენოს ისეთი ნივთიერებები და მასალები, რომელთა თავიდან გამოყენება ან რეციკლირება შესაძლებელია ფერმაშივე ან სხვაგან;
- შეუქმნან ცხოველებს ყველა ის პირობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მათ ბუნებრივ განვითარებას;
- მინიმუმამდე დაიყვანოს ყველა სახის დანაგვიანება, რომელიც თან ახლავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას;
- შეინარჩუნოს სოფლის მეურნეობის სისტემისა და გარემოს გენეტიკური მრავალფეროვნება, დაცვის მცენარეული და გარეული ცხოველები;
- ორგანულ სოფლის მეურნეობაში მომუშავეთ საშუალება უნდა ჰქონდეთ იცხოვრონ ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერო-ს ადამიანთა უფლების დეკლარაციით – დაიკმაყოფილონ თავისი მოთხოვნილებები და მიიღონ გაწეული შრომის ადეკვატური ანაზღაურება და კიდევ – იმუშაონ ჯანსაღ გარემოში;

- მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სოფლის მეურნეობის სისტემის სოციალური და ეკოლოგიური გავლენა.

საქართველოს სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა სასურსათო კომპლექსის დინამიურ განვითარებას საჭიროებს. ამასთან ცვალებადი ეკონომიკური პირობებისადმი ადაპტაცია ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარეობს, რაც რეფორმირების პერიოდში ზოგიერთი სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მნიშვნელოვანი დაცემით ხასიათდება. პირადი დამხმარე მეურნეობის გაფართოების საერთოდ და ქალაქელებისათვის მიწის ნაკვეთების მასიურად გამოყოფის ხარჯზე მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის წილის გაზრდა საშიშ ტენდენციებზე პრობლემის დამძიმებაზე მაინც მიუთითებს.

საქართველოში ძირითადი სახის სასოფლო – სამეურნეო პროდუქტების წარმოება და მოხმარება წინა წლებთან შედარებით გაიზარდა. კერძოდ, ხორბლის წარმოება 32 კგ-ით, მოხმარება – 3 კგ-ით, სიმინდის წარმოება – 40კგ-ით. მოხმარება – 14 კგ-ით, ხორცის წარმოება უმნიშვნელოდ გაიზარდა (1კგ), მოხმარება – 4 კგ-ით, რძის წარმოება – 38 კგ-ით, ხოლო მოხმარება – 28 კგ-ით და ა.შ. შესაბამისად გაიზარდა ძირითადი სასოფლო – სამეურნეო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტიც.

აქვე უნდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარების დონე რაციონალურთან შედარებით ორჯერ დაბალია არა მარტო იმიტომ, რომ ქვეყნის ბაზარი ამ პროდუქტების დეფიციტს განიცდის, არამედ იმიტომაც, რომ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ძალიან შემცირებულია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Pavliashvili S.P. The World Economic Crisis And Georgia- The Caucasus and Globalization, Volume 5. Issue 3-4 p 54 2011.
2. Global Competitiveness Index, World Economic Forum.
3. Justin Yifu Lin, 2011. “New Structural Economics: A Framework for Rethinking Development,” World Bank Research Observer, Oxford University Press, vol. 26(2), pages 193-221.
4. Robert Wade, 2011. “Why Justin Lin’s Door-Opening Argument Matters for Development Economics”. LSE Global Policy Journal Vol 2, No 1. p 115-116
5. Pavliashvili S. P. Zigzags Of Inflation in Post-soviet Georgia
6. Gubeladze D. O. - The agricultural private sector and perspectives of its development in Georgia samecniero SromaTa krebuli agraruli mecnierebis problemebi, krebuli, Tbilisi,ssau, 2005w.
7. საქართველოს სოციალური - ეკონომიკური განვითარების მიმართულებები - საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი - გამომცემლობა ნეკერი 2012წ.


## Perspectives of developing organic agriculture in Georgia


**Solomon Pavliashvili**
Doctor of sciences, professor

**David Gubeladze**
Doctor of agroengineering professor


Dynamic developing of agricultural complex is needed for solving agricultural problems in Georgia. Adaptation to the changable economic conditions is passing. That is characterized with falling down of agticultural product manufacturing in the reformation period.

There are good possabilities to make ecologically clean and fresh products and then export them. It is nacessary to work Purposefully and consider the fact the main aim of Organic farming is to care for human health.

In Georgia , the level of using food products is rationally low because of the lack of products on the market and because of the purchasing power is reduced.

# რაციონალური კონკურენცია და მისი აუცილებლობა



რევაზ ლორთქიფანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

*შრომაში გამოთქმულია საგანგებო წუხილი მონოპოლიების მნიშვნელოვანი გამრავლების გამო და განხილულია კონკურენციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის აქტუალური საკითხები საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის.*

*ახლახან გამოცემული რაციონალური კონკურენციის თეორიის შესახებ ნაშრომის საფუძველზე, ავტორი განაზოგადებს ორიგინალურ ე.წ. "3D ტექნოლოგიის" ფორმულირებას, რომელიც ბაზრის ეკონომიკური აგენტების რაოდენობასთან ერთად, მონოპოლიურობის ინდექსსა და ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის დონესაც ასახავს.*

საერთაშორისო კონკურენციის საკითხზე მრავალი კვლევა ჩატარებულა მსოფლიოში და, სპეციალისტების შეფასებით, რაციონალური კონკურენციის და მისი ინტერვალების შესახებ პირველად ჩვენს მიერ აღინიშნა. როგორც ადამიანის ბუნებრივი ტემპერატურული რეჟიმის ინტერვალი საჭიროებს მოფრთხილებას, ასევეა ეკონო-

დანახვა და მოფრთხილება უნდა.

ევროინტეგრაციისა და გლობალიზების ეპოქის საქართველოში, კონკურენციის თეორიული საფუძვლების კვლევისათვის, ფასდაუდებელია ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების (ვ. პაპავა1, ა. სილაგაძე2, ლ. ჩიქავა3, ი. მესხია4, რ. ასათიანი5, რ. აბესაძე6 და სხვ) შრომების მნიშვნელობა. პრაქტიკული თვალსაზრისით, გადაუჭარბებლად ძალზე მნიშნელოვანია პროფესორების - ს. პავლიაშვილისა7 და ს. ფეტელავას8 დასკვნები უშუალოდ ანტიმომოპოლიურ სამსახურზე დაკვირვებებიდან გამომდინარე. არ შეიძლება განსაკუთრებული მადლიერებით არ აღინიშნოს ქართული ეკონომიკისათვის ურთულეს პერიოდებში ბატონ ბიძინა ივანიშვილის დამსახურება ზოგადად მეცნიერების მხარდაჭერისა და, კერძოდ, მონოპოლიების წინააღმდეგ წამოწყებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ინოვაციებისათვის, მაგრამ, პრობლემის უკიდურესი სირთულეებიდან გამომდინარე და ეკონომიკის ცნობილი ინერციულობის გამო, მიმდინარე რეფორმებში ამოქმედებული ანტიმონოპოლიური მექანიზმები დამატებით საყოველთაო ძალისხმევასა და მნიშნელოვან აჩქარებას საჭიროებს.

რაციონალური კონკურენციის თეორიის შესახებ ნაშრომი, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, ასახავს არამხოლოდ ბაზრის სუბიექტების წილობრივ გავლენას, არამედ ე.წ. "3D ტექნოლოგიის" ფორმულირებით[9] ხარისხობრივ დეფორმაციებსა და ეკონომიკური აგენტების რაოდენობასაც. აღნიშნული თეორიის მიხედვით:

1) ეკონომიკური კონკურენცია ეკონომიკის ეფექტიანი ზრდის უმნიშვნელოვანესი საფუძველია და ის სულ უფრო ქმედით შედეგებს მიაღწევს, თუ კონკურენტულ პაექრობაში ჩართული ობიექტების რიცხვი გარკვეულ რაციონალურ მნიშვნელობამდე გაიზრდება;

2) კონკურენტთა რაოდენობის ზრდის აუცილებლობა არ უნდა ნიშნავდეს მათი ქაოსური მოზღვავების ხელოვნური პირობების შექმნას, მათ შორის არაკეთილსინდისიერი მსხვილი მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების არაბუნებრივად გადაჭარბებული დანაწევრების გზით, რაც არანაკლებ საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკისათვის. არაკეთილსინდისიერი მონოპო-

ლიების წინააღმდეგ, ჩვენი აზრით, უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით „გათიშე და ბაზარმა იბატონოს“, მაგრამ გათიშვისა და, საერთოდ, კონკურენტების რაოდენობის გამრავლების პროცესი არაბუნებრივად უსასრულო არ უნდა იყოს. ბუნებაში საუკეთესოდ თანაარსებობენ დიდი და მცირე მცენარეები და ცხოველები და ასევე ბუნებრივად უნდა მოვაწყოთ ეკონომიკაც;

3) ეკონომიკა უნდა მოვაწყოთ და არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ის თავისთავად მოეწყობა. ეკონომიკას არ უყვარს უხეში არაგონივრული ჩარევა, მაგრამ, როგორც სახლი არ აშენდება თავისით, არც ეკონომიკა დაბალანსდება ადამიანის გონივრული ჩარევის გარეშე. ადამიანის ჩაურევლად შეიძლება ხე ამოვიდეს ტყეში, მაგრამ ქალაქების საჭირო გამწვანება თავისით ვერ მოხერხდება;

4) კონკურენცია რაციონალური ანუ ზომიერი უნდა იყოს, ხოლო ეკონომიკის მართვის მიზანი მხოლოდ მაქსიმალური ეფექტიანობა უნდა იყოს. მაშასადამე, მეტი შემოსავლის მიღების სურვილი არ არის ცუდი, მეტიც, აუცილებელიცაა. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ის მხოლოდ ბუნებრივი კონკურენტული გარემოს გზით უნდა მივიღოთ და მისი განაწილება და გადანაწილებაც ბუნებრივად სამართლიანი უნდა იყოს;

5) ეფექტიანი მართვა გლობალურ, სახელმწიფო და მიკროეკონომიკურ სისტემებსაც სჭირდება და ზღვრულ შედეგებს რომ მივაღწიოთ, ყოველი მათგანის ყველაზე ეფექტიანი ელემენტები უნდა წავახალისოთ საწყის ეტაპებზე, რათა მათი საშუალებით სწრაფად დავეხმაროთ იმ აუცილებელ სფეროებს, რომლებიც ნაკლებშემოსავლიანია. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ხანგრძლივმა ეფექტიანმა წახალისებამ არ უნდა დაარღვიოს ეკონომიკური სტრუქტურის ბუნებრივი სიმწიფე ანუ გარკვეული პროპორციულობა.

სახელმწიფოს მართვისა და, შესაბამისად, საკუთრების სხვადასხვა ფორმის კონკურენციის საკითხებზე საკანონმდებლო და თეორიული ხასიათის პირველწყაროების შემუშავება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაიწყო და კაცობრიობა დღესაც ინტერესით სწავლობს ძველი საბერძნეთის (პლატონი, არისტოტელე), ინდოეთის (კაუტილია), ჩინეთის (კონფუცი), ბაბილონისა (ჰამურაბი) და სხვა ცივილიზაციების მემკვიდრეობას.

კაცობრიობას კარგად ახსოვს, თუ როგორი ნახტომით შეცვალა მსოფლიო ინგლისის სამრეწველო რევოლუციამ. ამ ეპოქის კვალზე, დიდი მნიშვნელობის მოვლენათა რიგს მიეკუთვნება ინგლისელი ეკონომისტის – ჯონ მეინარდ კეინზის გენიალური რეკომენდაციებიც მართვის (რეგულირების) და შესაბამისად დასაქმების გენიალური ელემენტარული სქემების შესახებ. რეგულირება, ბუნებრივია, ანტიმონოპოლიურ სფეროსაც სჭირდება, ვინაიდან, ვფიქრობ, დამეთანხმებით, კონკურენცია ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

ჯ. მ. კეინზი ანვითარებს თეორიულ მიდგომას, რომ საზოგადოების მოთხოვნის ვარდნა, საქონლისა და მომსახურების წამოების შემცირებასთან ერთად, განაპირობებს მცირე მეწარმეების მასობრივ გაკოტრებას, მსხვილი ობიექტებიდან დიდი ოდენობით დასაქმებულების დათხოვნას, შედეგად, მსხვილმასშტაბიან უმუშევრობასა და მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას, რაც, თავის მხრივ, გადახდისუნარიანი მოთხოვნილების შემდგომი ვარდნისა და ეკონომიკური დეპრესიების პროცესებს აღრმავებს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ძირითადად ერთი ქვეყნის მაკროეკონომიკის ფუნქციონირებაზე დაკვირვების საფუძველზე, კეინზი ასკვნის, რომ საბაზრო ეკონომიკას არ შეიძლება ახასიათებდეს თვითრეგულირებადი წონასწორობა, რომელიც სრულ დასაქმებას განაპირობებს. ამის მიზეზი, გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტის აზრით, დაზოგვისაკენ მიდრეკილებაა, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნა ნაკლებია ერთობლივ მიწოდებაზე. ამდენად, სახელმწიფომ, მისი აზრით, უნდა მოახდინოს ეკონომიკის რეგულირება ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებით, მ.შ. ფულადი მასის გაზრდით, საპროცენტო განაკვეთის შემცირებით (საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება), საზოგადოებრივი შეკვეთებისა და სამუშაოების საფუძველზე მოთხოვნის შემცირების კომპენსირებით, საბიუჯეტო ფინანსირებითა და სხვ.

კეინზს, ბუნებრივია, დასავლეთშიც ჰყავს თავისუფალი ბაზრის დამცველი ოპონენტები. ჩვენი აზრით, უნდა დავაზუსტოთ, რომ საბაზრო ეკონომიკას პერიოდული წონასწორობა შეიძლება ახასითებდეს, მაგრამ ეს სტაბილურად და გრძელვდიან პერიოდებზე ვერ გავრცელდება. ამასთან, გლობალიზაციის ახალ პირობებში, როცა საბაზრო ეკონომიკამ მოიცვა თითქმის მთელი მსოფლიო, დროა გავაცნობიეროთ, რომ სულ უფრო მეტი რეგულირება სჭირდება თავად მსოფლიო ეკონომიკას. სახელმწიფოების კოლექტიური (ურთიერთშეთანხმებული) მოქმედებაა საჭირო და არა ყველასათვის საზიანო არაკეთილსინდისიერი ქიშპობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო ეკონომიკას უფრო ხანგრძლივი დეპრესია

მოიცავს, ვიდრე უახლოეს წარსულში ჰქონდა ადგილი. დიდი ქვეყნები სულ უფრო მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი მცირე ქვეყნების (რომლებიც, საერთო ანგარიშით, მსოფლიო ეკონომიკის თითქმის ორ მესამედს შეადგენენ) დასაქმების პრობლემების მოგვარებაში, რაც თავად მათი კეთილდღეობის ზრდის სტიმული იქნება. ამასთან, დიდი ქვეყნების მიმართ მცირე ქვეყნების კეთილგანწყობაც უნდა გაიზარდოს და კოლექტიური ძალოვანი მოქმედება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ წარმოუდგენელი მასშტაბებით დამაზიანებელი საერთაშორისო კრიმინალური ბიზნესის წინააღმდეგ და ამის საფუძველზე აღმოცენებული ტერორიზმისა და სეპარატიზმის მძლავრი კერების ჩასაქრობად.

განმეორებადი გახანგრძლივებული გლობალური კრიზისის დასაძლევად, სახელმწიფო ქმედებები (მათ შორის, საერთაშორისო დონეზე), სულ უფრო მეტად უნდა იყოს მიმართული ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური სტრუქტურების შესაძლო სიმწიფის უზრუნველყოფაზე, ეკოლოგიურად სუფთა და უდანაკარგო პროგრესული ტექნოლოგიებისა და აგროსამრეწველო ინდუსტრიის განვითარებაზე, მრავალფეროვან ადგილობრივ უპირატესობათა მაქსიმალურ გათვალისწინებაზე, საშუალო ფენის არსებით ზრდაზე და სხვ.

ექსპერტული შეფასებებით ჩატარებულმა ჩვენმა ზემოაღნიშნულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ კონკურენციის ინდექსები საქართველოს ეკონომიკის აბსოლუტურად ყველა დარგში ჯერ კიდევ დასაშვებზე ბევრად უარესია და ხსენებული საკითხის თვითდინებაზე მიშვება ან, მუდმივი მეტნაკლები პრობლემების გამო, მობეზრება, აქტიური ქმედებების შესუსტება და ხელის ჩაქნევა არაფრით შეიძლება. ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის, რომ გამრჯე შრომა ყველას მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითრეგულირება და მონოპოლიების შემყურე ყოფნა ვერაფრით გვიშველის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კონკურენტების ხელოვნური მცდელობით მატება ყოველთვის არ ნიშნავს ეფექტიანი გარემოს შექმნას. გარკვეული რაციონალური რაოდენობის შემდეგ, კონკურენტების ქაოსური ზრდა ეფექტიანობის ძალზე სწრაფ ვარდნას იწვევს. ამდენად, კონკურენციის დონეს მეტად კვალიფიციური მუდმივი დაკვირვება ესაჭიროება.

საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ხელოვნურად გაჩაღებული საომარი კონფლიქტების პარალელურად, ქვეყანამ ქართული კუპონის არნახული ჰიპერინფლაცია როგორ იწვნია, რის გამოც, 1994 წელს, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მიხედვით (მ.შ. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით). მას შემდეგ, საბედნიეროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ამასთან, შიდა რესურსების მობილიზებით, მოხერხდა ჰიპერინფლაციის მწვავე პრობლემის მნიშვნელოვანწილად გადაჭრა, თუმცა, ვალუტის რეალური სტაბილურობისათვის აუცილებელი წარმოებისა და მ.შ. ექსპორტის სათანადო დონეზე დაწინაურება ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემების რიგში რჩება. ჩვენი აზრით, აღნიშნულის მთავარ მიზეზს წარმოადგენს უხილავი საერთაშორისო და შიდა არაკეთილსინდისიერი მონოპოლიები, რომლებიც უნიკალური სიმდიდრეების მქონე ქართულ სოფელსა და მთლიანად ეკონომიკას, შეიძლება ითქვას, ხრავს და ანადგურებს. ვიმედოვნებთ, რომ მონოპოლიების პრობლემა სახელმწიფოს ძალისხმევითა და საერთაშორისო დახმარებით აუცილებლად დაიძლევა. ოღონდ, ამ ძალისხმევამ არ უნდა დააყოვნოს, ვინაიდან, პრობლემა საგანგაშოდ გახანგრძლივდა.

როგორც ცნობილია, ბაზრის კონკურენტულობის დონის შესაფასებლად, დასავლეთში აქტიურად გამოიყენება ჰერფინდალ-ჰირშმანის, ასევე, ლინდის, ჰოლ-ტაიდმანის, ბაზრის კონცენტრაციის, ენტროპიის, დისპერსიისა და სხვა მრავალი ინდექსი მეტად საინტერესო ინტერპრეტაციებით. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებულში გამოქვეყნებულ კვლევაში აღინიშნა კონკურენციის საკითხებზე ჩვენი და განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესახებ10, რაზეც აქ დეტალურად აღარ განვმეორდებით და განვაზოგადებთ მხოლოდ მათ საფუძველზე შემდგომი დაკვირვების შედეგებს.

საქართველოში მოქმედი კანონი „კონკურენციის შესახებ“, რომელიც 2012 წლის მაისში გამოქვეყნდა (2014 წლის მარტში მასში ცვლილებები განხორციელდა), ჯერ არასათანადოდ იყენებს საერთაშორისო და ჩვენს გამოცდილებას ბაზრის კონკურენტულობის დონის შესაფასებლად. როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსით გადაჭარბებულად გამარტივებული ამორტიზაციის ნორმები, „კონკურენციის შესახებ“ კანონიც ჯერ კიდევ ძალზე უნიფიცირებულია (მ.შ. მუხლი 3, პუნქტი „ი“, მუხლი 8, ნაწილი 1 და სხვ). ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებს მკვეთრად განსხვავებული მრავალი სპეციფიკა ახასიათებს, რასაც კანონი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს.

კონკურენციის ძალის შეფასების ჩვენი მეთოდოლოგიის საფუძველზე ექსპერტული შეფასებებით ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ კონკურენციის ინტეგრალური კოეფიციენტის რაციონალური საშუალოშეწონილი ინტერვალები დარგების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული შეიძლება იყოს:

| ეკონომიკის დარგები | რაციონალური ინტერვალი |
|---|---|
| მშენებლობა | 100-700 |
| მრეწველობა | 150-1000 |
| სოფლის მეურნეობა | 500-2000 |
| მომსახურების სფერო | 1000-5000 |

რეგიონალური თვალსაზრისითაც, ის ნორმები, რომლებიც თბილისისა და სხვა მსხვილი დასახლებებისათვის ოლიგოპოლიურობის დაუშვებელი ხარისხის მანიშნებელი შეიძლება იყოს, პროგრესულ ნორმებად შეიძლება ჩაითვალოს მაღალმთიანი მცირედდასახლებული რეგიონებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ ქმედითი ანტიმონოპოლიური მექანიზმების განსაზღვრა და შემდგომი სრულყოფა კონკურენციის ახლადშექმნილი სააგენტოს სპეციალისტების დამატებით კვლევებს საჭიროებს.

ზემომოყვანილ ცხრილთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ არანაკლებ დიფერენცირებულია შიდადარგობივი ბაზრებიც, მ.შ. განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს ბუნებრივი მონოპოლიების საკითხი და მისი შესაძლო დეფორმაციები დროის ფაქტორის ცვლილებების გათვალისწინებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002.
2. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი, 2010.
3. ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკის ანტიმონოპოლიური რეგულირების საკითხისათვის. თბილისი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, IX ტომი 9, 2011.
4. მესხია ი. საერთაშორისო ვაჭრობა. თბილისი, 2011.
5. ასათიანი რ. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის გლობალიზაცია. თბილისი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, V ტომი, 2005.
6. აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, XI ტომი, 2013.
7. პავლიაშვილი ს. ანტიმონოპოლიური რეგულირების თავისებურებები საქართველოში. თბილისი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, X ტომი, 2012.
8. ფეტელავა ს. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. თბილისი, 2007.
9. ლორთქიფანიძე რ. რაციონალური კონკურენციის თეორია მართვის ზღვრული ეფექტიანობისათვის. თბილისი, ISBN 978-9941-0-6966-6, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრული რესურსები, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი", 2014, გვ. 49-50.
10. ლორთქიფანიძე რ. ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები. თბილისი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, მე-11 ტომი, თბილისი, გამომცემლობა "სიახლე", 2013, გვ. 338-352.


**News in understanding of International Competition –**

**Rational Competition and its necessity**

**Revaz Lordkipanidze**


In work author expressed particular concern about the proliferation of monopolies and he work out special topical issues of competition and economic efficiency for the current stage of economic development of Georgia.

Theory of rational competition, which has recently been published, with use of original formulation of "3D technology", reflecting number of market's economic agents, index of monopoly and market qualitative level also.

# მონეტარიზმი: ეკონომიკური მოდელი, რომელიც ანგრევს ქვეყნების ეკონომიკას!



ნასყიდა დარბუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

*სტატიაში განხილულია ხანგრძლივი პერიოდის კვლევები ფულის მიმოქცევაში არსებული პრობლემების შესახებ. გამოკვლეულია ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის თავისებურებანი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მისი გავლენა ეკონომიკაზე და სოციალურ მდგომარეობაზე. ავტორს შემუშავებული აქვს ფულის მასის გამოსათვლელი ახალი ფორმულა და თეორია. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფულის მიმოქცევის სიჩქარეს, მის გამომწვევ მიზეზებსა და მნიშვნელობას. ასევე, ავტორი გვთავაზობს იმ პირობების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქართული ეკონომიკური მოდელი.*

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა კვლავ ძალიან მძიმეა, შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკულიც.

ყველა მთავრობა ცდილობდა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, იხარჯება მილიარდობით ლარი ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, მაგრამ უშედეგოდ, ყველა მცდელობა მარცხით დამთავრდა. სოციალური მდგომარეობა კი წლიდან წლამდე უფრო და უფრო მძიმდება და გაუსაძლისი გახდა.

ქვეყნის მდგომარეობა ძალიან გავს ჭაობში ჩავარდნილი კაცის მდგომარეობას, რაც ურო მეტს ცდილობ ჭაობიდან ამოსვლას მით უფრო მეტად იძირება ამ ჭაობში.

რატომ ხდება ისე, რომ ყოველი მცდელობა ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა უშედეგოდ ან უფრო მძიმე შედეგით მთავრდება?

როგორც ცნობილია ეკონომიკური კრიზისი სამი ფაზისგან შედგება: კრიზისის დასაწყისი, კრიზისის პიკი და დასასრული. მთლიანათ კრიზისის სამივე ფაზა 3-5 წელს მოიცავს, იშვიათად ეს პერიოდი 6-7 წელი გრძელდება. საქართველოში უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა და გაუსაძლისი სოციალური პირობები 20-23 წელია გრძელდება. ესეიგი ეს არ არის ეკონომიკური კრიზისი მისი კლასიკური გაგებით.

ისტორიას ახსოვს მრავალი შემთხვევა, როცა მიწასთან გასწორებული ქვეყნები გაცილებით უფრო მცირე დროში თავიდან აუშენებიათ და განვითარების მაღალ დონეებზეც გასულან.

რასთან გვაქვს საქმე? თუ ეკონომიკური კრიზისი არ არის, მაშინ რა არის, ის რაც ჩვენ ქვეყანაში ხდება?

პირველი რაც, აშკარა და თვალშისაცემია ქვეყნის არასწორი მართვაა. ანუ პრობლემა არა ეკონომიკაში არამედ ქვეყნის მართვაში გვაქვს. ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ ყველა უბედურობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქვეყნის არასწორი მართვაა.

ამავე დროს, არა მხოლოთ ჩვენს ქვეყანას, არამედ ყველა პოსტ საბჭოთა ქვეყნებს და ბევრ სხვა ქვეყნებსაც, მათ შორის ევროკავშირის ზოგ ქვეყანასაც ანალოგიური პრობლემები აქვს. ესეიგი პრობლემა მარტო ხელისუფლებაში არაა.

პრობლემაში გასარკვევათ ორი მიზანი დავისახე: 1. ჩვენთან მოქმედი ეკონომიკური მოდელის შესწავლა და კრიზისის გამომწვევი მიზეზების გამორკვევა. 2. რომელი ეკონომიკური მოდელით იქნება შესაძლებელი ეკონომიკური კრიზისის სწრაფად და ეფექტურად დაძლევა.

პირველ რიგში გადავწყვიტე კარგად შემესწავლა ეკონომიკური განვითარების მონე-

ტარული მოდელი, ვინაიდან ეს მოდელი გამოიყენება ჩვენ ქვეყანაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

ეკონომიკური განვითარების მონეეტარული მოდელი XX საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა ამერიკელი მეცნიერის მილტონ ფრიდმანის მიერ.

ფრიდმანი კლასიკური საბაზრო ეკონომიკის მომხრე იყო. მიუღებლად მიიჩნევდა საბაზრო ეკონომიკაში მთავრობის ჩარევას. დაუშვებლად თვლიდა ბიუჯეტის დეფიციტის ფულის ემისიით დაფინანსებას. მისი აზრით ეს არის მიზეზი ფულის ინფლაციისა. ინფლაციას კი იგი მიიჩნევდა ეკონომიკური კრიზისების მთავარ მიზეზად.

ფრიდმანმა აღმოაჩინა, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებები ეკონომიკაში აისახება 1,5-2 წლის დაგვიანებით. ფრიდმანის, აზრით არ ვიცით რა შედეგებს მოგვცემს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ახლა განხორციელებული ცვლილებები მომავალში. ამიტომ მისი აზრით ეკონომიკის წარმატებით განვითარებისათვის, ჯობია ყოველწლიურად ფულის მასის სტაბილური ზრდა.

რა თანხით უნდა გაიზარდოს ფულის მასა?

ეს პრობლემა ფრიდმანმა მარტივად გადაწყვიტა. გამოიკვლია ამერიკის ეკონომიკის განვითარების არსებული სტატისტიკური მონაცემები და დაადგინა, რომ ეკონომიკა სტაბილურად ვითარდებოდა იმ წლებში, რომლებშიც ფულის მასა იზრდებოდა 4-5 პროცენტით. აქედან დაასკვნა, რომ ფულის მასა ყოველწლიურად უნდა გაიზარდოს 4-5 პროცენტით.

კვლევის შედეგებით ფრიდმანმა გააკეთა დასკვნები:

1. ეკონომიკა, რომ სტაბილურად განვითარდეს საჭიროა ყოველწლიურად ფულის მასის 4-5 პროცენტით გაზრდა.

2. უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი (არავისზე დამოკიდებული) ცენტრალური ბანკი, რომელიც აკონტროლებს ბრუნვაში არსებულ ფულის მასას და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

ეკონომიკური განვითარების მონეტარულ მოდელს იმ პერიოდში ყურადღება არავინ მიაქცია, მხოლოდ 70-იან წლებში, როცა კეინსის ეკონომიკურმა მოდელმა იმ დროს შექმნილ ვითარებაში აღარ იმუშავა, ეკონომიკის განვითარების მონეტარული მოდელი აქტუალური გახდა. პრეზიდენტ რეიგანის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც "რეიგანომიკის" სახელითაა ცნობილი, სწორედ ამ მოდელს ეყრდნობოდა. ბევრი ქვეყნის მთავრობა 80-იანი წლბიდან ამ მოდელს იყენებენ თავიაანთ ქვეყნის ეკონომიკაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელ ქვეყნებშიც შედის დასახმარებლად, სწორედ ამ ეკონომიკურ მოდელს ნერგავს, როგორც ყველაზე წარმატებულ ეკონომიკურ მოდელს.

მიუხედავად ლიტერატურაში და ინტერნეტში არსებული უამრავი ინფორმაციისა გადავწყვიტე ეს მოდელი დამოუკიდებლად გამომეკვლია.

საკითხის გასაიოლებლად და თვალსაჩინოებისათვის მაქსიმალურად გავამარტივოთ ქვეყნის ეკონომიკა და ამ გამარტივებულ ეკონომიკაში გამოვიყენე ეკონომიკური განვითარევის მონეტარული მოდელი.

ამოცანის გამარტივებას ყველა მეცნიერება წარმატებით იყენებს, განსაკუთრებით მათემატიკა, თუ ეს ამოცანის ამოხსნას ამარტივებას. ვნახოთ რა მოხდება ჩვენ შემთხვევაში?

დაუშვათ ქვეყანაში გასულ წელს დამზადდა 20 წინდა, მიმდინარე წელს მონეტარული მოდელის მიხედვით უნდა დამზადდეს 21 წინდა. თუ დავამზადებთ მაგალითად 40 წინდას (ანუ 100 % გავზრდით წარმოებას) მაშინ მონეტარული ეკონომიკის მოდელის პირობებში 19 წინდა არ გაიყიდება. გაყიდული 21 წინდიდან მიღებული შემოსავალი საკმარისი არაა 40 წინდის ხარჯების დასაფარად. საქმიანობა ზარალიანი ხდება და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე წარმოება იხურება.

სხვა რა ვარიანტი შეიძლება იყოს მონეტარული ეკონომიკის პირობებში

პროდუქციაზე ფასის შემცირაება, მაგრამ ეკონომიკური შედეგი ფულად გამოხატულებაში იგივე იქნება, რაც პირველ შემთხვევაში გაყიდული 21 წინდა, წარმოება კი კვლავ ზარალზე გავიდოდა.

როგორც ვხედავთ სურვილი იმისა, რომ წარმოება 100 % გაგვეზარდა, დამთავრდა იმით, რომ იგი დაიხურა. დადებითი შედეგის მაგივრად მივიღეთ უარყოფითი შედეგი. რომ გამოგვეშვა 21 წინდა, გვექნებოდა ეკონომიკის მინიმალური 5 %-იანი, მაგრამ ზრდა.

კვლევის პირველი შედეგები დამაფიქრებელია, თუმცა ეს კიდევ ყველაფერი არაა.

ნებისმიერ ეკონომიკურ მოდელს თავის კანონები აქვს, რომლებიც გარკვეულ ჩარჩოებს და ზღვრებს აწესებენ. ამ ზღვრებიდან გასვლა უარყოფით შედეგებს იძლევა. ამ კანონების უგულებელყოფა ან ამ მოდელში სხვა ეკონომიკური მოდელის კანონების გამოყენება მძიმე შედეგებით მთავრდება.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პრინციპი ბრუნვაში არსებული ფულის

მასის შეზღუდვაა, რაც წარმოშობს ფულის დეფიციტს. მონეტარიზმის მომხრეები თვლიან, რომ დამატებითი პროდუქციის გამოშვება ზრდის ფულის ბრუნვის სიჩქარეს. ეს იგივეა, რაც ფულის მასის გაზრდა, ინფლაციის გარეშე. ჩემი აზრით სწორედ აქ იყო დაშვებული შეცდომა.

ეკონომიკური განვითარების მონეტარულ მოდელში "აქილევსის ქუსლს" ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე წარმოადგენს. თუ ეს მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ)-ს პროპორციულად იცვლება, უცვლელი ფულის მასის პირობებში, მაშინ ეს მოდელი იდიალურია. ვინაიდან, მასში ჩადებულია ავტომატური რეგულირების მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ინფლაციას. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ეს მოდელი წარმოადგენს ნამდვილ „ჯოჯოხეთს", იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მას იყენებს.

ვინაიდან ამ მოდელში, ფულის ბრუნვის სიჩქარეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საფუძვლიანად განვიხილოთ, რა მოქმედებს ფულის მასის ბრუნვის სიჩქარეზე და როგორ იცვლება იგი.

ფულის ბრუნვის სიჩქარე მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში მუდმივია. ამას აღნიშნავდნენ ირვინ ფიშერიც და ალფრედ მარშალიც, რომლებსაც სერიოზული კვლევები აქვთ ჩატარებული ფულის მიმოქცევის საკითხებზე.

კვლევები ჩემს მიერაც ჩატარდა. პრობლემა უაღრესათ რთულია. სხვა მეცნიერებებისგან განსხვავებით ეკონომიკურ მეცნიერებაში კვლევების ჩატარება ძალზედ რთულია, ვინაიდან ამ მეცნიერრებაში პრაქტიკული ექსპერიმენტის ჩატარება ძნელია, მაკრო ეკონომიკურ დონეზე კი ფაქტიურად შეუძლებელი. ეკონომიკურ მეცნიერებაში კვლევების ჩატარება მხოლოდ თეორიულ დონეზე, ლოგიკური მოდელირებით და ლოგიგურად სწორი დასკვნებით არის შესაძლებელი. თუ მოდელირებაში ან ლოგიკაში შეცდომები იქნა დაშვებული, თუ ეს შეცდომები შეუმჩნეველი დარჩა და კვლევის შედეგები რეალურ ეკონომიკაში დაინერგა, ეს შეცდომები მილიონობით ადამიანს ცრემლისა და სისხლის ფასად უჯდება. ამ მეცნიერებაში შეცდომის დაშვება ძვირი ჯდება.

კვლევებს ისიც ართულებს, რომ ხშირად ეკონომიკაში მიმდინარეობს შეუმჩნეველი პროცესები, „წყალქვეშა დინებები", რომელთა აღმოჩენა, მათი ურთიერთ კავშირის დადგენა და სწორი ანალიზი ძალზედ რთულია. კიდევ ერთი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ თუ საკითხის კვლევისას ცნობილი მეცნიერების გავლენის ქვეშ მოექცი, ობიექტური კვლევების ჩატარება შეუძლებელია. და ბოლოს, ყველა მეცნიერებაში, მათ შორის ეკონომიკაშიც, როცა ურთულეს პრობლემას გადაწყვეტ და მის სისწორეში საბოლოოდ რწმუნდები, მერე ხვდები თუ რა მარტივია ყველაფერი და საკუთარ თავს ვერ პატიობ, ამ პრობლემაზე ამდენი დროის დაკარგვას.

15 წელი უშედეგოდ ვცდილობდი ფულის მასის ბრუნვის სიჩქარის გამომწვევი მიზეზების დადგენას. ყოველი წარუმატებელი კვლევის შემდეგ, გარკვეული პერიოდულობით, პრობლემას კვლავ ვუბრუნდებოდი იმ იმედით, რომ რამე სიახლეს მივაგნებდი, მაგრამ უშედეგოდ. ამ პერიოდში ერთი რამ დავადგინე, ქვეყნებში სადაც ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე დაბალია ეკონომიკა სტაბილურათ ვითარდება, ხოლო ქვეყნებში სადაც ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე მაღალია ეკონომიკური კრიზისია. ამის მიზეზი ვერ დავადგინე. თითქოს და იქ სადაც ფულის ბრუნვვის სიჩქარე მაღალია, ეკონომიკა უფრო სტაბილურად უნდა ვითარდებოდეს, ასე თვლიან მონეტარისტები. რეალურად პრაქტიკულ სტატისტიკაში კი ყველაფერი პირიქითაა. ამის შემეგ, ეს ფენომენი (ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე) კიდევ უფრო ბუნდოვანი, ამავე დროს საინტერესო და მნიშვნელოვანი გახდა. ამ პერიოდში კიდევ ერთი რამ დადგინდა, ინფლაციას განპირობებს მრავალი სხვადასხვა მიზეზი და არა მხოლოდ ფულის მასის ზრდა.

ფულის მიმოქცევასთან დაკავშირებულ ბოლო კვლევებით გარკვეული შედეგები მივიღე, შედეგები შემაძრწუნებელია, მაგრამ ეს მოგვიანებით განვიხილოთ.

აღმოჩნდა, რომ ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე დამოკიდებული არ არის: არც მშპ-ზე, არც ფულის მასაზე და არც ფასებზე.

კვლევებმა აჩვენა, რომ ფულის მასა ნაწილდება ბაზრის სუბიექტებს შორის მათი საბრუნავი კაპიტალების (მათი ბაზარზე აქტივობის) შესაბამისად. ხოლო ფულის ბრუნვის სიჩქარე ტოლია საბრუნავი კაპიტალების ბრუნვის სიჩქარეების საშუალო სიდიდისა.

თვითოეულ ბაზრის სუბიექტს სჭირდება საბრუნავი კაპიტალი. რა მოცულობის საბრუნავი კაპიტალია საჭირო? განვიხილოთ სამი შემთხვევა:

1. მინიმალური ოდენობა, 2. ოპტიმალური ოდენობა, 3. ოპტიმალურზე მეტი ოდენობა.

მინიმალური ოდენობის საბრუნავი კაპიტალის შემთხვევაში, ეკონომიკური სუბიექტი არასტაბილურად მუშაობს. ოპტიმალურზე მეტი საბრუნავი კაპიტალის შემთხვევაში, ფინანსური რესურსები არაეფექტურად გამოიყენება, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფაქტიურად შეუძლებე-

ლია. ოპტიმალური ოდენობის საბრუნავი კაპიტალის დროს ეკონომიკური სუბიექტი სტაბილურად ფუნქციონირებს.

როგორც ანალიზიდან ჩანს საბრუნავი კაპიტალის სიდიდე ბაზრის თვითოეული სუბიექტისათვის ინდივიდუალური, მაგრამ მუდმივია და იგი ტოლია ოპტიმალური ოდენობისა.

რაც შეეხება საბრუნავი კაპიტალის ბრუნვას. საბრუნავი კაპიტალის ერთი პერიოდი ტოლია პროდუქციის დამზადებაზე და მის რეალიზაციაზე დახარჯული დროისა. ეკონომიკური სუბიექტის სტაბილური მუშაობის შემთხვევაში ეს სიდიდეც მუდმივია. წლის განმავლობაში ბრუნვის სიჩქარე ტოლია, ამ წლის განმავლობაში პერიოდების ჯამისა.

წარმოების შემთხვევაში საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე პირდაპირა კავშირშია და დამოკიდებულია საწარმოო ციკლზე და ეს სიდიდეც მუდმივია.

ჩემი აზრით საწარმოო ციკლი შეიძლება იყოს: ნორმალური, პროფიციტული და დეფიციტური. ნორმალურია საწარმოო ციკლი, როდესაც დროის ერთეულში დამზადებული პროდუქცია ტოლია ამავე დროში გაყიდული პროდუქციისა. საწარმოო ციკლი პროფიციტულია, როცა დროის ერთეულში იწარმოება უფრო მეტი პროდუქცია ვიდრე იყიდება. საწარმოო ციკლი დეფიციტურია, თუ დროის ერთეულში იწარმოება უფრო ნაკლები ვიდრე იყიდება. პროფიციტული და დეფიცითური საწარმოო ციკლები დროებითია და ნებისმიერ შემთხვევაში უბრუნდება ნორმალურ ციკლს. პროფიციტის შემთხვევაში, შემცირდება პროდუქციის გამოშვება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოება ზარალიანი გახდება და გაჩერდება. დეფიციტის შემთხვევაში გაიზრდება ფასი და საწარმოო ციკლი ნორმალური გახდება.

იმისათვის, რომ ამ საკითხებში კარგად გავერკვეთ კიდევ ერთხელ გავამარტივოთ ქვეყნის ეკონომიკა: დაუშვათ, რომ ქვეყანაში მხოლოდ ერთი წარმოებაა. მაშინ, ამ წარმოების საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე ტოლი იქნება ქვეყნის ფულის მასის ბრუნვის სიჩქარისა.

ჩვენს გამარტივებულ მოდელში გავზარდოთ ქვეყნის ფულის მასა. რა მოხდება?

თუ წარმოებას გააჩნია საკმარისი სიმძლავრეები, გაიზრდდება პროდუქციის მოცულობა. ამ შემთხვევაში პროდუქციის ზრდის პროპორციულად გაიზრდება საბრუნავი კაპიტალი, ანუ მოხდება გაზრდილი ფულის მასის ბრუნვაში ჩართვა და ყოველ ბრუნში დამატებითი პროდუქციის გამოშვება. საწარმოო ციკლი არ იცვლება, აქედან გამომდინარე არ იცვლება საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე და არც ქვეყნის ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე შეიცვლება.

თუ წარმოება ზღვრულ სიმძლავრეებზე მუშაობს და არ შეუძლია დამატებითი პროდუქციის გამოშვება, გაიზრდება ფასები (მოხდება ინფლაცია). საბრუნავი კაპიტალი ფულად გამოხატულებაში იზრდება, რეალური პროდუქციის მოცულობა იგივე რჩება. საწარმოო ციკლი არ იცვლება, აქედან გამომდინარე არ იცვლება საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე და არც ქვეყნის გაზრდილი ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე შეიცვლება.

გავზარდოთ გადასახადები ჩვენს ეკონომიკურ მოდელში.

ამ შემთხვევაში გაიზრდება ფასები. რაც გამოიწვევს პროდუქციის შემცირებას, ფულად გამოხატულებაში კი მოხდება სტრუქტურული ცვლილებები, წარმოების შემოსავლებიდან შედარებით უფრო მეტს წაიღებს სახელმწიფო, შედარებით ნაკლები დარჩება წარმოებას. ამ შემთხვევაშიც საწარმოო ციკლი არ იცვლება, აქედან გამომდინარე არ იცვლება საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე და არც ქვეყნის ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე შეიცვლება.

შევამციროთ გადასახადები.

უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაშიც მოხდება სტრუქტურული ცვლილებები, წარმოების შემოსავლებიდან შედარებით უფრო ცოტას წაიღებს სახელმწიფო და გაიზრდება წარმოების მოგება. ამ შემთხვევაშიც საწარმოო ციკლი არ იცვლება, აქედან გამომდინარე არ იცვლება საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე და არც ქვეყნის ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე შეიცვლება.

ჩვენს მოდელში გავზარდოთ პროდუქციის მოცულობა.

რამდენადაა ეს შესაძლებელი? ეს შესაძლებელია თუ წარმოებას გააჩნია საკმარისი სიმძლავრეები და ნედლეულსა და მასალებს აიღებს ნისიათ ან ბანკიდან აღებული კრედიტით.

ეს იგივეა რაც საბრუნავი კაპიტალის გაზრდა, კრედიტორული დავალიანების წარმოშობის პირობებში. ჩვენ მოდელში საწარმოო ციკლი პროფიციტული გახდება, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ პროფიციტული ციკლი დროებითია და კვლავ ნორმალურს დაუბრუნდება.

რეალურ ეკონომიკაში საწარმოო ციკლი ან პროფიციტული გახდება და დროებით შენელდება გაზრდილი საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე, შემდგომ კი კვლავ დაუბრუნდება ნორმალურ ციკლს, ან მუდმივად მოხდება საბრუნავი

კაპიტალის გაზრდა ბაზრის სხვა სამართალ სუბიექტების საბრუნავი კაპიტალების შემცირების ხარჯზე. ამ შემთხვევაშიც საწარმოო ციკლი არ იცვლება და არც ქვეყნის ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე შეიცვლება.

რა მოხდება თუ ჩვენ მოდელში გავზრდით პროდუქციის ფას.

ამ შემთხვევაში, ან შემცირდება პროდუქციის მოცულობა და სათანადოთ საბრუნავი კაპიტალი ან გაიზრდება საბრუნავი კაპიტალი სხვა სამართალ სუბიექტების საბრუნავი კაპიტალების შემცირების ხარჯზე. საწარმო ციკლი არ იცვლება არ შეიცვლება საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე, არც ქვეყნის ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე შეიცვლება.

შეიძლება განვიხილოთ კიდევ ბევრი შემთხვევა და ყოველ ჯერზე დავრწმუნდებით, რომ ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე არ იცვლება. რა თქმა უნდა აბსოლიტურად უცვლელი არაფერია, ფულის ბრუნვის სიჩქარეც ცვალებადია, მაგრამ კვლევები აჩვენებენ რომ იგი არაა დამოკიდებული: არც მშპ-ზე, არც ფულის მასაზე და არც ფასების სიდიდეზე.

რაზეა დამოკიდებული ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე?

კვლევები გვიჩვენებს რომ ქვეყნის ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე დამოკიდებულია ეკონომიკური სუბიექტების საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარეზე და საბრუნავი ფულის ოდენობაზე.

ეკონომიკური სუბიექტის საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო ციკლზე (ეკონომიკური სუბიექტის საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის პერიოდზე). საწარმოო ციკლი კი შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა მიზეზებით: ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის შედეგად (იზრდება საწარმოო ციკლი), ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად (მცირდება საწარმოო ციკლი), წარმოების არასტაბილური მუშაობის ან არა სწორი მენეჯმენტის შედეგად (იზრდება საწარმოო ციკლი) და ა. შ.

საბრუნავი ფულის ოდენობა კი დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო ციკლში პროდუქციის მოცულობაზე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბრუნავი კაპიტალი მხოლოდ ფულისგან არ შედგება, იგი საბრუნავი კაპიტალის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს შეადგენს, ყოველ ეკონომიკურ სუბიექტს სტაბილური მუშაობისათვის გარკვეული ოდენობის ფული სჭირდება: ნედლეულის და მასალების შესაძენად, ხელფასების გასაცემად, მევალინებებისათვის, სხვა ვალდებულებების შესასრულებლად და ა.შ. ეს მაჩვენებელი მუდმივია, მისი ბრუნვის სიჩქარე კი იგივეა რაც საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე.

რა რაოდენობის ფულია საჭირო ბრუნვაში, რომ ეკონომიკურმა სუბიექტმა სტაბილურად იმუშაოს?

იმისათვის რომ ეკონომიკურმა სუბიექტმა სტაბილურად იმუშაოს და პრობლემები არ შეექმნეს, საჭირო ფულის მასა ტოლია ერთ საწარმოო ციკლში გამოშვებული პროდუქციის საბაზრო ღირებულებისა.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტისათვის სხვადასხვაა. ეს შეიძლება იყოს ერთი დღე, რამდენიმე თვე ან რამდენიმე წელიც. ციკლი განსაკუთრებით დიდია როცა ფული თვითონ ხდება საქონელი. ფული საქონელი ხდება, როცა იყიდება ანუ როცა კრედიტით გაიცემა. ბანკის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა ფულის გაყიდვა ანუ კრედიტით გაცემაა. ბანკისათვის მოზიდული და საკუთარი სახსრები წარმოადგენს საბრუნავ კაპიტალს. როცა ბანკი კრედიტს გასცემს იგი პრაქტიკულად საქმეში (თავის ძირითად საქმიანობაში), დებს ფულს. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ციკლი განისაზღვრება კრედიტის გაცემიდან მის სრულ დაბრუნებამდე და შეიძლება 15 - 20 წელი გრძელდებოდეს. ამ პროცესში საინტერესოთ მოქმედებს საპროცენტო განაკვეთი. საქმე ისაა რომ პროცენტი ამცირებს ბრუნვის ციკლს, თუ პროცენტი მაღალია, საწყისი თანხა ძალიან სწრაფად ამოდის, ეს კი მოქმედებს ქვეყნის ფულის მასის ბრუნვის სიჩქარეზე. ესეიგი რაც უფრო ძვირია ფული (ქვეყანაში ძვირი ფულის პოლიტიკაა) მით უფრო მაღალია ფულის ბრუნვის სიჩქარე.

ბანკის საკრედიტო რესურსის ბრუნვის პერიოდი დამოკიდებულია დროის ხანგრძლივობაზე და პროცენტზე. რაც უფრო გრძელვადიანია კრედიტი და დაბალია პროცენტი, მით უფრო დაბალია ბანკის საბრუნავი კაპიტალის სიჩქარე.

ქვეყნებში სადაც სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა და კრედიტები აქტიურად გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, ამ ქვეყნებში კრედიტები მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყნის ფულის მასის ბრუნვის სიჩქარეზე.

ბოლო კვლევების შედეგად გასაგები ხდაება თუ რატომ არის, რომ იმ ქვეყნებში სადაც ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე დაბალია, ეკონომიკა სტაბილურათ ვითარდება, ხოლო იმ ქვეყნებში სადაც ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე მაღალია ეკონომიკური კრიზისია. ქვეყნებში სადაც ფულად-

საკრედიტო პოლიტიკა ნორმალურია: პროცენტი დაბალია და გაიცემა გრძელვადიანი კრედიტები, ეკონომიკა სტაბილურად მუშაობს, ეს კი თავის მხრივ განაპირობებს საკრედიტო რესურსების აქტიურად გამოყენებას. ამის შედეგია რომ ამ ქვეყნებში ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე დაბალია. ეკონომიკურ კრიზისში მყოფ ქვეყნებში მაღალი რისკებიდან გამომდინარე საპროცენტო განაკვეთი განსაკუთრებით მაღალია, ხშირად იგი სამნიშნა ციფრით გამოიხატება, ამავე დროს ასეთ ქვეყნებში გაიცემა მოკლევადიანი კრედიტები. კრედიტის ასეთი პირობები არის ძირითადი მიზეზი ასეთ ქვეყნებში ფულის მასის ბრუნვის მაღალი სიჩქარისა.

ჩვენი ქვეყანაში ბანკის კრედიტი, ქონების წართმევასთან, ოჯახის გაუბედურებასთან, ბიზნესის დაკარგვასთან და ა. შ. ასოცირდება. ნორმალურ ქვეყნებში, სადაც საპროცენტო განაკვეთი დაბალია, კრედიტს აქტიურად იყენებენ, როგორც სოციალური და ყოფითი პრობლემების გადასაწყვეტად, ისე ბიზნესის დასაწყებად და განვითარებისათვის. ნორმალურ კრედიტს საზოგადოების განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ სტატიის თემა კრედიტთან არსებული საკითხების შესწავლა არ არის, თორემ ამ საკითხს ფართოდ გავშლიდით.

დაუბრუნდეთ ჩვენი სტატიის განხილვის თემას.

რა ხდება რეალურ ეკონომიკაში და როგორ იცვლება ფულის ბრუნვის სიჩქარე?

ყოველ დღიურად ბაზარზე ჩდებიან ახალი სუბიექტები, ზოგი სუბიექტი კი გადის ბაზრიდან. ზოგი სუბიექტი აფართოვებს თავის საქმიანობას, ზოგი კი ამცირებს. თუ ბაზარზე შევიდა ახალი სუბიექტი ან გააფართოვა საქმიანობა ისეთმა სუბიექტმა რომელთა საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე უფრო მაღალია ვიდრე ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე, ამ შემთხვევაში ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე იზრდება. თუ ბაზარზე შევიდა ისეთი სუბიექტი ან გააფართოვა საქმიანობა ისეთმა სუბიექტმა რომელთა საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე უფრო დაბალია ვიდრე ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე, ამ შემთხვევაში ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე მცირდება.

ქვეყანაში რა რაოდენობის ფულის მასაა საჭირო ბრუნვაში, რომ ეკონომიკამ სტაბილურად იმუშაოს?

ქვეყნის ეკონომიკამ სტაბილურად რომ იმუშაოს და პრობლემები არ შეექმნეს, საჭირო ფულის მასა ტოლია ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ციკლში გამოშვებული პროდუქციის და მომსახურების საბაზრო ღირებულებისა.

გამოვიყვანოთ ფულის მასის დასათვლელი ახალი ფორმულა:

ფმ = სფ X ეს (1)

სადაც: ფმ - ფულის მასაა

სფ – ეკონომიკური სუბიექტების საბრუნავი ფულის საშუალო სიდიდეა

ეს - ეკონომიკური სუბიექტების რაოდეობაა

მშპ კი ტოლი იქნება:

მშპ = სფ X ეს X სს (2)

სადაც: სს - საბრუნავი კაპიტალების საშუალო ბრუნვის სიჩქარეა

მე-2 ფორმულაში სს იგივეა რაც ქვეყნის ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე. მე-2 ფორმულაში (სფ X ეს) მაგივრად ჩავსვათ ფმ, 1 ფორმულიდან მაშინ გვექნება:

მშპ = ფმ X სს (3)

გარდავქმნათ ფორმულა შემდეგი სახით:

$$\text{ფმ} = \frac{\text{მშპ}}{\text{სს}} \qquad (4)$$

მე-4 ფორმულაში მშპ ფულად გამოხატულებაშია. მშპ ფულად გამოხატულებიდან გადავიტანოთ ნატურალურ გამოხატულებაში მაშინ:

$$\text{ფმ} = \frac{\text{მშპ' X ფ}}{\text{სს}}$$

სადაც: მშპ' - მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობაა ნატურალურ გამოხატულებაში.

ფ - ერთეულის საშუალო ფასია

მივიღეთ ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფიშერის ფორმულა.

მონეტარული მოდელის პირობებში ფმ - ფულის მასა არ იცვლება (უფრო ზუსტათ, უმნიშვნელოდ იცვლება). მონეტარისტების მეორე მტკიცება, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარე იცვლება მშპ-ს პროპორციულად, ჩვენი კვლევებით დავადგინეთ რომ ეს მტკიცება მცდარია, სს - ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე არაა დამოკიდებული, არც მშპ-ზე, არც ფულის მასაზე, არც ფასების სიდიდეზე და იგიც მუდმივია. ასეთ ვითარებაში მე-5 ფორმულაში ფმ და სს უცვლელია (მუდმივია), მაშინ მშპ-ს გაზრდა ნატურალურ გამოხატულებაში პრაქტიკულად შეუძლებელია.

რა მოხდება ფასების ზრდის (ინფლაციის) დროს?

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში, როცა ფულის მასა და ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე მუდმივია, მე-5 ფორულიდან კარგად ჩანს, რომ ფასების ზრდის შემთხ-

ვევაში შემცირდება მშპ, ანუ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი.

შეიძლება თუ არა ფასის გაზრდა? როგორ იზრდება ფასები ფულის დეფიციტის დროს?

მონოპოლიურ პროდუქციაზე: ენერგო მატარებლებზე, ტრანსპორტზე, იმპორტულ პროდუქციაზე ფასები იზრდება. ფასები იზრდება გადასახადების ან მოსაკრებლების გაზრდის შედეგად. ფასები იზრდება პოლიტიკური მოვლენების დროს, ბუნების კატაკლიზმების და კლიმატური პირობების ცვლილებების შედეგად, კატასტროფების დროს და ა. შ. ფასები შეძლება გაიზარდოს ძალიან ბევრი მიზეზის გამო რომელთა საფუძვლიან გაანხილვასაც ახლა არ დავიწყებთ, ვინაიდან ეს უკვე სხვა თემაა და ცალკე განხილვას მოითხოვს. ასე, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ფასები მუდმივად იზრდება. მე-5 ფორმულიდან კარგად ჩანს რომ ფასების მნიშვნელოვანი ზრდა, მკვეთრად ამცირაბს რეალურ მშპ-ს. ეს კი გაჩერებული ფირმები, დაკარგული სამუშაო ადგილებია და ა. შ. და ა. შ..

იმის გამო, რომ ფასები ყოველწლიურად იზრდება, რეალური მშპ ყოველწლიურად მცირდება.

მაშინ სტატისტიკით რატომ გვაქვს მშპ ყოველწლიური ზრდა?

ჯერ ერთი სტატისტიკა არაა ზუსტი და მერე ითვლიან ფულად გამოხათულებაში. ფულად გამოხატულებაში კი იმფლაციაც ზრდის მშპ-ს. არ ხდება მშპ-ს დადგენა შესადარ ფასებში. არის კიდევ ათასი მახინაცია რითაც ქაღალდზე სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლები საგრძნობლათ შეიძლება გაზარდო, თუ ამის სურვილი არის.

აქვე მათთვის ვინც არ იცის მინდა განვმარტო, რომ მთავარი და მნიშველოვანი რეალური (ნატურალური) მშპ-ა ანუ ის რაც მატერიალურია და არა „ვირტუალური მშპ", მშპ ფულად გამოხატულებაში. ეს ორი სიდიდე აბსოლიტურად განსხვავდება ერთმანეთისგან, პირველი ასახავს მოსახლეობის რეალურ კეთილდღეობას, მეორე კი წმინდა სტატისტიკური სიდიდეა და სხვა არაფერი.

რამდენით მცირდება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ყოველწლიურად?

მე-5 ფორმულიდან კარგად ჩანს, რომ ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში, როცა ქვეყნის ფულის მასა და ფულის მასის ბრუნვოის სიჩქარე მუდმივია, რამდენჯერაც გაიზრდება ფასები (ინფლაცია), იმდენჯერ მცირდება რეალური მშპ.

სტატიის დასაწყისში ავღნიშნე, რომ სოციალური მდგომარეობა წლიდან-წლამდე უფრო და უფრო მძიმდება. ახლა გასაგები ხდება ის თუ რა იწვევს სოციალური მდგომარეობის ყოველწლიურად გაუარესებას. ასეთ მდგომარეობას ეკონომიკაში სტაგნაციასაც კი ვერ დავარქმევთ.

რა ქვია ასეთ ეკონომიკას?

მომაკვდავი ეკონომიკა - სხვა დასახელება ასეთ ეკონომიკას არა აქვს. ეკონომიკა რომელიც არსებობს ("ფეთქავს") ყოველწლიურად უცხოეთიდან შემოსული ფულადი "ინექციებით".

გავაგრძელოთ ჩვენი კვლევები.

განვაზოგადოთ და გავავრცოთ პირველი გამარტივებული მოდელი. ეკონომიკურ კრიზისში ჩავარდნილი ყველა ქვეყანა ცდილობს კრიზისიდან გამოსვლას და სხვადასხვა ზომებს მიმართავს. იღებენ უცხოურ ვალებს, სიმბოლურ ფასებში გადასცემენ სახელმწიფო წარმოებებს და ფაბრიკებს ადგილობრივ და უცხოელ ბიზნესმენებს, იზიდავს უცხოელ ინვესტორებს და უქმნიან სასათბურე პირობებს ად ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი ხდება მონეტარული ეკონომიკის პირობებში. როგორც პირველი გამარტივებული მოდელიდან კარგად დავინახეთ, მონეტარულ მოდელში კრიზისიდან გამოყვანის ყოველი მცდელობა უშედეგოთ ან უფრო მძიმე შედეგით მთავრდება. რაც უფრო მეტათ გავცდებით მონეტარული მოდელის ჩარჩოებს, მით უფრო მძიმე შედეგებს ვღებულობთ. რაც უფრო მეტია კრიზისიდან გამოსვლის მცდელობა და სურვილი, მით უფრო ღრმავდება კრიზისი.

მონეტარიზმი კატეგორიულად კრძალავს ფულის ემისიას. ფულის დეფიციტის პირობებში, მთავრობა სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლათ იღებს უცხოურ ვალებს. მაგრამ აქაც სერიოზული შეზღუდვებია. შეღავათიან ვალებს შეზღუდული ოდენობით სავალუტო ფონდი იძლევა, მაგრამ ეკონომიკის რეალურ სექტორში თანხების ჩადებას მკაცრად კრძალავს, მონეტარული ეკონომიკის პირობებში ეს კატეგორიულად დაუშვებელია.

ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებათ მთავრობას საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის მიზნით ზრდის გადასახადებს. სხვა გზა არა აქვს. მონეტარული პოლიტიკის პირობებში ამან შეიძლება გაზარდოს ბიუჯეტის შემოსავლები, მაგრამ კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. გადასახადების ზრდა ზრდის ფასებს, ფასების ზრდა კი მონეტარული მოდელის პირობებში ამცირებს პროდუქციის მოცულობას. მშპ ფულად გამოხატულებაში არ იცვლება, რეალური მშპ კი მცირდება. ამის შედეგად იზრდება

უმუშევრობა და შესაბამისად უარესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. შედეგი: რეალური მშპ-ს შემცირება, ინფლაცია, უმუშავრობის გაზრდა.

რას იწვევს მონეტარული ეკონომიკის პირობებში იმპორტი?

იმპორტული პროდუქცია არა მხოლოდ კონკურენციას უწევს ადგილობრივ პროდუქციას, არამედ ბაზარზე გაზრდილი საქონელი მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს ეროვნულ ვაუტაში, რაც ფულის დეფიციტის პირობებში ფაქტიურად ანგრევს ეროვნულ ეკონომიკას და ძალიან სწრაფი ტემპებით აჩერებს ადგილობრივ წარმოებას.

რას იწვევს მონეტარული ეკონომიკის პირობებში ექსპორტი?

მონეტარული ეკონომიკის მოდელის პირობებში მკვეთრად იზრდება სამუშაო ძალის ექსპორტი, უმუშავრად დარჩენილი მოსახლეობა სამუშაოს ეძებს უცხოეთში. მათი აბსოლიტური უმრავლესობა არალეგალურად არიან დასაქმებულები, რის გამოც 3-4 ჯერ უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ. ფაქტიურად უმრავლესობა მათგანი მონურ შრომას ეწევა.

სამუშაო ძალის გარდა ექსპორტზე გადის ხეტყე, მინერალური წყლები, სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ა.შ.

მნიშვნელოვანი რაოდენობით უცხოური ვალუტის შემოდინების პირობებში, ადგილობრივ ბაზარზე მნიშვნელოვნად იზრდება უცხოური ვალუტის მიწოდება, ეროვნული ვალუტა კი მონეტარული ეკონომიკის პირობებში იგივე რჩება. იწყება ეროვნული ვალუტის გამყარება. ეროვნული ბანკი სპეკულაციური ვაჭრობით ახერხებს საგრძნობი რაოდენობის უცხოური ვალუტის ბაზრიდან ამოღებას,მაგრამ მონეტარული ეკონომიკის პირობებში აქაც შეზღუდულია, იგი არ უნდა გაცდეს მონეტარიზმის ჩარჩოებს. როცა ეროვნული ბანკი ვეღარ ახერხებს ჭარბი უცხოური ვალუტის ამოღებას, იწყება სწრაფი ტემპებით ეროვნული ვალუტის გამყარება. გამყარებული ეროვნული ვალუტა არაკონკურენტულს ხდის ექსპორტულ პროდუქციას, ამცირებს ექსპორტზე ორიენტირებული ფირმების შემოსავლებს და ზარალიანს ხდის მათ.

როგორ მოქმედებს ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში კომერციული კრედიტები?

ფულის დეფიციტის პირობებში საგრძნობლად იზრდება კრედიტის პროცენტი (ფული ძვირდება), რაც კომერციულ ბანკებს ზემაღალი მოგების საშუალებას აძლევს. მაშინ როცა მთავრობა შეზღუდულია კრედიტის აღებაში, კომერციულ ბანკებს არანაირი შეზღუდვა არა აქვს უცხოური კრედიტების მოზიდვაში. ბანკები კრედიტებს გასცემენ სხვადასხვა ვალუტაში. მოსახლეობა და ფირმები კრედიტებს იღებენ დიდი უზრუნველყოფის ფასად. კრედიტების გასტუმრებას არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში ბევრი ვერ ახერხებს. ასეთ პირობებში ბანკები კრედიტორებს "ჩალის" ფასად უყიდიან სახლკარს, ქონებას და გაცემული თანხები უკან ამოაქვთ. ამ შემთხვევაში მონეტარული მოდელი აღატაკებს მოსახლეობას.

გარდა ამისა ყველა კომპანია, დიდი თუ პატარა ფირმა ცდილობს ბიზნესის გაფართოვებას, ან ახალი ბიზნესის დაწყებას. იღებენ კრედიტებს უცხოურ ვალუთაში. ქმნიან დამატებით პროდუქციას, მაგრამ მონეტარული ეკონომიკური მოდელის პირობებში ეროვნული ვალუტა შეზღუდული და დეფიციტურია. როგორც მე-5 ფორმულის განხილვის დროს ვნახეთ, მშპ-ს გაზრდა მონეტარული ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში ახალი ეკონომიკური სუბიექტის წარმოშობა მოითხოვს ფულს საბრუნავი კაპიტალის სახით ეროვნულ ვალუტაში. ფულის დეფიციტის პირობებში თანხების მობილიზება ხდება სხვა ეკონომიკური სუბიექტებიდან წამოღებით ანუ სხვა ბაზრის სუბიექტებს უმცირდებათ საბრუნავი ფული. აქედან გამომდინარე ბევრ ფირმასა და კომპანიას სერიოზული პრობლემები ექმნებათ თავიაანთ საქმიანობაში. ფირმები და კომპანიები ვეღარ ახერხებენ აღებული კრედიტების მომსახურებას. ბევრი ფირმა და კომპანია კოტრდება, ბევრი მათგანის მუშაობა არასტაბილური ხდება. ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი უკვე თავის თავში შეიცავს პრობლემებს კრედიტების მომსახურებაში. მონეტარული ეკონომიკის პირობებში კრედიტები "წყალს მუდმივად ანღვრევს" ანუ ეკონომიკურ სიტუაციას მუდმივად ურევს, არა სტაბილურს ხდის. თუ კრედიტების გაცემა მასიურია ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა არასტაბილური ხდება და ეკონომიკური კრიზისი უფრო ღრმავდება. როგორც ვხედავთ უცხოეთიდან მოზიდული კომერციული საკრედიტო რესურსი მონეტარული ეკონომიკის მოდელის პირობებში უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე. კრედიტები რომ მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გაიცემოდეს, ზემოთ მოყვანილი პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში სხვა

პრობლემები დადგება, უფრო დეფიციტური და ზევრათ ძვირი გახდება საკრედიტო რესურსები.

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან გასაგები ხდება, თუ რატომაა პრობლემები კრდიტების გასტუმრებაში და რატომ მიიღო ამან მასიური ხასიათი. როგორც უკვე ავღნიშნეთ ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი უკვე თავის თავში შეიცავს პრობლემებს კრედიტების მომსახურებაში.

მონეტარული მოდელი და ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება.

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს ეკონომიკას ეხსნება ბაზარი 500 მლნ. კაცი მოსახლეობით, ამავე დროს ევროპიის ეკონომიკა წელიწადში 19 ტრილიონი დოლარის პროდუქციას აწარმოებს. მიმაჩნია რომ ამ ხელშეკრულებას ქვეყანა სრულიად მოუმზადებელი ხვდება. ქვეყნის ეკონომიკას გარდა ბუნებრივი რესურსებისა, ექსპორტზე გასატანი არაფერი აქვს, ამავე დროს მოსალოდნელია იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ იმპორტის ზრდა მონეტარული მოდელის პირობებში მკვეთრად უარყოფითად მოქმედებს ეროვნულ ეკონომიკაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარების პირობებში ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკას, არამედ მის ეროვნულ უსაფრთხოებასაც.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი და მონოპოლია.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში არსებობას ახერხებენ მხოლოდის ის ფირმები და კომპანიები, რომელებიის ხელშიც მნიშვნელოვანი ფული იყრის თავს. საბოლოო ჯამში პრაქტიკულად ყველა სფეროში ყალიბდებიან მონოპოლისტები. ფულის დეფიციტი და მონეტარული განვითარების ეკონომიკური მოდელი თვითონ უწყობს ხელს და განაპირობებს ბაზარზე მონოპოლისტების წარმოშობას.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი და ეროვნული ვალუტა.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში, იმის გამო რომ არ ხდება ეკონომიკის განვითარება, ეროვნული ვალუტა არ მყარდება ეროვნული პროდუქციით. აღნიშნულიდან გამომდინარე ეროვნული ვალუტა ფორმალურად ასრულებს ფულის ფუნქციებს. ფულისათვის დამაასიატებელი სამი ძირითადი ფუნქციიდან: 1. ფული როგორც გადახდის (მიმოქცევის) საშუალება, 2. ფული როგორც ღირებულების საზომი, 3. ფული როგორც დაგროვების საშუალება, არცერთ მადგანს სრულფასოვნად არ ასრულებს. ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში ეროვნული ვალუტა ფულის სუროგატს წარმოადგენს, რომელიც ნაწილობრივ ასრულებს ფულის ფუნქციებს, ამავე დროს ფულის ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი დელეგირებულია უცხოურ ვალუტებში.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში შეუძლებელია ქვეყანას ქონდეს სრულფასოვანი ეროვნული ვალუტა.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში ეროვნული ვალუტა ბაზრის მხოლოდ ობიექტია, ის არ არია ბაზრის სუბიექტი. ეროვნული ბანკის მიერ არ ხდება ეროვნული ვალუტით ვაჭრობა. ეროვნული ბანკი მხოლოდ რამდენიმე კვირიან კრედიტებს გასცემს, ამით ეროვნული ბანკი საკრედიტო პოლიტიკას კი არ ატარებს, ეროვნული ვალუტით ვაჭრობის (კრედიტის გაცემის) ილუზიას ქმნის. ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში შეუძლებელია ეროვნული ვალუტა ბაზრის სუბიექტი იყოს, მაშინ ირღვევა მონეტარიზმის მთავარი პრინციპი, წლის განმავლობაში ფულის მასის 4-5 % ზრდა. რაც შეეხება თავად ფულს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ეროვნული ვალუტა მხოლოდ ფულის სუროგატს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე არანაირი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყანაში არ ტარდება. ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება შეუძლებელია.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი და დემოკრატია.

ყველა მთავრობა ხელისუფლებაში მოსვლამდე სხვადასხვა დაპირებებს აძლევს ხალხს. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევის ყოველი მცდელობა უშედეგოდ მთავრდება. როგორც არაერთხელ ავღნიშნეთ ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში ეკონომიკის და ქვეყნის განვითარება შეუძლებელია. ძალიან მალე ახლად მოსული ხელისუფლება რწმუნდება რომ დაპირებების შესრულება შეუძლებელია. ამავე დროს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა და ხელისუფლების შენარჩუნებაა. ერთის მხრივ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოუგვარებლობა და მეორეს მხრივ ხელისუფლე-

ქვეყანაში ყოფნის სურვილი ქვეყანაში ფეთქებად საშიშ „მოლოტოვის კოქტეილს" წარმოშობს. ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალა ყველანაირად ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას, ყოველწლიურად მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესების პირობებში. ზუსტათ ასეთ ვითარებაში ყალიბდებიან დიქტატორული რეჟიმები. ამ ყველაფრის შედეგია: ხელისუფლების უზურპაცია, სამოქალაქო დაპირისპირება, ეთნკური კონფლიქტები, სამოქალაქო ომები და ა. შ. სამართლიანი და დემოკრატიული ქვეყნის აშენება ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში „ილუზიაა" და სხვა არაფერი. ქვეყნის დემოკრატიული განვითარება ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში შეუძლებელია.

როგორც ვხედავთ ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი ყველაფერს ანგრევს და ანადგურებს. ჩვენ ქვეყანაში და არა მხოლოდ ჩვენ ქვეყანაში ყველა უბედურობის სათავე და მთავარი მიზეზი არასწორად შერჩეული ეკონომიკური განვითარების მოდელია.

მაშინ რამ განაპირობა მონეტარული მოდელის, როგორც წარმატებული მოდელის სახელი?

თუ დავაკვირდებით ჩვენი განხილვებიდან ჩანს, რომ მონეტარული მოდელი ყოველთვის ცდილობს ვითარება დააბრუნოს ამ მოდელით განსაზღვრულ ჩარჩოებში. ეს მოდელი განვითარებული ქვეყნებისათვის მისაღებია. ეკონომიკის წლიური 4-5 %-ით ზრდა ასეთი ქვეყნებისათვის კარგ შედეგად ითვლება. ეს მოდელი კი ასეთი ზრდის პირობებში სხვა მოდელებზე უკეთესად ახერხებს ეკონომიკის სტაბილურობას და ზრდას. აი რამ განაპირობა ამ მოდელის სახელი და დიდება.

ამავე დროს განვითარებულ ქვეყნებში როგორც კი ეკონომიკის ზრდის ტემპები იზრდება ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი ამ ქვეყნებშიც სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ამითაა გამოწვეული ამ ქვეყნებში პერიოდული ეკონომიკური კრიზისები.

მონეტარული მოდელი ძალინ კარგად მუშაობს ქვეყნებში რომლებიც ეკონომიკურ ვარდნას განიცდის. შეიძლება ითქვას რომ ეს მოდელი ამ ქვეყნებში ასტაბილურებს არსებულ ვითარებას.

საქართველოში ამ მოდელმა ძალიან კარგად იმუშავა 90-იანი წლების პირველ ნახევარში, მაშინ გიპერ ინფლაციის დროს ამ მოდელის დანერგვით სწრაფად მოხდა ინფლაციური პროცესების მოთოკვა და დაასტაბილურა ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში.

მონეტარული მოდელი სრულიად მიუღებელია ქვეყნებისათვის, რომლებმაც ეკონომიკური ვარდნა განიცადეს და კრიზისიდან გამოდიან. ასეთ დროს ქვეყანას წელიწადში ეკონომიკის 3-5 პროცენტიანი ზრდა კი არა 200-300 პროცენტიანი ზრდა ჭირდება.

აშშ-ს დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს (1929-1933 წწ), კრიზისიდან გამოსასვლელად მონეტარული მოდელი რომ გამოეყენებინა, კრიზისის დაძლევას უკეთეს შემთხვევაში XX საუკუნის ბოლოს თუ შეძლებდა. ჩემი აზრით კი დღესაც კრიზისში იქნებოდა.

მონეტარული მოდელით მოსახლეობის მდგომარეობა რომ ორჯერ გაუმჯობესდეს (რაც დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ნორმალური კეთილდღეობისათვის საკმარისი არაა) იდიალურ შემთხვევაში 15-20 წელი ჭირდება.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის მოქმედების შედეგები საქართველოში.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის მოქმედების შედეგები კატასტროფულია. ინდუსტრიულად განვითარებული ჩვენი ქვეყანა განვითარებად (მათხოვარი ქვეყნების) რიგში ჩააყენა.

– ასობით გაჩერებული და მიწასთან გასწორებული ქარხანა, ფაბრიკა და სხვა წარმოება.

– დანგრეული სოფლის მეურნეობა.

– უმძიმესი სოციალური მდგომარეობა.

– განადგურებული სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტები.

– დაკარგული ტერიტორიები.

– 1,7 მილიონი ემიგრანტი, ეს კი რეალურად 100 ათასობით დანგრეული ოჯახია.

– ათასობით შიმშილით და უწამლობით დაღუპული ადამიანი.

– 1,0 მლნ სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩენილი კაცი (მოშიმშილე მოსახლეობა).

– 79 000 ბავშვი შიმშილობს.

– ყოველწლიურად 300 ბავშვი შიმშილით გვეღუპება.

– 1,0 მილიონ კაცზე მეტი გადახდის უუნაროა და შავ სიებშია შეტანილი.

– უცხოელებზე გაყიდული ეროვნული სიმდიდრეები.

– უცხოელებზე გაყიდული ქართული მიწები.

– 100 ათასობით სახლკარ დაკარგული ადამიანი.

– 12,0 მილიარდი დოლარი უცხოური ვალი.

– მილიონობით ფუნქცია დაკარგული და სასოწარკვეთაში მყობი ადამიანი.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის მოქმედების შედეგები მსოფლიოში.

მსოფლიოს მაშტაბით ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის უარყოფითი შედეგები შეუდარებლად დიდია. შეიძლება ვისაუბროთ: 100-ით მილიონ გაუბედურებულ ადამიანზე; კონფლიქტებზე, ომებზე და სამოქალაქო ომებზე, რომლებიც ამ მოდელთან არის კავშირში; სხვადასხვა ქვეყნების გაჭიანურებულ ეკონომიკურ კრიზისებზე, რომლებიც ძალიან გვანან ერთმანეთს და ა.შ. ამის გაკეთებას ჯერ-ჯერობით არ ვაპირებ, ამ ეტაპზე ჩემს ინტერესებში არ არის.

სხვა ეკონომიკური მოდელების კვლევებმა, დამანახვა, რომ არცერთი მათგანი ჩვენ ქვეყანაში კრიზისის დასაძლევად არ გამოდგება. სხვა ეკონომიკური მოდელების განხილვას ახლა არ დავიწყებ, ვინაიდან ძალიან დიდ ადგილს დაიკავებს და სტატიის ფორმატს სცილდება. ამიტომ ძალიან მოკლედ შევეხები ზოგიერთ მადგანს.

საქართველოში ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი თვლის რომ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა კეინსის მოდელით (ეფექტური მოთხოვნილების ეკონომიკური მოდელი) შეიძლება. მაგრამ კეინსის მოდელი აბსოლუტურად მიუღებელია. თუ ჩავერევით ეკონომიკაში და მოთხოვნილებას წავახალისებთ ამით მხოლოდ იმპორტს გავზრდით და სხვა არაფერ შედეგს მივიღებთ. არ ამართლებს ფიშერის მოდელი (ეფექტური მიწოდების ეკონომიკა). როცა ფაქტიურად რეალური ეკონომიკა არ გვაქვს, გადასახადების შემცირებით ეფექტი რამ უნდა მოგვცეს? მიუღებელია სხვა მოდელებიც.

რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?

უნდა დავამუშაოთ ახალი ეკონომიკური მოდელი რომელიც გაითვალისწინებს იმ პრობლემებს და შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენნაირ ქვეყნებში არსებობს, რომელიც გააცოცხლებს "მომაკვდავ ეკონომიკას" და განავითარებს მას.

ახალი მოდელი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ პირობებს:

1. მოდელი უნდა ითვალისწინებდეს არსებულ პირობებს.

2. უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის ნახტომისებური განვითარება.

3. არ უნდა მოახდინოს არსებული სოციალური მდგომარეობის დამძიმება.

4. შექმნილი ეკონომიკური მოდელი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს.

5. ახალ მოდელი უნდა ითვალისწინებდეს სწრაფ მოდერნიზებას ანუ სწრაფად ცვალებად სამყაროში, საჭიროების შემთხვევაში სწრაფ გადაწყობას.

7. ახალი მოდელი უნდა ითვალისწინებდეს გარე პირობებს, გლობალური ბაზრის გავლენას.

8. მოდელი უნდა იყოს რაც შეიძლება თვითმართვადი და თვით კონტროლირებადი.

9. მოდელი უნდა იყოს თანამედროვე, უნდა ექვემდებარებოდეს კომპიუტერულ-პროგრამულ ანალიზს და კომპიუტერულ-პროგრამულ მართვას.

10. ახალ ეკონომიკურ მოდელში უნდა იქნეს გათვალისწინებული ინდიკატორები. რომლებიც დროულად მოახდენენ ეკონომიკური კრიზისების დაფიქსირებას ადრეულ ეტაპზე.

11. ახალმა მოდელმა უნდა მოახდინოს ადრეულ ეტაპზე დაფიქსირებული ეკონომიკური კრიზისების პრევენცია და მათი დროული განეიტრალება.

12. ახალ მოდელში გათვალისწინებული უნდა იქნეს ის წინააღმდეგობები, რომელიც ამ მოდელს შეიძლება შეხვდეს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან. მოდელი უნდა იყოს იმდენად თვალსაჩინო, რომ მისი წარმატება ეჭვს არ იწვევდეს.

ასეთი ეკონოიკური მოდელის გაკეთება ძალიან ძნელი, უაღრესად შრომატევადი და ძალიან რთულად გასაკეთებელია. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის არსებულ მდგომარეობას მოდელის დამუშავებაში შეცდომის დაშვება არ შეიძლება. მოდელი უნდა ეყრდნობოდეს მრავალმხრივ ანალიზს და სერიოზულ მათემათიკურ გათვლებს. ეს ყველაფერი იოლი არ იქნება, თუმცა შეუძლებელიც არაფერია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაკულია რ. "ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია", თბილისი 2000 წ.

2. ასათიანი რ. "ფული და ფულადი სისტემები", თბილისი 1998 წ.

3. Джефри Д. Сакс, Фелипе Ларрен Б. "Макроекономика. Глобальный подход. ", Москва 1995.

4. Лоренс Дж. Гитман Д. Джонк "Основы инвестирования", Москва 1997.

5. Девид Д. Ж. Речмен и др. "современный бизнес", I-II т., Москва 1995.

6. Уильям Ф. Шарп "Инвестиции", Москва 1997.

7. Стенли Фишер ”Экономика”, Москва 1993 г.

8. Маикл Портер ”Международная конкуренция”, Москва 1993.

9. М. З. Бор ”История мировой экономики” Москва 1998 г .

10. Е. М. Майбурд ”Ведение в историю экономической мысли”, Москва 1996 г.

11. П. Самуельсон ”Экономика”, I-II т., Москва. 1992 г.

12. Л. Харис ”Денежная теория” Москва 1990 г.

13. ”Денги”, Киев 1997 г.

# ისევ საინვესტიციო გარემოს შესახებ საქართველოში ანუ როგორი ინვესტორი გვჭირდება?



ლოიდ ქარჩავა

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი

*სტატიაში განხილულია უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი მხარეები ქვეყნის ეკონომიკისათვის. უცხოური ინვესტიცია არ უნდა იყოს მხოლოდ ინვესტორის ინერესებზე მორგებული ბიზნესი. ის უნდა იცავდეს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ და ეროვნულ ინტერესებს. ადგილობრივი მოსახლეობა არ უნდა გამოვიდეს მხოლოდ შავი მუშის როლში და მონური შრომის საფასურად მხოლოდ ლუკმა პურს არ უნდა იღებდეს საკუთარ ქვეყანაში, არამედ ის უნდა გახდეს გარკვეული წილის მესაკუთრეც. სტატიაში მოცემულიფ რიგი ფაქტობრივი მონაცემები წამოყენებული წინადადებების დასადასტურებლად.*

ჩვენს საზოგადოებაში მიღებული აზრია (ამას ვისმენთ ხელისუფლების მხრიდან უკვე 20 წელზე მეტია), რომ ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში, კარგი ნიშანია. მის დადებით მხარეებად ითვლება ის, რომ დასაქმდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილი და გადასახადების სახით გარკვეული თანხები შევა სახელმწიფო ბიუჯეტში. ერთიც და მეორეც, მართლაც, დადებითი და მისაღები მომენტია, მაგრამ არა საუკეთესო ვარიანტი. არ ვამბობთ, რომ ინვესტიციები არ უნდა შემოვიდეს ქვეყანაში, პირიქით უნდა შემოვიდეს, მაგრამ საკითხავია ვისი ფული შემოდის, რაში იდება შემოსული ინვესტიცია და რა სარგებლობა მოაქვს მას ქვეყნისთვის და რა სარგებლობა მოაქვს ინვესტორისთვის. ინვესტორი სულელი არ არის, რომ ჩვენმა ქვეყანამ მოგება ნახოს და თვითონ კი - ზარალი. ბიზნესის კანონია, რომ ორივე მხარემ სარგებელი უნდა მიიღოს გარიგების შედეგად, მაგრამ მოგების განაწინილება არ უნდა იყოს თანაფარდობით 90/10-ზე ინვესტორის სასარგებლოდ.

მაშ, ჩავუღრმავდეთ, რა არის მისი უარყოფითი მხარეები?

თუ ჩვენ აქცენტს ავიღებთ მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე და მის ხარჯზე მოხდება ეკონომიკის აღმავლობა, შედეგად მივიღებთ იმას, რომ ყველაზე მომგებიან დარგებს შეისყიდიან უცხოელები, რომელთაც (სავარაუდოდ) წილში ჩაუჯდება ადგილობრივი მაღალი დონის ჩინოვნიკი (ამ ცდუნების ალბათობა ძალიან დიდია ნებისმიერ ქვეყანაში და ხელისუფლებაში). თუ წინა ხელისუფლების მსგავსად განვითარდა მოვლენები, ადგილობრივებს დაასაქმებენ იაფ მუშახელად, დროებით მუშად, რომელსაც შრომითი ხელშეკრულებით ექნება მხოლოდ მოსამსხურის ფუნქცია და მეტი არანაირი უფლება. უფრო მეტიც, ტოპ-მენეჯერები ხომ უცხოელები იქნებიან, ძალიან დიდი ალბათობით, რიგითი თანამშრომლების უმრავლესობაც უცხოელებს ჩამოიყვანენ (ჩვენ გვაქვს ამის მაგალითები ჩინელების სახით იუსტიციის სახლის მშენებლობისას თბილისში), ადგილობრივები კი (თუნდაც დიპლომიანები) - შეიძლება იყვნენ დამლაგებლები, მიწის მთხრელები, მძღოლები, მიმტანები და ა.შ., როგორც ეს ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს. მართალია, ახლა მზადდება კანონპროექტი „შრომითი მიგრაციის შესახებ“, მაგრამ იქ ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივების დასაქმების უპირატესობაზე, გარკვეულ შეზღუდვებზე, მაგრამ ეს მაინც არ მგონია საუკეთესო გამოსავალი იყოს, ყოველ შემთხვევაში, ამით ძირითადი პრობლემა, რაზეც ჩვენ ვაკეთებთ აქცენტებს, ვერ გადაწყდება.

მთავარი პრობლემა, რომელსაც არც ერთი ხელისუფლება დღემდე ვერ თუ არ აქცევს ყურადღებას, ნებსით თუ უნებლიედ, ისაა რომ უცხოელ ინვესტორს მთელი მოგება თავის ქვეყანაში მიაქვს. მოვიტანოთ კონკრეტული მაგალითი: 2011 წელს საქართველოში წარმოებულია 9912,2

მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია [3,გვ.255], რომლის სარეალიზაციო ღირებულება 1,5 მილიარდ ლარზე მეტია. აქედან სუფთა მოგებაა სულ ცოტა 10%. ე.ი. მინიმუმ 150 მილიონი ლარი (შეიძლება 2-ჯერ მეტიც) გავიდა ქვეყნიდან, მარტო ერთი წლის მანძილზე, მხოლოდ ერთი დარგიდან, რადგან ელექტროსისტემაში მომუშავე კომპანიების დაახლოებით 90% უცხოური (კერძოდ, რუსული) კომპანიების ხელშია. მკითხველს ვურჩევდით, თუ ჯერაც არ წაუკითხავს თ. ჩიჩინაძის „ქართული ეკონომიკის მკვლელები", თბ. 2014, წაიკითხონ და ასევე, წაიკითხონ ან მოისმინონ ჯონ პერკინსის „ეკონომიკური მკვლელის აღსარება" (Jon Perkins – Confessions of Economic Hitman, https://www.youtube.com/watch?v=pWiq7l6poQk).

ამგვარ შემთხვევაში, ადგილობრივი ადამიანი ვერასოდეს შეძლებს მისთვის კონკურენციის გაწევას, თუ არ იქნება გატარებული პროტექციონისტული პოლიტიკა. ცნობისათვის, იაპონიას 11 ათასზე მეტი დასახელების პროდუქციაზე აქვს პროტექციონისტული მიდგომა. გასაგებია საერთაშორისო ინსტიტუტების ზეწოლა, მაგრამ თუ გონიერებას გამოვიჩენთ, შეუძლებელიც არაფერია. უდიდესი გონიერება და ძალისხმევაა საჭირო ამგვარი წინააღმდეგობების გადასალახავად ხელისუფლების მხრიდან პირველ რიგში, რომელსაც სჭირდება ხალხის თანადგომა.

თუ ზემოთხსენებულ ელექტროსისტემაში მომუშავე კომპანიების მფლობელი იქნებოდა რეზიდენტი პირი, ის ამ სუფთა მოგების რეინვესტირებას მოახდენდა საქართველოში და კიდევ ახალი დარგის ამოქმედება მოხდებოდა, შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები. დღეისათვის კი ჩვენ გვრჩება მხოლოდ დაპურებული მუშა-ხელი და გამდიდრებული ინვესტორი. ხელფასი, რომელსაც იღებს აქ დასაქმებული ადამიანების უდიდესი ნაწილი, სავარაუდოდ 95%, ეს მხოლოდ მათი საარსებო საშუალებაა.

ასეთ მდგომარეობაშია თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი:

- კაზრეთის ოქროს საბადო („მადნეული" და „კვარციტი");
- ჭიათურის მარგანეცის საბადო;
- ფოთის პორტი;
- ბათუმის პორტი;
- რუსთავის მეტალურგიული ქარხანა;
- ელექტროსისტემაში მომუშავე ყველა მსხვილი ორგანიზაციები და ა.შ.

ერთადერთი, რკინიგზა არ გაყიდულა, ვერ მოასწრეს...

ამასთან, როცა დანგრეულ ეკონომიკაში შემოდის უცხოელი ინვესტორი, ის დარგის მონოპოლისტი ხდება, აითვისებს ბაზარს და რადგან ადგილობრივებს შესაბამისი კაპიტალი არ აქვთ და მას ვერც ვერასოდეს წამოეწევიან ადგილობრივი ბიზნესმენები. არადა დღევანდელ მსოფლიოში სახელმწიფოებს შორის მთავარი წინააღმდეგომა სწორედ ბაზრის გადანაწილებაშია.

აქ ყველაზე მეტად შესაფერისია ილია ჭავჭავაძის მაგალითი: 1882 წელს უცხოელმა კაპიტალისტმა მეისნერმა გადაწყვიტა კახეთის ზვრების შესყიდვა, რაშიც ის მილიონ ნახევარს გადაიხდიდა ოქროთი. და ეს მაშინ ძალიან დიდი ფული იყო, ერთი ცხვარი ღირდა 12 აბაზი. ქართველთა ნაწილმა ეს მოიწონა, მაგრამ ილია ჭავჭავაძემ სწორედ მაშინ დაწერა სტატია „ბატონ მეისნერის პროექტი", სადაც მან კარგად დაასაბუთა, რომ მეისნერი თუ შეისყიდის კახეთის მიწებს, ის ჩვენს გლეხებს პროლეტარად გადააქცევს და ჩვენს ღვინოს მამასისხლად მოგვყიდისო. ამ სტატიის გამოსვლის შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ უარი უთხრა მეისნერს კახეთის მიწების მიყიდვაზე.[11] და თუ დღეს ჩვენ ვყიდით მიწებს უცხოელებზე ეს ან ჩვენი უვიცობის, უწიგნურობის ბრალია ან იმის მოღალატური ქმედება, ვინც ამას აკეთებს. სწორედ უცხოური კაპიტალის როლზე საუბრისას ამბობს ილია ჭავჭავაძე – „უფულო ერი ფულიანთა საძოვარი, მისი საცხოვრისი ხდება".[4, გვ. 23-24] და იქვე აგრძელებს, „ქურდბაცაცა ბურჟუაზია და კაპიტალიზმის გაუმაძღარი სტომაქი ქართველებს სახსენებელს გაგვიწყვეტს, თუ ჩვენი მხრიდანაც ჩვენი ცხოვრების უწერელი კანონები არ მოვიმარჯვეთ. . . კაპიტალი, როცა ნამუსიანია, კარგია, მაგრამ უნამუსო კაპიტალი – ჩარჩული ფული ბუნებითად მხდალია, იმიტომ, რომ ქურდბაცაცაა – იქა მკის, სადაც არ უთესია. . . " [4, გვ.24]

უცხოური ინვესტიციებისთვის კარის გაღება, მით უმეტეს მასიურად, შეიძლება შევადაროთ ოჯახს, რომელიც შვილს ვერ აჩენს იმის გამო, რომ ეკონომიურად უჭირს. ამ დროს უცხოელი გთავაზობს, – იშვილე ჩემი ერთ-ერთი შვილი, რომელიც საჭმლის ფულს მოგცემს. შენც დათანხმდე, შვილი არ გააჩინო და შენს მერე მას გადაეცემა მთელი მემკვიდრეობა. თუ ამას ეთანხმები, ე.ი. შენთვის მნიშვნელობა არა აქვს მომავალს, მთავარია დღეს იყო დაპურებული, გაივსო საკუთარი „სტომაქი" და მიიღოო სხვა ამქვეყნიური წუთიერი სიამოვნებები. ასეთი იდეოლოგია არის ქვეყნის სახელმწიფოებრიობის უპირველესი მტერი,

რადგან „ნაშვილები“ უცხოელი დაეპატრონება შენს მამა-პაპის სისხლით შენარჩუნებულ, ისედაც განახევრებულ საქართველოს და საქართველო დარჩება ქართველების გარეშე.

ვინმეს განა ეჭვი ეპარება იმაში, რომ უფრო ნორმალურია საკუთარი შვილი გყავდეს და თუნდაც გაჭირვებით, საკუთარი სახსრებითა და შრომით გამოზარდო, აღზარდო შენი ერის წიაღში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული პატრიოტული მენტალიტეტით და ა.შ. ლტოლვა უცხოურისკენ, ან უცხოელის ჩამოყვანისკენ, თუნდაც უცხოეთში წასვლისკენ, ესაა ნაბიჯი გადაგვარებისკენ, მით უმეტეს გლობალიზაციის ეპოქაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის მფლობელი ადგილობრივი პირია, ის ყოველთვის უფრო ჰუმანურია და შესაბამისად, შედარებით მაღალ ანაზღაურებას აძლევს დასაქმებულებს. ფორდის მაგალითი რომ ავიღოთ, ის ჯერ კიდევ XX საუკუნის 10-იანი წლების შუა ხანებში დღეში 5 დოლარს უხდიდა თავის მუშა-ხელს. ეს იმდენად მაღალი ანაზღაურება იყო იმ დროისათვის, რომ თავის ერთ-ერთ წიგნში ჯონ ჰანტერი წერდა: „1914 წელს მოხდა ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: ჯერ იფეთქა პირველმა მსოფლიო ომმა. ოდნავ ადრე კი, მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ფორდი მუშებს სამუშაო დღეში მინიმუმ 5 დოლარს გადაუხდის. არა ვარ დარწმუნებული, თუ ამ მოვლენათაგან, რომელი დაამახსოვრდება ხალხს ყველაზე მეტად.”[2,გვ.29] ფორდი არარეზიდენტი ბიზნესმენი რომ ყოფილიყო, საეჭვოა, მას ასეთი დიდი ხელფასი მიეცა თავისი მუშებისათვის, მაშინ როდესაც გარეთ უმუშევართა რიგი იდგა. ქართველებში კი მეცენატობა და ქველმოქმედება სხვებისგან არ გვესწავლება. ჩვენს წარსულში ამის შესანიშნავი მაგალითია დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია და სხვები, უახლოეს წარსულში და დღესაც კი – ყოფილი პრემიერ-მინისტრი – ბიძინა ივანიშვილი.

ჩვენ გვინდა და გვჭირდება შევიმუშაოთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ისეთი მექანიზმი, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა იქნება პარტნიორი, მესაკუთრეც (თუ რა წილში, ეს მოლაპარაკების საკითხია) და არა მხოლოდ მოსამსახურე ყოველგვარი უფლების გარეშე. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ოქროს შუალედი, რომელიც მისაღები იქნება ინვესტორისთვისაც და ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც. მარტო უცხოური ინვესტიციები და მათ მიერ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა არ უნდა იყოს თვითმიზანი, საკითხავია რის ფასად გვიჯდება ჩვენ ეს „ინვესტიცია“, რა სარგებლობას ხედავს უცხოელი და რა სარგებლობას ხედავს ადგილობრივი? შევადაროთ, გავაანალიზოთ ეს მომენტები და თუ ჩვენთვის უკეთესი პირობებია, მხოლოდ მაშინ დავრთოთ ნება უცხოურ ინვესტიციებს და არ ნებისმიერს. ეს საკითხიც საჯარო, უფრო ექსპერტების განხილვას უნდა ექვემდებარებოდეს ჩვენის ღრმა რწმენით.

მთავრობის წევრებისგან გვესმოდა და გვესმის მომღიმარი სახის გამომეტყველებით წარმოთქმული ასეთი სიტყვები: “ჩვენ შევხვდით უცხოელ ბიზნესმენებს...“ (ასახელებენ ქვეყნებს, ფირმებს, მათ მენეჯერებს. . .), „ისინი აპირებენ ასეულობით მილიონი დოლარის ინვესტირებას საქართველოში“. . . და ა.შ. იბადება კითხვა: რატომ უნდა ხვდებოდეს ხელისუფლების წარმომადგენელი უცხოელ ბიზნესმენებს? შენ ხარ სახელმწიფო მოხელე, ხელისუფალი, პოლიტიკის გამტარებელი. კეთილი ინებე და შეიმუშავე პოლიტიკა მეცნიერებისა და სპეციალისტების, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობით, ხოლო ინვესტორი თვითონ მოძებნის გზას ინვესტიციების ჩასადებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლების მაღალი დონის ჩინოვნიკი ფარულ გარიგებაში შედის უცხოელ ინვესტორთან და ხელსაყრელ პირობებს უქმნის აქ ბიზნესის ასაწყობად. ასეთი ბიზნესი უცხოელისთვის კი იქნება ბიზნესი, რადგან ფულს აკეთებს, მაგრამ ქვეყნისთვის, ცალკეული მოქალაქისთვის რა იქნება? არაფერი! უფრო სწორად, შანსს გვართმევს, ოდესმე ჩვენს ქვეყანაში მსგავსი ბიზნესი ავაწყოთ.

### სად ვეძებოთ ინვესტორი?

მიგვაჩნია, რომ ყველა რაიონმა, ქალაქმა, სოფელმა უნდა გააკეთოს იმ ბიზნესმენთა სია, რომლებიც თავისი რაიონიდან, ქალაქიდან არიან წასული საზღვარგარეთ. მოიძიონ მათი კოორდინატები, რათა მათ შესთავაზონ პირველ რიგში, - ინვესტიციები განახორციელონ საკუთარ რაიონში, საკუთარ ქალაქში, ხოლო სახელმწიფო გარანტად დაუდგეს და ხელი შეუწყოს, მათ მისცეს შეღავათები პირველ რიგში, ხოლო შემდეგ თუ აუცილებლობა იქნება, გამონაკლისის სახით მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები. აღნიშნული საკითხის უფრო კონკრეტულად შესწავლა და მოფიქრება შეიძლება, თუ რა შესაძლებლობა აქვს ქვეყანას, მაგრამ ეს **უნდა იყოს ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება – ჩვენიანების დაბრუნება სამშობლოში.**

ეს იმიტომ არის კარგი და საუკეთესო ვარიანტი, რომ თავის რაიონში და ქალაქში უფრო ადვილად წამოვა კაცი, რადგან მას იქ ნათესავები და ახლობლები ჰყავს, იცის აქაურობა და მაღალია ნდობის ფაქტორი. მასში აუცილებლად იმოქმედებს პატრიოტული გრძნობაც, ეს ქართველი ადამიანის ბუნებაშია, ხასიათშია, გენშია. თუ უცხოელი მაქსიმალურად მოგებაზე იქნება ორიენტირებული, ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე, რომელსაც დიდი ფული დაუგროვებია, დიდი ალბათობით, უმრავლესობა სიამაყის გრძნობით გაიღებს თანხას თავისიანების დასახმარებლად. მით უმეტეს მომგებიანი ბიზნესის შემთხვევაში. სახელმწიფო იდეოლოგია და მოთხოვნაც უნდა იყოს ისეთი, რომ მათ პატივისცემით მოეპყრას ყველა დონის სახელმწიფო ჩინოვნიკი და რიგითი მოქალაქე.

მათ, როგორც აქ, საქართველოში, ისე იმ ქვეყანაში, სადაც ბიზნესი აქვს აწყობილი, ადვილად შეუძლიათ განსაზღვრონ რა პროდუქციაზეა იქ მეტი მოთხოვნილება. აქედან გამომდინარე, ბევრი მათგანი აქცენტს გააკეთებს სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქციაზე, გადამამუშავებელ ქარხნებზე და ა.შ. ზოგიერთებს სხვა სფეროში აქვს გამოცდილება, თუნდაც მოძებნოს გასაღების ბაზარი, ეს ხომ უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ჩვენი მიზანი ხომ მარტო ის არ არის, რომ ბიზნესი აღორძინდეს და ქვეყანაში ლამაზი ხიდები, და შენობები აშენდეს, თუნდაც უცხოელი ინვესტორების ხარჯზე, არამედ ადგილობრივი მოსახლეობა იყოს ეკონომიურად ძლიერი.

უფრო შედეგიანი და მრავალმხრივ სასარგებლო იქნება თუ აქცენტს ავიღებთ მდიდარი ქართველი მიგრანტების დაბრუნებაზე და მათი კაპიტალის საქართველოში ინვესტირებაზე. თუ ქართველი მულტიმილიონერები საზღვარგარეთ აბანდებენ კაპიტალს, ეს იმიტომ კი არ არის, რომ საქართველო არ უყვართ, ან აქ ნაკლებად შეიძლება ბიზნესის კეთება. სამწუხაროდ, ისევ დაბალია ნდობა ხელისუფლების მიმართ, რომ მას და მის ბიზნესს არ შეეხებიან.

საქართველოდან გასულ ადამიანებს თუ შევუქმნით ღირსეულ სამუშაო პირობებს, მათი უმრავლესობა დაბრუნდება სამშობლოში. ბუნებრივია, ეს გამოიწვევს ეკონომიკის ზრდას. ამიტომ ხელისუფლებას არ უნდა შეეშინდეს ბიზნესის კეთებისთვის პირობების გამარტივებისა, თუნდაც დროებითი „ჩავარდნის" ხარჯზეც კი, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმ შეღავათებით, რაც ვთქვათ, გადასახადის განაკვეთის შემცირებით, ან გარკვეული კატეგორიისთვის გადასახადისაგან დროებით განთავისუფლებით შეიძლება მივიღოთ.

ექსპერტების აზრით (ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს), ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველო დატოვა მინიმუმ 1,2 მილიონზე მეტმა ადამიანმა. აქედან, დაახლოებით 70-80% დასაქმებულია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში ყოველწლიურად მიგრანტი ქართველები 1,2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს უგზავნიან თავიანთ ნათესავებს. თუ ქვეყანა სწორად გათვლილი პოლიტიკით იმოქმედებს, შესაძლებელია ქართველ მიგრანტთა მინიმუმ ნახევრის დაბრუნება ეტაპობრივად.

ელემენტარული გათვლა გავაკეთოთ, თუ რა შედეგს მოგვცემს ეს: ქართველ მიგრანტთა ნახევარი ესაა 500-600 ათასი შრომისუნარიანი ადამიანი. წარმოიდგინეთ 500-600 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, საშუალოდ 1000 ლარიანი ხელფასით თვეში, რაც რეალურია და მიღწევადი სწორი ეკონომიკური პოლიტიკით 4-5 წელიწადში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სახელფასო ფონდის მოცულობა იზრდება 500-600 მილიონი ლარით თვეში, წელიწადში კი – 6-7 მილიარდით. ასევე, მარტო ხელფასის ფონდიდან საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტი დამატებით მიიღებს დაახლოებით 1,2-1,4 მილიარდის შემოსავალს.

ახლა სხვა კუთხიდან შევხედოთ ამას. თუ ხელფასის ფონდი წელიწადში 6-7 მილიარდით გაიზრდება, შესაბამისად, მარტო ამ ხელფასის წყაროს ხარჯზე რამდენიმე ათეული მილიარდით გაიზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტიც. გარდა ამისა, მოსახლეობის ზრდა იწვევს მოთხოვნილების ზრდას ყველა სახის პროდუქტზე და პროდუქციაზე. მოთხოვნა თავისთავად განაპირობებს მიწოდების ზრდას, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევს. სწორედ ამიტომ აუცილებელია ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მიმართულებების დაუყოვნებლივი შემუშავება, საერთო-სახალხო განხილვა და მიღება. სწორი პოლიტიკით სწრაფად შეიძლება ეკონომიკის აღდგენა. სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სწორედ მიგრანტ ქართველთა დაბრუნება უნდა იყოს.

დღეისათვის საქართველო ერთადერთია იმ რამდენიმე სახელმწიფოთა შორის, რომელთაც დაქირავებული შრომით დაკავებულები საზღვარგარეთ უფრო მეტი ჰყავთ, ვიდრე თავისთან, სამშობლოში (არანაკლებ 30%-ით)[5]. სწორი პოლიტიკით შესაძლებელია საქართველოში არსებული კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობის

გამოსწორებაც.

შეიძლება ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ პრობლემად ზოგიერთმა კადრების არაკვალიფიციურობა დაასახელოს, მაგრამ თუ იმ ფაქტებს გავითვალისწინებთ, რომ საქართველოდან გასული მიგრანტების უმრავლესობა დასაქმებულია და იქ იმდენ პროდუქტს ქმნიან, რომ საქართველოში წლის განმავლობაში 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს აგზავნიან თავიანთ ოჯახებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი კვალიფიკაცია მოთხოვნადია საზღვარგარეთ და ის მოთხოვნადი იქნება საქართველოშიც. ზემოთ თქმულს კიდევ ერთხელ გავიმეორებთ,ჩვენი წარმატებული ქართველი მიგრანტები ნელ-ნელა უნდა დავაბრუნოთ საქართველოში თავიანთი გამოცდილებით, ბიზნესკავშირებითა და კაპიტალით. ეს გვესახება ყველაზე ეფექტურ, სწრაფ და იოლ გზად ქვეყნის აღმავლობისათვის. ეს იქნება ქვეყნისთვის ყველაზე დიდი ეროვნული, ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკა. ყველას, ვინც საქართველოშია დაბადებული, უკლებლივ უნდა მიეცეს საქართველოს მოქალაქეობა, თუ ისინი ამას მოისურვებენ. ხელი შეეწყოს მათ ჩამოსვლას საქართველოში, ბიზნესის ასაწყობად გარკვეული შეღავათები მიეცეთ და ა.შ.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. დ. ნარმანია, ბიზნეს-გარემოს სრულყოფის კონცეფცია, ძირითადი მიმართულებები, თბილისი, 2012.
2. ლ. ქარჩავა, გამოჩენილ ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან, „ლოი", 2006.;
3. დ. ჩომახიძე, ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები, „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2012.;
4. ი. ჭავჭავაძე, თხზ. თ.VII, თბ., 1956წ
5. საქართველოს-მოსახლეობის/..., http://froph.com/

# ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღირებულებები



შოთა ვეშაპიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დღესდღეობით მოძიებული ილია ჭავჭავაძის თხზულებებით შედგენილი ტომეულთა შინაარსი ასეთია: ტომი I პოეზია, ტომი II პროზაული და დრამატული თხზულებები, ტომი III-IV მხატვრული თარგმანები, ტომი V-VI კრიტიკა, ტომი VII-XVI პუბლიცისტიკა, ტომი XVII-XVIII პირადი წერილები, ტომი XIX საარქივო მასალები და დოკუმენტები, ტომი XX ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მატიანე, საძიებლები.

ილიას ნაწერების უმეტესი ნაწილი, პირდაპირ და არაპირდაპირ, ევროპასაც ეხება. ასეთი შეხება ყველგან რაღაც მნიშვნელოვან იდეაზე, ჩვენთვის გასათვალისწინებელ ღირებულებებზე მიგვანიშნებს. ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ ევროპული ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველასთვის ერთნაირად არის მისაღები, რადგან საშუალებას გვაძლევს, პროგრესი შეუქცევადი გავხადოთ. მათი განხორციელებით ჩვენ შევძლებთ დავიცვათ მთელი ერის თვითმყოფადობა, თითოეული ადამიანი, ოჯახი. მათი ბედნიერება, კეთილდღეობა, სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავად გადაიქცევა. მიიღწევა კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, მისი სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების დაცულობა, თანასწორობა და ჰარმონია.

ილიას მიაჩნდა, რომ მოწინავე ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისათვის ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტული უნდა იყოს ევროპულად სწავლება და ევროპული განათლების მიღება, ევროპული მმართველობა, წესი და რიგი, რადგან მხოლოდ ასე შევძლებთ სწორად შევაფასოთ ყველაფერი, სწორი დიაგნოზი დავსვათ და ჩვენს სატკივარს მისი წამლით ვუშველოთ. ევროპული განათლებისა და მეცნიერების, სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის, წესისა და რიგის დასამკვიდრებლად ილია საჭიროდ მიიჩნევდა საკანონმდებლო და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, მრეწველობის გაძლიერებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მადლმოფენილი შემოქმედის, ილია ჭავჭავაძის მთელი მოღვაწეობა, მთელი მისი მზერა, დიდი და მცირე გონება, მარად და ყველგან თანამდევი მისი სულიერება ყოველთვის თავს დაგვტრიალებს და თითოეული ადამიანის "განღმრთობის", მისი კეთილდღეობის და ბედნიერების მისაღწევ სწორ გზებს გვიკვალავს. დღესდღეობით მოძიებული მისი თხზულებებით შედგენილი ტომეულთა შინაარსი ასეთია: ტომი I პოეზია, ტომი II პროზაული და დრამატული თხზულებები, ტომი III-IV მხატვრული თარგმანები, ტომი V-VI კრიტიკა, ტომი VII-XVI პუბლიცისტიკა, ტომი XVII-XVIII პირადი წერილები, ტომი XIX საარქივო მასალები და დოკუმენტები, ტომი XX ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მატიანე, საძიებლები.

ილიას ნაწერების დიდი ნაწილი, პირდაპირ და არაპირდაპირ, ევროპასაც ეხება. ასეთი შეხება ყველგან რაღაც მნიშვნელოვან იდეაზე, ჩვენთვის გასათვალისწინებელ ღირებულებებზე მიგვანიშნებს. ილია ოჯახის დიდ როლზე წერს და გაანალიზებული აქვს "ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის", "რა არის თავისუფლება", "სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა", "ინგლისში შექმნილ დამხმარე საზოგადოებათა სიკეთე", სამართლიანად მიგვანიშნებს "საერთაშორისო სასამართლოს შემოღების აუცილებლობაზე", ეხება ქალთა უფლებების დაცვის საკითხებს ნაწარმოებში "ქალების არჩევნების უფლება ინგლისის პარლამენტი," აღნიშნავს რომ "საფრანგეთის ზნეობრივი ძალ-ღონე მამულის სიყვარულშია", ფუნდამეტურად არჩევს საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობისთვის ადამიანის უფლებების დაცულობის მნიშვნელობას "ცხოვრება და კანონში", არკვევს "მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმეს ევროპაში," საკუთრების საკითხის მნიშვნელობას და მის სამართლიან გადაწყვეტას ეხება წერილში "ირლანდია და ინგლისი", ეხება

"მილიტარობას ევროპაში" და ა.შ. და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ 1877 წელს ილიას, თავის მიერ დაარსებულ "ივერიაში", შემოღებული ჰქონდა რუბრიკები: "შინაური მიმოხილვა", "საპოლიტიკო მიმოხილვა" და სხვა. აანალიზებდა რა უცხო ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების საკითხებს, მის წარმატებას და წარუმატებლობას, ილია ჭავჭავაძე ეძებდა ევროპელთა გამოცდილებიდან ჩვენი ქვეყნისთვისაც რაიმე სასარგებლოს და პოულობდა კიდევაც. 1881 წელს მაისის შინაურ მიმოხილვაში იგი მიგვანიშნებდა, როგორ შეძლეს "ჩეხელებმა" თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, გვმოძღვრავდა, რომ "კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია", წერდა, რომ მეტად მნიშვნელოვანია "კანონს ცოდნა და მისი ფარად გამოყენებოს აუცილებლობა", რომ "ერის ჯანმრთელობა სახელმწიფოს ერთი უდიდესი საზრუნავია", რატომ არის "შეუწყნარებელი გულგრილობა საზოგადო საქმისადმი", რომ არსებობს "ისეთი დაწესებულების საჭიროება, სადაც შესაძლებელი იქნება გართობა, გასაუბრება, დასვენება". ევროპის გამოცდილების გაზიარების მიზნით ილია მხოლოდ უშუალოდ ევროპის ქვეყნებით არ კმაყოფილდებოდა და ეძიებდა, თუ რა მოუტანა მათს ღირებულებებზე ორიენტირებამ სხვა ქვეყნებს, კერძოდ კი ბრაზილიას, იაპონიას, ირანს, ჩინეთს და სხვებს.

წინამდებარე სტატიაში ჩვენს მიზანს შეადგენს გამოვარკვიოთ სამი მთავარი საკითხი. პირველი, რატომ არის ევროპული ღირებულებები ყველაზე მოწინავე. მეორე, რომელი ღირებულებებია მათგან უმთავრესი. მესამე, როგორ შეიძლება ჩვენს სინამდვილეში ევროპული ღირებულებების გათვალისწინება.

ილიამ თავის მოძღვრებაში დაასაბუთა, რომ ევროპული ღირებულებები ჩვენთვის ყველაზე ღირებულია. მას მიაჩნდა, რომ ევროპული ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველასთვის ერთნაირად არის მისაღები, რადგან საშუალებას გვაძლევს, ეკონომიკური პროგრესი შეუქცევადი გავხადოთ. ეს ღირებულებები მიგვანიშნებენ, რომ ვინაიდან ჩვენ, ყველა ერთად, და თითოეული ცალ-ცალკე, განუყოფელი ნაწილი ვართ "მთელის ერისა", ჩვენს კეთილდღეობას უნდა ვეძებდეთ "მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე". მხოლოდ ასე შეიძლება "ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას", და "სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს". (ჭავჭავაძე ი. წოდებათა თანასწორობა, თხზ., ტ.4, გვ.314).

ილია თვლიდა, რომ ევროპული ღირებულებების განხორციელებით ჩვენ შევძლებთ დავიცვათ მთელი ერი, თითოეული ადამიანი, ოჯახი. მათი ბედნიერება, კეთილდღეობა, სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავად გადაიქცევა. მიიღწევა კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, მისი სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების დაცულობა, თანასწორობა და ჰარმონია. ნებისმიერ ადგილობრივ საკითხს, დიდსა თუ მცირეს, "ადგილობრივ წვრილმანებს", ყველაფერს ადგილობრივი თვითმმართველობები გადაწყვეტენ. სახელმწიფო კი, მხოლოდ "საყოველთაო კანონმდებლობის წარმოებას", ანუ საერთო კანონშემოქმედებით საქმიანობას, "საყოველთაო ფინანსთა(შემოსავალ-გასავალის) მოძრაობას", ანუ საბიუჯეტო მოწყობას და ერის ინტერესებისათვის საჭირო ფინანსებით უზრუნველყოფას და "საყოველთაო მხედრობის გაწყობილებას", ანუ ქვეყნიოს თავდაცვას უნდა განაგებდეს.

ილია ჭავჭავაძის ნათელმხილველი გონება დღენიადაგ რუდუნებით თავს დასტრიალებდა საზოგადოების წინსვლა-გამარჯვებას, მის პროგრესს. მისტვის ყოველთვის ცვენი ქვეყნის "ტკივილების" განკურნება და "ფათერაკების" თავიდან აცილება იყო უმთავრესი. იგი წერდა, რომ ჩვენი ბრძოლის საგანი უნდა ყოფილიყო "ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან". (თხზ., ტ.5, გვ.95) ბატონი ილია ბრძოლის ამ მიმართულებას "ჭეშმარიტ საქმედ" და ბრძოლის უმთავრეს მიმართულებად მიიჩნევდა და აღნიშნავდა: "ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოეწცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, - მაგ მიმართულების სასწორზედ

უნდა ავწონოთ". (ტ.5, გვ.95)

ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს "სლავიანების" მაგალითი, უფრო ზუსტად მათი გამოცდილება, რომლებმაც, კერძოდ კი "ჩეხელებმა" – "თავის ვინაობას აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად – თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედაენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა". (ტ.5, გვ.95)

უმთავრესი ღირებულებები ჩვენთვის სწორედ ის უნდა იყოს, რომლის გარეშეც „ჩვენ", „ჩვენ", არ ვიქნებოდით. ასეთებად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა მამული, ენა და სარწმუნოება, რომლებსაც „სამ ღვთაებრივ საუნჯეს" უწოდებდა. იგი აღნიშნავდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?" (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ.3, გვ. 26-27). ამ მარადიულ ზეღირებულებებს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ჩვენი მთლიანობა და თვითმყოფადობა არ დავკარგოთ. მთავარია ასევე ვიცოდეთ როგორ, რა გზებით უნდა დავიცვათ ჩვენი მამული, ენა და სარწმუნოება.

ასეთი იდეა დაგვისახა მაშინ დიდმა ილიამ. ზუსტად ასეთია ის ამჟამადაც. ისეთივეა მისი მიღწევის გზაც, როგორიც იყო მაშინ, ერთ საუკუნეზე უფრო მეტი ხნის წინათ. ეს არის არა გაუმართლებელი ექსპერიმენტების, არამედ ცივილიზებული გამოცდილების, "ეროპიული მეცნიერების" შესწავლის და მისი მომარჯვების გზა, რომელიც სხვაგან იკვე გამოცდილი და გამოყენებულია. ამ გზას ალტერნატივა არ გააჩნია, რადგან ის ყველაზე უფრო საიმედოა. სწორედ ამ გზით სიარული გვიანდერძა ილია ჭავჭავაძემ. იგი წერდა:"აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარხმალით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისათვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი მოიტანოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოტრ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ნაბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წასდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერსა ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. "ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეო", - ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის-ფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყუოს ჭკუა და ხელი.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცილებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი". (ტ.5, გვ.97-98).სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი ყოველი ადამიანის თანასწორობის მიღწევა.

ხლა, თავდაპირველად, დავსვათ ასეთი კითხვები: იქნებ ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ეროვნული ეკონომიკა მთლიანად ადგილობრივ ვითარებას უნდა ეყრდნობოდეს? ან იქნებ თვლიდა, რომ მხოლოდ ზოგადკაცობრიულ იდეებს უნდა დავეფუძნოთ და სავსებით არაა საჭირო რაიმე ადგილობრივის გათვალისწინება? ან თუ ორივეს გამოყენებაა საჭირო, როგორი თანაფარდობის დაცვაა აუცილებელი მათ შორის? ილიას შრომები გვიდასტურებს, რომ მას საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური ცვლილებებისათვის აუცილებლად მიაჩნდა ადგილობრივი ვითარების გათვალისწინება. ამის შესახებ ნაშრომში "ხიზნების საქმის თაობაზედ" ავტორი წერდა: "ყოველივე ცვლილება, საზოგადოებრივი თუ ეკონომიური, მაშინ არის მარგებელი და მკვიდრი, როცა ცვ-

ლილების საგანი ყოველმხრივ გასინჯულია და შუქმოფენილი. ამისათვის, რასაკვირველია, ყველაზედ უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველს საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზედვე აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა. მაგრამ ძალიან შესცდება ის, ვინც მარტო ამას დასჯერდება და მარტო აქედამ გამოიყვანს თავის დასკვნას".

როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძეს ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებლად მიაჩნდა ადგილობრივი ვითარების გათვალისწინება, მაგრამ მარტო ამას არ სჯერდებოდა. იგი თვლიდა, რომ ხალხთა ცხოვრებაში ბევრი ზოგადი კანონებიცაა, რომლებიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ. ეს რომ არ იყოს, მეცნიერებაც არ იქნებოდა. მაგრამ ვიდრე ჩვენს საკუთარ ჭირს სხვის ნაცად წამალს შევურჩევდეთ, ჯერ სწორი დიაგნოზი უნდა დავსვათ თუ რა გვჭირს. ჩვენი პრობლემის გადაჭრის ამოსავალ, საწყის მომენტად ილია ადგილობრივ ვითარებას მიიჩნევდა, რასაც პრაქტიკულადაც ასრულებდა. მან შექმნა და დაამკვიდრა "შინაური მიმოხილვის" ჟანრი ქართულ ჟურნალისტიკაში. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია "შინაურ მიმოხილვებს" და როგორ შეიძლებოდა მიგვეღწია ადგილობრივისა (ეროვნულის) და ზოგადსაკასცობრიულის მეცნიერული სინთეზისთვის, ეს ჩანს მისი წერილიდან, რომელშიც აღნიშნავს: "შინაური მიმოხილვისთანა ჩვენში ძნელი საქმე ჩვენებურს მწერალს არა აქვს, იმიტომ, რომ ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანია, რომლისთვისაც ჯერ ხელი სხვას არავის უხლია, რომელზედაც არავითარს მსჯელობას, არავითარს მოსაზრებას, არავითარს დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ ინახულებთ, პირდაპირ და მოჭრით, რომელზედაც, მაშასადამე გინდა თუ არა, თქვენი აზრი უნდა იქონიოთ, და რომელიც თქვენის საკუთარის - ზომით უნდა გაზომოთ... ერთის სიტყვით, ჩვენი შინაური საქმეები ჯერ კიდევ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, რომელიც უნდა ჩვენ თვითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში გამოვაცხოთ... ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომც ჩვენი შინაური საქმეები, ისეთის განსაკუთრებული თვისებებისა იყოს, რომ სხვა ხალხთა ნაცადი, ნაკვლევი, ნააზრევი, არასგზით არ მიუდგებოდეს, სხვისი აზრით ჩვენი საქმე არ აიხსნებოდეს. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ჰო ითქმის, ვიდრე არა, იმიტომ რომ ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ. ეს რომ არ იყოს, თვითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არ არის რა, გარდა მისა, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ მინამ ჩვენს საკუთარ ჭირს სხვისგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თვითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ – რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ეს ჭირი თავიდან ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყვეს". (ტ.5, გვ.396).

ამ სიტყვებს ვერც ვერაფერს დაუმატებ და ვერც გამოაკლებ. მასში ჩამოყალიბებული დებულებანი აქსიომატურ ჭეშმარიტებებს წარმოადგენს. ილიას მიაჩნდა, რომ ვიდრე ჩვენი საკუთარი ჭირისათვის სხვისა ნაცად წამალს შევარჩენდეთ, ჯერ დიაგნოზი უნდა დავსვათ. ამისათვის ჯერ უნდა ყოველმხრივ შევისწავლოთ ჩვენი "ავადმყოფობის" ნიშანთვისებები, დიაგნოზის დასმის მეთოდები და პრინციპები. მხოლოდ ამის შემდეგ, ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი ავადმყოფობა. თუ ასე მოვიქცევით, ნაცად წამალსაც ზუსტად შევარჩევთ. მაგრამ როგორ შევარჩიოთ ეს ნაცადი წამალი? ილია ამის შესახებაც თავისი მეთოდებით გვმოძღვრავს. მან ჩამოაყალიბა ის მეთოდოლოგია, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სხვა ქვეყნების შინაური ცხოვრების გამოცდილება.

1886 წელს ილია ჭავჭავაძემ მიმოიხილა მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმე ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში. იგი აღნიშნავდა, რომ ეს ქვეყნები "მოწოდებულნი არიან თავ-თავიანთ ერისაგან ეს დროთა ვითარებისაგან წარმომდინარი საქმე, თითქმის ერთგვარი, ერთარსისა და ერთსახისა გადასწყვიტონ. ეჭვი არ არის, რომ ეს ერთი და იგივე საქმე ამ სამს სხვადასხვანაირ სახელმწიფოში ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას ვერ მოელოდინება. ხოლო თითონ გადაწყვეტილება ისე საინტერესო არ არის, როგორც ის საფუძველი, სისტემა, რომელსაც ამ შემთხვევაში თითოეული მათგანი დაადგება. საქმე იმისთანა თვისებისაა, რომ თეორია პრაქტიკით უნდა განახორციელონ, განყენებული აზრი ცხოვრებაში გადმოიტანონ და საფუძვლად დაუდონ". (ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ.9, გვ.187)

მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმე საფრანგეთში დეკაზვილის არეულობამ წამოაყენა, ინგლისში – მუშათა აღრევამ დიდ ქალაქებში, და გერმანიაში სოციალ-დემოკრატების გაძლიერებამ პარლამენტში.

საფრანგეთში მუშათა საქმეს, მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას შეუძლებელი იყო საფუძვლად არ დადებოდა როგორც ბურჟუაზი-

ის, ასევე მუშების მოსარჩელე დასის მოძლიერება. ბურჟუაზია მუშათა ყველა მოთხოვნას არ დაეთანხმებოდა, და შეეძლო კიდევაც ამის გაკეთება. ასევე მუშების მოსარჩელე დასი როგორც მთელს საფრანგეთში, ისე თვით პარლამენტში რიხიანი, ფხიანი და კარგა მოზრდილი დასი იყო, რის გამოც შეუძლებელი იყო მთავრობა მის მოძღვრებისაკენ არ გადახრილიყო. "ამ სახით, საფრანგეთი მუშათა საქმეს საფუძვლად ამათ მოძღვრებას დაუდებს, ცოტად თუ ბევრად. ეს, ჩვენის ფიქრით, უეჭველია," წერდა ი. ჭავჭავაძე.

სულ სხვა საფუძველი უნდა ეხმარა ინგლისს. ინგლისის დეპარტამენტის თავმჯდომარე ჩემბერლენი ჰქადაგებდა, რომ "მუშათა უნუგეშო ყოფა უმამულობიდან წარმოსდგებაო; ამისი წამალი სოფლის მამულების წვრილ-წვრილად განაწილებაა მუშათა შორისო". (ტ.9, გვ.188) მოიხედავად ამისა, სწორედ ჩემბერლენმავე წაადებინა უკან თავისი წინადადება ინგლისის პარლამენტის წევრს დასონს, რომელმაც შეიტანა წინადადება, რომ სახელმწიფოს აეჩინა რაიმე სამუშაო უსაქმოდ დარჩენილი მუშებისათვის. მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საფუძვლად აღიარეს თვითმმართველობა, რომელიც ინგლისში ყოველი საზოგადოებრივი წყლულის წამლად მიაჩნდათ. ჩემბერლენმა "იმაზედ დააფუძნა თავისი სიტყვა და რჩევა, რომ მუშათა უსაქმურობისა და მათთვის სამუშაოს აღმოჩენა სჯობია თვითმმართველობის თაოსნობას მიენდოსო, თვითმმართველობა უკეთ მოუპოვებს საქმესაო და უკეთ დასდებს წამალსა დღევანდელს სატკივარსაო".

სრულიად განსხვავებულ საფუძველს დაადგა ერმანია, რასაც ი. ჭავჭავაძე ასე გადმოგვცემს:"სულ სხვა საფუძველს ადგია ბისმარკი. მისის აზრით, ყოველივე – სახელმწიფოს ძლიერს ხელში უნდა იყოსო, ყოველივე მის ინტერესებს უნდა ქვეშ ამოუდგესო. სახელმწიფო ინტერესი ითხოვს-მუშათა ხალხი მის ხელთ იყოს და ყოველთვის მისი შემყურებელიო და სახელმწიფო მონოპოლიები მოიგონა, თუმცა მარცხი მოუვიდა ამაებში, როგორც ამ უკანასკნელ დროს გვაუწყებენ გაზეთები არაყისა და სპირტის მონოპოლიის თაობაზედ. სახელმწიფო ინტერესი ითხოვსო, რომ პოლიაკები პოზნანში არ იყვნენო და გაიყვანა ის შემაძრწუნებელი კანონი პოლიაკების განდევნისა, მამა-პაპეულ მამულებიდამ ძალასდ აყრისა და გაძევებისა...." (ტ.9, გვ.189)

ევროპაში მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმის მიმოხილვით ავტორმა კლასიკური ფორმით დაგვანახვა, რომ აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნებში ერთი და იგივე საკითხების მოგვარებისადმი განსხვავებული მიდგომა. აქვე მან გვიჩვენა ის მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია სხვა ქვეყნების შინაური ცხოვრების გამოცდილებიდან იმის "გადმოტანა", რაც ჩვენ გამოგვადგება. მისი მთავარი დასკვნა ასეთია: "ამ სამის თეორიისაგან რომელი დაიჭერს თავს ევროპაში, ევროპის შინაურს ცხოვრებაში, - ამას დროს გამოაჩენს. ჩვენ აქ მთელს ევროპას ვახსენებთ იმიტომ – რომ ამ შემთხვევაში ერთის ცდა მეორისათვის ჭკვაა. და ამ საბუთით გამარჯვება სამში ერთის თეორიისა მეტად საინტერესო უნდა იყოს ყველასათვის". (ტ.9, გვ.189)

მთავარი დასკვნა ის არის, რომ ყველა ქვეყანას არც ერთი და იგივე საკითხის ერთი და იმავე გზით გადაწყვეტა გამოადგება, და მითუმეტეს, არც ერთმანეთის გამოცდილების შაბლონის სახით გადატანა. ასეთი პრობლემების მოგვარება სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს. სხვების მიერ უკვე განვლილ გზას, მათ გამოცდილებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს და მას უეჭველად უნდა ვიყენებდეთ ადგილობრივი თავისებურებების შესწავლისა და ყოველმხრივ დასაბუთებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

თავის მეცნიერულ გამოკვლევებში ილია ჭავჭავაძემ მოგვცა კლასიკური ნიმუშები თუ როგორ უნდა ვიხელმძღვანელოთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილებით, რას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება. 1889 წელს დაწერილ სტატიაში – "აზია წინათ და ეხლა", ავტორი კლასიკურად იკვლევს, თუ რას მიჰყავს მსოფლიო წინ, რომელი ქვეყნები ჩამორჩნენ და დაწინაურდნენ და რატომ? ზოგადად რას უნდა ვითვალისწინებდეთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილებიდან? როგორც ილია აღნიშნავს, აზია წინათ ცივილიზაციის აკვანი იყო და "ერთს დროს მთელის ქვეყნის ბედის წარმატებას სათავეში ედგა", ახლა კი აზიელობა უფრო დამამცირებელი ("სამიაბრუო") სახელია, ვიდრე თავისმოსაწონებელი. ამას ავტორი ლოგიკურად მიიჩნევს, რადგან აზიამ თავის წარსული და დღევანდელობა კრიტიკულად არ შეაფასა. იგი წერდა: "ესეც უნდა მომხდარიყო. ისტორია და წარმატება იმისი – კი არ არის, ვინც მარტო თავის-თავის ავკარგიანობის შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას – ავია თუ კარგი – ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს – რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-

დასაკრებად და მოსასვენებლად. ტყუილად –კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი-კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო”. (ტ.9, 113-114).

ილიას აზრით, მსოფლიო ასპარეზზე ევროპის დაწინაურება განაპირობა მეცნიერებამ და მხნეობამ, ჭკუამ და ხელმა, დღევანდელობით დაუკმაყოფილებამ და უკეთესობის წყურვილმა. ავტორი აღნიშნავდა: “ისტორია და წარმატება – მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდამიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას,ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარმანსავით ყაფის მთას მხარებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს”. (ტ., 9, 114)

ასე დაწინაურდა ევროპა. აზია კი ჩამორჩა. მისი უბედურობა უძრაობა და თავის ნაჭუჭში ჩაკეტვა იყო. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: “რამ დაჰმართა ეს ამბავი აზიას? რამ დაუხუთა მუხლი მსვლელობისა და ერთს დროს წინმავალი ქვეყანა, ეხლა ასე უკან რომ დააყენა? იმან თუ – რომ თავისი საკუთარი ძარღვები დააწყდა, თავისი საკუთარი საგზალი წინმსვლელობისათვის შემოაკლდა, თუ სხვა რამ მიზეზმა მოსჭრა სულიერი და ხორციელი მუხლი, – ამის გამოძიებას ჩვენ არ შევუდგებით. ეს-კი აშკარაა, რომ მისი წარმატება შესდგა, შეჩერდა, და აზია დღევანდელს დღეს ანგარიშში მოსატანი არ არის, როცა ქვეყნის წინმსვლელობაზე ლაპარაკობთ. ამასთან აზიის უბედურება ის იყო, რომ ეს შედგომა, შეჩერება, თითქო ვერ იგრძნო, ვერ იცნო, -პირიქით, რაცა ჰქონდა, სასულიერო თუ სახორციელო, იმას დასჯერდა და თავმოწონებული შეჰხაროდა, თითქო იმაზე უკეთესი სხვა აღარა ეგულება-რაო ქვეყნიერობაზედ. ამით კმაყოფილმა ცალკე შეიკეტა და გარედამ აღარ მიიკარა არც ამაყვავებელი შუქი მზისა, არც გამაცოცხლებული სიო. ამ ყოფაში ჩავარდა ჩინეთი, მისი მიმყოლი იაპონია, რომელთაც არავინ აღარ მიიკარეს და ამისათვის მაგარი ზღუდე შემოავლეს თავის არემარეს. თითქმის ამ ტყულს თავმოწონებასა და კმაყოფილებას მიეცა სპარსეთიცა, საცა სასულიერო წოდებამ მოსლემინებისამ შეჰკრა და შეჰბოჭა გონება და გული მთელის ერისა და თვალები აუბა იმდენად, რომ თავისზედ უკეთესს სხვას არავის ხადიდა”. (9, 114-115).

ასე შეარყია აზია “ტყუილ თავმოწონებით ყოფნამ”. ამიტომ საჭირო იყო კარი გაეღოთ ცივილიზებული ქვეყნებისათვის. ილია ჭავჭავაძე გამოსავალს სხვისგან ჭკუის სწავლებაში ხედავდა. იგი მიიჩნევდა: “დღეს, ესე ნებიერად და ტყუილ თავმოწონებით ყოფნა შეირყა თითქმის მთელს აზიაში. აზიამ თვალდათვალ დაინახა უპირატესობა ევროპისა, იგრძნო, რომ ევროპა გაცილებით წინ წასულია, უფრო მდიდარია, უფრო ბედნიერია, უფრო ბევრის სიკეთისა და მადლის მპყრობელია, უფრო ძალოვანი და ღონიერია, და აქომამდე დაკეტილი კარი თავისის ქვეყნებისა ცოტად თუ ბევრად გაუღო ევროპას, რომ იქაურმა მზემ თავისი შუქი ცოტად თუ ბევრად აქაც მოაწვდინოს. ასე იქცევა დღეს ჩინეთიცა, იგი ჩინეთი, რომელიც ყველა სხვა ქვეყნებზე უფრო ძლიერ ეურჩებოდა ევროპიდამ შუქის შემოსევას და მოფენას და სადაც დღესაც ეს ახალი მიმართულება შიშითა და კრძალვით ფეხს იკიდებს ცოტა-ცოტად და ფრთხილად, რადგანაც იქაური ერის უფროს-ერთობა მაინც ურჩობს და ჰთაკილობს სხვისაგან ჭკუის სწავლებას, სხვის ცივილიზაციას, სხვის ავკარგიანობას”. ( ტ.9,გვ.115).

რა უნდა გადმოიღოს ამა თუ იმ ქვეყანამ უფრო მოწინავე ქვეყნებიდან, კერძოდ კი ევროპიდან? ილია ამ კითხვებს პასუხობდა და მიიჩნევდა რომ ჩინეთს, იაპონიას, ირანს ევროპიდან უნდა გადმოეღოთ “ევროპის განათლება” და თითქმის ყველაფერი. იგი იწონებდა იაპონიის მაგალითს და წერდა: “იაპონია ამ მხრით, უფრო გაბედულად ირჯება. მისი ახალი ხელმწიფე დიდი მომხრეა ევროპის განათლებისა და ჰლამის დაუცხრომელად – ყოველიფერი, ნამეტნავად მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესსა და რიგს შეუფეროს. დღეს იაპონიას ბევრი ევროპიულად განათლებული, ევროპაშივე სწავლამიღებული ახალგაზრდობა ჰყავს. შინაც დიდად მოცადინენი არიან სწავლისა და განათლებისათვის. მწერლობა, ცოტად თუ ბევრად, ფრთაასხმულია და გავრცელებული, და ვინ იცის, - იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზემოქმედების ქვეშ წარსამატე-

ბლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოჰფინოს მთელს აზიასაც. ამბობენ, იაპონელი ამისათვის არც ნიჭს არის მოკლებული და არც უნარსო".

შემდეგ იგი იწონებს აგრეთვე, რომ სპარსეთმაც კარი გაუღო ევროპის ცივილიზაციას და გენიალურად დაასკვნის: ზოგადად მოწინავე ქვეყნიდან ყველაფერი უნდა გადმოვიღოთ რასაც მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება. ილიას მთავარი მეთოდოლოგიური დასკვნა გამოხატულია შემდეგ სიტყვებში: "არც სპარსეთი დარჩა უიმისოდ, რომ ევროპის ცივილიზაციისთვის კარი არ გაეღო. ეხლანდელის შაჰის მეფობის დროს ბევრს ძველს ჩვეულებას, რომელიც სულსა და ხორცს სპარსეთისას ასე თუ ისე ჰხუთავდა, კბილი მოეჭრა. შაჰმა, რომელმაც რამდენჯერმე მოიარა ევროპა, ბევრს რასმეზე აახილა თვალი და დაინახა თავის ქვეყანაში ბევრი უმსგავსობა და შეუფერებლობა. იგი სცდილობს ბევრი რამ ძველი განსდევნოს, ბევრი რამ ახალი შემოიღოს. ამისათვის იგი თურმე არც იმის წინაშე უკუდგებაო, რომ თავისი ნება-უფლება შეიხუთოს, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება."

სპარსეთის თემას ილიამ მიუძღვნა აგრეთვე ცალკე სტატია – "დღევანდელი სპარსეთი". ეს არის იმის სრულყოფილი ნიმუში, თუ როგორ უნდა ისარგებლო იმ ქვეყნის გამოცდილებით, რომელიც შენ არც კი მოგწონს, ან შეიძლება მასაც არ მოსწონდე. აქვე ნაჩვენებია, რომ ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ იმის გამორკვევას, თუ რა არის მისაღები ან უარსაყოფელი. ილია წერდა: "დღევანდელი სპარსეთი ის სპარსეთი არ არის, რაც აქამომდე იყო. დღეს სპარსეთში იქაური სასულიერო წოდება, რომელიც აქომამდე მარტო გუნდრუკს უკმევდა ყველაფერს სპარსულს და უკადრისად იხსენიებდა სხვას ყოველს, რაც სპარსული არ იყო, ცოტად თითონაც გამოფხიზლდა და დაინახა, რომ თუმცა ევროპა ურჯულო ქვეყანაა, მაგრამ იქ ბევრი იმისთანა წესი და რიგია, რომელსაც კაცმა ცხვირის მაღლა აწევით გვერდს არ უნდა გაუაროს, პირიქით, უნდა დინჯის თვალით დაუკვირდეს და აწონ-დაწონვით მოსჩხრიკოს, - რა არის იქიდამ კარგი მისაღები და შემოსატანი და არ არის უარსაყოფელი განსადევნი."

დიდ ილიას მიაჩნდა, რომ მოწინავე, ამ შემთხვევაში ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისათვის ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტული უნდა იყოს ევროპულად სწავლება და ევროპული განათლების მიღება, ევროპული მმართველობა, წესი და რიგი, რადგან მხოლოდ ასე შევძლებთ სწორად შევაფასოთ ყველაფერი, სწორი დიაგნოზი დავსვათ და ჩვენს სატკივარს მისი წამლით ვუშველოთ. ევროპული განათლებისა და მეცნიერების, მმართველობის, წესისა და რიგის დასამკვიდრებლად, განათლებასთან ერთად საჭიროა საკანონმდებლო და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, მეწარმეობის გაძლიერება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

Ilia Chavchavadze and European Values

The content of volumes of Ilia Chavchavadze's gathered works is following: Volume I – Poetry; Volume II – Prosaic and Dramatic works; Volumes III-IV – Artistic translations; Volumes V-VI – Criticism; Volumes VII-XVI – Publicism; Volumes XVII-XVIII – Private letters; Volume XIX – Archive materials and documents; Volume XX – Ilia Chavchavadze's biography; indexes.

The most part of Ilia's works is directly or indirectly related to Europe. Such association hints to certain significant idea or values that are worth considering. Ilia Chavchavadze argues that European values are universal and acceptable for everyone, because they can make progress irreversible. By realization of these values we can protect identity of nation, each individual and family. Their happiness and welfare will be the major concern of state. These values guarantee sovereignty of law, protection of human rights, life, freedom, property, equality and harmony.

Ilia argued that if we want to share experience of European countries, priority must be European education, European rule and order, because only in this case we can correctly estimate situation, diagnose the case and then select cure for our disease. If we want to have European education, science, central and local government, rule and order, we must make legislative and economical reforms, strengthen business and improve welfare of population.

# ცხოვრების ინტელექტუალიზაციისა და ხარისხისათვის

რევაზ ლორთქიფანიძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი, ე.მ.დ., საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ციალა გიორგაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ეკონომისტი

*საზოგადოებრივი პროცესების ინტელექტუალიზაციისა და ადამიანის ცხოვრების ხარისხის ზღვრული ეფექტიანობით გასაუმჯობესებლად, ავტორების მიერ ფუნდამენტურ ამოცანად განსაზღვრულია რაციონალური ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების თანამეგობრობის დახმარების მექანიზმებით.*

*ეკონომიკური სტრუქტურის ეფექტიანობის ევროკომისიის ექსპერტთა მეთოდოლოგიის განვითარების საფუძველზე, შრომაში განხილულია ურთიერთკავშირი კონკურენტუნარიანობის დონესა და ცხოვრების ხარისხს შორის და, შესაბამისად, რევაზ ლორთქიფანიძე გვთავაზობს რეკომენდაციებს ცხოვრების დონის ამაღლებისა და ადამიანის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გრძელვადიან სტრატეგიაში.*

*ახლახან გამოცემული რაციონალური კონკურენციის თეორიის მიხედვით, ავტორი იყენებს ორიგინალურ ე.წ. 3D "ტექნოლოგიას", რომელიც ბაზრისეკონომიკური აგენტების რაოდენობასთან ერთად, მონოპოლიურობის ინდექსსა და ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის დონესაცასახავს.*

*შრომაში რევაზ ლორთქიფანიძემ გამოთქვა განსაკუთრებული შეშფოთება მონოპოლიების გავრცელებასთან დაკავშირებით და გამოთქვა აქტუალური მოსაზრებები ბაზრის კონკურენტულობისა და ეკონომიკური ეფექტიანობისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე.*

ცხოვრების ინტელექტუალიზაცია უშუალოდ უკავშირდება განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარებას ქვეყანაში, რაც, საბოლოო ჯამში, პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ ეფექტიანობასა და, შესაბამისად, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპებზე ეს საწინააღმდეგოდ გაიგო ზოგიერთმა "რეფორმატორმა" და მრავალ მეცნიერს, კვლევით ინსტიტუტებსა და საერთოდ საგანმანათლებლო სისტემას რთულად გამოსწორებადი მემკვიდრეობა დარჩა. საბედნიეროდ, სადღეისოდ, დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, სამთავრობო დონეზე განიხილება და გადაწყვეტის სტადიაზეა, რომ საგანმანათლებლო ცენტრებს პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსება სჭირდება [9].

ადამიანის ცხოვრების საუკეთესო ხარისხი, ჩვენი გაგებით, გულისხმობს მაღალი ცხოვრების დონის, ცხოვრების ხანგრძლივობისა და სოციალური დაცულობის საუკეთესო პარამეტრების კომპლექსურად უზრუნველყოფას, რაც შეუძლებელია კონკურენტული გარემოს გარეშე, როცა ადამიანის პროფესიონალიზმსა და ტექნიკის დონის ამაღლებასაც საუკეთესო სტიმულები ეძლევა. მონოპოლიურ გარემოში კი, ეს ყოველივე, ბუნებრივია, რაგინდ საუკეთესო ტრადიციები და განათლებისა და ტექნიკური დონეები იყოს ქვეყანაში, ვერაფრით მოხერხდება.

არსებობს პირდაპირი კავშირი ადამიანის ცხოვრების დონეს, სოციალურ დაცულობასა და ხანგრძლივობას შორის, რომელიც, თავის მხრივ, ბუნებრივ (ეკოლოგიურ) ფაქტორებზეც არის დამოკიდებული და განსაკუთრებით მაღალი პარამეტრებით ზომიერი კლიმატური პირობებისა და საშუალო მთის გარემოში აღინიშნება. საერთაშორისო პრაქტიკაში, არაგონივრული საბიუჯეტო პოლიტიკის შემთხვევებში, ხშირია გამოვლინებები, როცა არსებული შესაძლებლობები არასრულფასოვნად გამოიყენება და ვერაფრით აკმაყოფილებს სოციალური დაცულობის მინიმალურ მოთხოვნებსაც კი.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალისტური ეკონომიკის გარდაქმნებმა, სამწუხაროდ, დასაწყისშივე გადააჭარბა და, თუ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, გერმანია, ინგლისი) სოციალურ უზრუნველყოფასა და ჯანდაცვაზე ხარჯები ამჟამად სახელმიფო ბიუჯეტის 60-65%-ის მახლობლობაშია, ჩვენში აღნიშნული პარამეტრი,ეფექტიანობის ზრდის მიზნებით,75-80%-დან 15-20%-მდე დაეცა, მაგრამ ეფექტიანობამ, ბაზრის მაღალი მონოპოლიურობის გამო, სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, ხოლო ადამიანების დიდი ნაწილი მნიშვნელოვანწილად დაუცველი დარჩა - გაუაზრებელი მიბაძვის შედეგად, მიღწეული უპირატესობები დაიკარგა, ხოლო ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები მეტად სოციალისტურებიც და მეტად ეფექტიანებიც აღმოჩნდნენ.

მკითხველს კარგად ემახსოვრება,რომ საქართველოს ეკონომიკამ, დამოუკიდებლობის პირველ წლებში,ხელოვნურად გაჩაღებული საომარი კონფლიქტების გამო, ქართული კუპონის არნახული ჰიპერინფლაცია იწვნია, რის გამოც, ქვეყანა, 1994 წელს, მსოფლიოში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს გადაანგარიშებით (მ.შ. მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებითაც). მას შემდეგ, საბედნიეროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებითა და შიდა რესურსების მობილიზებით, მოხერხდა ამ ხილული რეკორდული პრობლემების სწრაფი ჩაქრობა. დღეს-დღეობით კი, უნიკალური სიმდიდრეების ქართულ სოფელსა და მთლიანად ეკონომიკას, უხილავი საერთაშორისო და შიდა არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების პრობლემა ხრავს, რაც, დარწმუნებული ვარ, ასეთივე საყოველთაო ძალისხმევით დაიძლევა. ოღონდ ამ ძალისხმევამ არ უნდა დააყოვნოს, ვინაიდან, ამ მხრივ, პრობლემა ნამდვილად საგანგაშოდ გახანგრძლივდა.

როგორც ცნობილია, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით, ბაზრის კონკურენტულობის დონის შესაფასებლად,გამოიყენება ჰერფინდალ-ჰირშმანის, ლინდის, ჰოლტაიდმანის, ბაზრის კონცენტრაციის, ენტროპიის, დისპერსიისა და სხვა მრავალი ინდექსი, თავის მხრივ, სხვადასხვა მეტად საინტერესო ინტერპრეტაციებით, მაგრამ საქართველოს მოქმედი კანონი „კონკურენციის შესახებ" [10], რომელიც 2012 წლის მაისში გამოქვეყნდა (2014 წლის მარტში მასში ცვლილებები განხორციელდა), მათ არასათანადოდ იყენებს და, როგორც ჩვენი საგადასახადო კოდექსით კარგა ხანია განსაზღვრული დაუშვებლად უნიფიცირებული ამორტიზაციის ნორმები,ჯერ კიდევ ძალზე შორსაა საჭირო სრულყოფილებისაგან (მ.შ. მუხლი 3, პუნქტი „ი", მუხლი 8, ნაწილი 1 და სხვ). ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებს მკვეთრად განსხვავებული სპეციფიკები ახასიათებს, რასაც კანონი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს.

კონკურენციის თეორიული საფუძვლების კვლევაში ფასდაუდებელია გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების (ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, ლ. ჩიქავა, ი. მესხია, რ. ასათიანი, რ. აბესაძე და სხვ) კვლევების მნიშვნელობა, გადაუჭარბებლად ძალზე მნიშვნელოვანია პროფესორების - ს. პავლიაშვილისა და ს. ფეტელავას დასკვნები უშუალოდ ანტიმომოპოლიურ პრაქტიკაზე დაკვირვებებიდან გამომდინარე. არ შეიძლება განსაკუთრებული მადლიერებით არ აღინიშნოს ქართული ეკონომიკისათვის ურთულეს პერიოდებში ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის დამსახურება ზოგადად მეცნიერების მხარდაჭერისა და მონოპოლიების წინააღმდეგ წამოწყებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ინოვაციებისათვის, მაგრამ, პრობლემის უკიდურესი სირთულეებიდან გამომდინარე და ეკონომიკის ცნობილი ინერციულობის გამო, მიმდინარე რეფორმებში ანტიმონოპოლიური ფრონტი დამატებით საყოველთაო ძალისხმევასა და მნიშვნელოვან აჩქარებას საჭიროებს.

რაციონალური კონკურენციის თეორია [7, გვ. 50], რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, ასახავს ბაზრის მონაწილეთა არამხოლოდ ცალმხრივ მონაწილეობას, არამედ, ე.წ. 3 "ტექნოლოგიით" მონოპოლიურობის დონეს, ხარისხობრივ დეფორმაციებსა და ეკონომიკური აგენტების საჭირო რაოდენობასაც კი.

რაციონალური კონკურენციის თეორიის მიხედვით:

1) ეკონომიკური კონკურენცია ეკონომიკის ეფექტიანი ზრდის უმნიშვნელოვანესი საფუძველია და ის სულ უფრო ქმედით შედეგებს მიაღწევს, თუ კონკურენტულ პაექრობაში ჩართული ობიექტების რიცხვი გარკვეულ რაციონალურ მნიშვნელობამდე გაიზრდება;

2) კონკურენტთა რაოდენობის ზრდის აუცილებლობა არ უნდა ნიშნავდეს მათი ქაოტური მოზღვავების ხელოვნური პირობების შექმნას, მ.შ. არაკეთილსინდისიერი მსხვილი მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების არაბუნებრივად გადაჭარბებული დანაწევრების გზით, რაც არანაკლებ საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკისათვის. არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების წინააღმდეგ, ჩემი აზრით, უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით „გათიშე და ბაზარმა იბატონოს", მაგრამ გათიშ-

ვისა და, საერთოდ, კონკურენტების რაოდენობის გამრავლების პროცესი არაბუნებრივად უსასრულო არ უნდა იყოს. ბუნებაში საუკეთესოდ თანაარსებობენ დიდი და მცირე მცენარეები და ცხოველები და ასევე ბუნებრივად უნდა მოვაწყოთ ეკონომიკაც;

3) ეკონომიკა უნდა მოვაწყოთ და არამც და არამც ვიფიქროთ, რომ ის თავისთავად მოეწყობა. ეკონომიკას არ უყვარს უხეში არაგონივრული ჩარევა, მაგრამ, როგორც სახლი არ აშენდება თავისით, არც ეკონომიკა დაბალანსდება თავისით. ადამიანის ჩაურევლად შეიძლება ხე ამოვიდეს ტყეში, მაგრამ ქალაქების საჭირო გამწვანება თავისით ვერ მოხერხდება;

4) კონკურენცია თუ რაციონალური ანუ ზომიერი უნდა იყოს, ეკონომიკის მართვის მიზანი მხოლოდ ზღვრული ეფექტიანობა უნდა იყოს. მაშასადამე, მეტი შემოსავლის მიღების სურვილი არ არის ცუდი, უფრო მეტიც, აუცილებელია. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ის მხოლოდ ბუნებრივი კონკურენტული გარემოს გზით უნდა მივიღოთ და მისი განაწილება და გადანაწილებაც ბუნებრივად სამართლიანი უნდა იყოს;

5) ეფექტიანი მართვა გლობალურ, სახელმწიფო და მიკროეკონომიკურ სისტემებსაც სჭირდება და ზღვრულ შედეგებს რომ მივაღწიოთ, ყოველი მათგანის ყველაზე ეფექტიანი ელემენტები უნდა წავახალისოთ საწყის ეტაპებზე, რათა მათი საშუალებით სწრაფად დავეხმაროთ იმ აუცილებელ სფეროებს, რომლებიც ნაკლებშემოსავლიანია. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეფექტიანი შემადგენლების წახალისებამ ხანგრძლივად არ უნდა დაარღვიოს ეკონომიკური სტრუქტურის ბუნებრივი სიმწიფე ანუ გარკვეული პროპორციულობა.

სახელმწიფოს მართვისა და, შესაბამისად, საკუთრების სხვადასხვა ფორმის კონკურენციის საკითხებზე გენიალური საკანონმდებლო და თეორიული ხასიათის შედევრების შემუშავება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაიწყო და კაცობრიობა დღესაც ინტერესით სწავლობს ძველი საბერძნეთის (პლატონი, არისტოტელე), ინდოეთის (კაუტილია), ჩინეთისა (კონფუცი), ბაბილონის (ჰამურაბი) და სხვა ცივილიზაციების მემკვიდრეობას ამ მიმართებით.

კაცობრიობას კარგად ახსოვს, თუ როგორი ნახტომით შეცვალა მსოფლიო ინგლისის სამრეწველო რევოლუციამ. ამ ეპოქის კვალზე, დიდი მნიშვნელობის მოვლენეთა რიგს მიეკუთვნება ინგლისელი ეკონომისტის - ჯონ მეინარდ ქეინზის გენიალური რეკომენდაციებიც მართვის (რეგულირების) და შესაბამისად დასაქმების გენიალური ელემენტარული სქემების შესახებ. რეგულირება, ბუნებრივია, უპირველესად, ანტიმონოპოლიურ ფრონტსაც სჭირდება, ვინაიდან, ვფიქრობ დამეთნხმებით, კონკურენცია ეკონომიკური ზრდის უმთავრესი ფაქტორია.

ჯ. მ. ქეინზის აზრით, საზოგადოების გადახდისუნარიანი მოთხოვნის ვარდნა განაპირობებს საქონლისა და მომსახურების წარმოების შემცირებას, მცირე მეწარმეების მასობრივ გაკოტრებას, მსვილი ობიექტებიდან დიდი ოდენობით დასაქმებულების დათხოვნას, შედეგად, მსხვილმასშტაბიან უმუშევრობასა და მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას, რაც, თავის მხრივ, გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემდგომი ვარდნისა და ეკონომიკური დეპრესიების პროცესებს აღრმავებს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ძირითადად ერთი ქვეყნის მაკროეკონომიკის ფუნქციონირებაზე დაკვირვების მაგალითების მოხმობით, ქეინზი ასკვნის, რომ საბაზრო ეკონომიკას არ შეიძლება ახასიათებდეს თვითრეგულირებადი წონასწორობა, რომელიც სრულ დასაქმებას განაპირობებს. ხსენებულის მიზეზი, გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტის აზრით, დაზოგვისაკენ მიდრეკილებაა, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნა ნაკლებია ერთობლივ მიწოდებაზე. ამდენად, სახელმწიფომ, მისი აზრით, უნდა მოახდინოს ეკონომიკის რეგულირება ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებით, მ.შ. ფულადი მასის გაზრდით, საპროცენტო განაკვეთის შემცირებით (საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება), საზოგადოებრივი შეკვეთებისა და სამუშაოების საფუძველზე მოთხოვნის შემცირების კომპენსირებით, საბიუჯეტო ფინანსირებითა და სხვ.

ქეინზს, ბუნებრივია, დასავლეთშიც ჰყავს ჩემი აზრით ნაკლებნიჭიერი ოპონენტები, რომლებიც თავისუფალი ბაზრის გაღმერთებას ცდილობენ. ვეთანხმები რა ქეინზს, ჩვენი აზრით, დამატებით უნდა დავაზუსტოთ, რომ საბაზრო ეკონომიკას პერიოდული წონასწორობა შეიძლება ახასითებდეს, მაგრამ ეს სტაბილურად და გრძელვადიან პერიოდებზე ვერ გავრცელდება. ამასთანავე, გლობალიზების ახალ პირობებში, როცა საბაზრო ეკოომიკა გასცდა სახელმწიფოს მასშტაბებს, დროა გავაცნობიეროთ, რომ სულ უფრო მეტი რეგულირება სჭირდება თავად მსოფლიო ეკონომიკას ანუ სახელმწიფოების კოლექტიური (ურთიერთშეთანხმებული) მოქმედებაა საჭირო და არა ყველასათვის საზიანო არაკეთილსინდისიერი ქიშპობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო ეკონომიკას უფრო ხანგრძლივი დეპრესია

მოიცავს, ვიდრე ახალ და უფრო შორეულ ისტორიაში ფიქსირდებოდა. დიდი ქვეყნები მეტად და მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებული მცირე ქვეყნების (რომლებიც, საერთო ჯამში, მსოფლიო ეკონომიკის თითქმის ორ მესამედს შეადგენს) დასაქმების პრობლემების მოგვარებაში, რაც თავად მათი კეთილდღეობის გამრავლების სტიმული იქნება. ამასთანავე,დიდი ქვეყნების მიმართ მცირე ქვეყნების კეთილგანწყობაც მეტი და მეტი უნდა იყოს და კოლექტიური ძალოვანი მოქმედება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ წარმოუდგენელი მასშტაბებით დამაზიანებელი საერთაშორისო ბუნების მონოპოლიური კრიმინალური ბიზნესის წინააღმდეგ და შედეგად აღმოცენებული ტერორიზმისა და სეპარატიზმის მძლავრი კერების ჩასაქრობად.

განმეორებადი გახანგრძლივებული გლობალური კრიზისის დასამარცხებლად, საერთაშორისო სახელმწიფო ქმედებები (მ.შ. უპირველესად კოლექტიური შეკვეთები),სულ უფრო მეტად უნდა იყოს მიმართული ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური სტრუქტურების შესაძლო სიმწიფის უზრუნველყოფაზე, ეკოლოგიურად სუფთა და უდანაკარგო პროგრესული ტექნიკა-ტექნოლოგიების განვითარებასა და აგროსამრეწველო ინდუსტრიაზე, მრავალფეროვან ადგილობრივ უპირატესობათა მაქსიმალურ გათვალისწინებაზე, საშუალო ფენის არსებით ზრდაზე და სხვა, რაც მსოფლიო ეკონომიკის სრულფასოვან (ეფექტიან) ამოქმედებას შეუწყობს ხელს.

სამწუხაროდ, დღევანდელი კიბერტექნოლოგიების ეპოქაშიც კი გვხდებიან „სახელოვანი“ მკვლევარები, რომლებიც ეკონომიკის გონივრული რეგულირების მომხრეებს ჩამორჩენილ მოაზროვნეებად „ნათლავენ“ და თავად თვითრეგულირების „უხილავი ხელის“ თეორიის „წმინდანებად“ გვევლინებიან. ფულის რწმენა და სიყვარული უხვად და ურყევად გაგვაჩნია და მაცხოვრის ყოვლადმომცველობასაც საუკეთესოდ ვხედავთ, მაგრამ, ყველაფრის უფალზე „გადაბრალება“ და თავად არხეინად ყოფნა არაფერს მოგვიტანს. უფლის მოძღვრება გვასწავლის, რომ მეურნეობრიობა, მისთვის წინასწარი მომზადება და გამრჯე შრომა ყველას მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში,თვითრეგულირება და მონოპოლიების შემყურე ყოფნა ვერაფრით გვიშველის.

გამწვავებული კონკურენციის ეპოქაში, როცა ზედმიწევნით სრაფი ტექნიკის სიჩქარეებით იცვლება პოლიტიკის განმსაზღვრელი ეკონომიკური პროცესებიც, მცირე მასშტაბის ქვეყნების პოლიტიკასა და ეკონომიკაში, გრძელვადიანი სტაბილურობის შეგრძნების დამკვიდრება განსაკუთრებით აქტუალური ხდება.

ცნობილია, რომ სტრატეგიული მართვის, საკუთრებისა და ფულის საკითხებზე ჩვენს წელთაღრიცხვამდეც ფიქრობდნენ (ძველი საბერძნეთი, რომი, ინდოეთი, ჩინეთი, ბაბილონი) და თანამედროვე ეპოქაშიც არ აკლებენ მცდელობას ეკონომიკურად განვითარებული გენიოსები (აშშ, იაპონია, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია, სამხრეთ კორეა და სხვ).

სამწუხაროა, რომ საბჭოთა კავშირის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში, ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში მოჩვენებითი კეთილდღეობის არაბუნებრივი გზებით ძალდატანებითი დამკვიდრება წარმოებდა და,შედეგად,„კონკურენციის საყოველთაო უარყოფის პირობებში საბჭოთა იმპერიაში წარმოებული წარმოების საშუალებები (ძირითადად, სამხედრო მრეწველობის გარდა...) ხარისხობრივი მახასიათებლებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთაშორისო სტანდარტებს“ [1,გვ. 29] და დიდი დრო დაიკარგა და დაგროვდა ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემებიც, რომელთა შედეგებსაც დღემდე დიდი სირთულეებით ვიმკით.

თუ უახლეს ისტორიას გადავავლებთ თვალს (1991-2012 წ.წ.), საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგაც კი, ტერიტორიულად მცირე საქართველოში ვერა და ვერ მოხერხდა ზემოხსენებული გრძელვადიანი სტაბილურობის შეგრძნების დამკვიდრება - ხშირი იყო სახალხო მღელვარებები, რამაც პირველ ხანებში ეროვნული ვალუტის რეკორდული ჰიპერინფლაცია და აქამდე გაუგონარი ეკონომიკური დეპრესია (სტაგნაცია) გამოიწვია.

ცნობილია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით, 90-იანი წლების მეორე ნახევარში მოხერხდა ეროვნული ვალუტის სწრაფი და თვალსაჩინო სტაბილიზება, მაგრამ შემდგომ წლებში ფარული უკვე არაკეთილსინდისიერი მონოპოლიები მოგვევლინა „აუღებელ ციხე-სიმაგრეებად“, რამაც საყოველთაოდ სახელგანთქმულ ქართულ სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობას ფაქტიურად მთლიანად მოუღო ბოლო, რასაც ვერც პრივატიზაციამ უშველა, რამაც, თავის მხრივ, გრძელვადიანი პოლიტიკური სტაბილურობის გარეშე, სწრაფი ეკონომიკური გაუმჯობესების ნაცვლად, მოულოდნელი დამატებითი პრობლემები გაგვიმრავლა [2].

სამწუხაროა, რომ „პოლიტიკური არასტაბილურობა ართულებს მთავრობის მხრიდან პოპულისტურ ნაბიჯებზე უარის თქმას“ [3, გვ. 93] და უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროექტების დასახავა-განხორციელებაც გვიანდება. თუ „ბუნე-

ბამ შექმნა ადამიანის სხეულის მორფოლოგიური აღნაგობა, ადამიანები ... თავისი ქცევით აყალიბებენ და ცვლიან ეკონმიკის მორფოლოგიურ აღნაგობას“ [4, გვ. 5] და ადამიანთა საზოგადოება ვალდებულია, ხშირ შემთხვევაში, არაპოპულისტური ხარჯტევადი, მაგრამ გრძელვადიანი სტრატეგიისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი გადაწყვეტილებებით იმოქმედოს.

ვფიქრობთ, ზემოხსენებულთან დაკავშირებით, პროფესორმა ლოიდ ქარჩავამ, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე დასვა ძალზე საჭირო საკითხი, რომ საჭიროა „ქვეყნის სტრატეგიის შემუშავება ფართო საზოგადოების მონაწილეობით“ [5, გვ. 4], რაც, ანტიმონოპოლიური ფრონტის აუცილებელ გააქტიურებასთან ერთად [6], ჩვენი აზრით, საყოველთაო ოპერატიულ საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს [8].

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. - თბილისი, 2002.
2. ს. პავლიაშვილი, პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. - თბილისი, 2009.
3. ვლ. პაპავა, ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე). - თბილისი, 2010.
4. გ. პაპავა, მორფოლოგიური მიდგომა ეკონომიკური რეალობის მიმართ. - თბილისი, 2012.
5. ლ. ქარჩავა, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, (მოხსენება ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე) 2013.
6. ს. ფეტელავა, კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. – თბილისი, 2007.
7. რ. ლორთქიფანიძე, რაციონალური კონკურენციის თეორია მართვის ზღვრული ეფექტიანობისათვის. - თბილისი, ISBN 978-9941-0-6966-6, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრული რესურსები, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2014.
8. რ. ლორთქიფანიძე, გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის. - თბილისი, 2014, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29377
9. უნივერსიტეტს პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება სჭირდება! – გაზეთი “თბილისის უნივერსიტეტი”, 2014, 30 სექტემბერი, №11, გვ. 2.
10. www.parliament.ge


## For Intellectualization and Quality of Life


Revaz Lordkipanidze
Tsiala Giorgadze



For the intellectualization public processes and marginal effective improve of the quality of human life, the authors define the fundamental task of rational anti-monopoly policy, including mechanisms of the international organizations and community of states.

In work discussed the relationship between competitiveness and quality of life on the base of development of European Commission experts' methodology of efficiency of economic structure and Revaz Lordkipanidze worked out recommendations for long-term strategy of improve of the living level and quality of human life.

Rational theory of competition, which has recently been published, with use of original 3D “technology”, reflecting number of market's economic agents, index of monopoly and market qualitative level also.

In work Revaz lordkipanidze expressed particular concern about the proliferation of monopolies and he work out special topical issues of market's competition and economic efficiency for the current stage of economic development of Georgia.

# ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში



კახა კობერიძე
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მრჩეველი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი

*სტატიაში მოკლედაა აღწერილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობის ისტორია და მისი განვითარება თანამედროვე პერიოდამდე. საუბარია საქართველოში ამ ინსტიტუციის დამკვიდრებასა და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე, ნაფის მსაჯულთა შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცესუალურ ასპექტებზე, მიმოხილულია ის დადებითი და უარყოფითი მხარეები ,რითაც ხასიათდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობა, როგორც ზოგადად, ასევე საქართველოში.*

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უძველესი ისტორია აქვს. ამ ინსტიტუციის წარმოშობის თაობაზე გაბატონებული მოსაზრება არ არსებობს. ზოგი მკვლევარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობას ძველ ათენში არსებულ დიკასტერიას, იმავე ჰეილეიას უკავშირებს. დიკასტებს, ანუ ჰელეასტებს მოსახლეობა ირჩევდა და მათი რიცხვი ხშირად ათას ხუთასს აღწევდა, ისინი არჩეული იყვნენ ერთი წლის ვადით, 30 წელს მიღწეულ მოქალაქეთა შორის. დისკატერია განიხილავდა სამოქალაქო, ყოფით და სისხლის სამართლის საქმეებს, მათ შორის საქმეებს, სადაც სასჯელი სიკვდილით დასჯა იყო. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებდა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, განსასჯელი მართლდებოდა.

რომის იმპერიაში ასევე არსებობდა ტრიბუნალები, სადაც მნიშვნელოვან საქმეებზე პირის ბრალეულობის საკითხს ასიდან ათასამდე ადამიანისგან შემდგარი მსაჯულთა საბჭო წყვეტდა.

მიიჩნევენ, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუციის ფორმირება მე-9 საუკუნის ბოლოს,ინგლისში,მეფე ალფრედ დიდის დროს დაიწყო, სხვა მოსაზრებით, იგი პირველად წარმოიშვა საფრანგეთში, მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში ლუდოვიკო ღვთისმმოსავის მმართველობისას. ბევრი მეცნიერის აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ჩაისახა ნორმანდიელთა მიერ მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის დაპყრობის შემდეგ.

ერთი რამ ფაქტია, სწორედ მე-12 საუკუნის ინგლისია ამ ინსტიტუტის რეალური სამშობლო, როდესაც მეფე ჰენრი მეორემ 1116 წელს დაადგინა წესი, რომლის თანახმადაც ყველა დასახლებული პუნქტიდან, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, უნდა შეერჩიათ 4-დან 12 პირამდე, რომლებიც ფიცის დადების შემდეგ, შეატყობინებდნენ მეფის მოსამართლეებს შესაბამის დასახლებულ პუნქტში მომხდარ სერიოზულ დანაშაულებსა და დამნაშავე პირებზე, ანუ თავდაპირველად ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ ინფორმაციას აწვდიდნენ და მხოლოდ 1194 წლიდან მოხდა მათი სამოსამართლეო უფლებამოსილებით აღჭურვა.

1215 წელს, ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლოს მმართველობისას, შეიქმნა „თავისუფლების დიდი ქარტია". ქარტიამ შეზღუდა მეფის უფლებამოსილებანი და დაადგინა, რომ ყოველი ადამიანი უნდა განესაჯათ მისსავე თანასწორებს, კანონიერებისა და თანასწორების პრინციპის დაცვით. თავდაპირველად მსაჯულებს არჩევდნენ პროფესიული ნიშნის მიხედვით, ხოლო შემდეგ მხოლოდ გარეშე პირებს, რომლებიც საქმეზე პირად ან პროფესიულ ინფორმაციას არ ფლობდნენ.

მე-16 საუკუნის ბოლოს და მე-17 საუკუნის დასაწყისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პრაქტიკულად დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოდ გადაიქცა, თუმცა ხელისუფლება იყენებდა მსაჯულებზე სხვადასხვა სახის ზეწოლას. მათ ხანგრძლივად კეტავდნენ ოთახში სითბოს, საკვების, წყლისა და საპირფარეშოს გარეშე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მიზნით. ხშირი იყო მსაჯულთა ფიზიკური დასჯის, დაჯარიმების და ჯარიმის გადახდამდე თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებიც.

ამ უხეში ზეწოლის აღსაკვეთად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და

ავტორიტეტის ამაღლებისთვის, უმნიშვნელოვანესი იყო 1670 წელს ლონდონში ე.წ. „ბუშელის საქმეზე“ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც იკრძალებოდა გამამართლებელი ვერდიქტის გამო ნაფიც მსაჯულთა ფიზიკური დასჯა, დაჯარიმება და თავისუფლების აღკვეთა.

ამ გადაწყვეტილებამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მეფის ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ, მართლმსაჯულების მძლავრ ორგანოდ აქცია და დიდი ბიძგი მისცა მის დამკვიდრებას, როგორც კონტინენტური ევროპის წამყვან ქვეყნებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

რუსეთის იმპერიაში, რომლის ნაწილსაც საქართველო წარმოადგენდა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დამკვიდრდა 1864 წლის საკმაოდ პროგრესული და წარმატებული სასამართლო რეფორმის შედეგად და არსებობდა 1917 წლის რევოლუციამდე. საგულისხმოა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1993 წელს, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციამ შემოიღო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ისიც უნდა ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე არ დანერგილა, მათ შორის არც საქართველოში, რადგან იმპერიის მესვეურები მიიჩნევდნენ, რომ ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების მოსახლეობის სამართლებრივი განვითარების დონე არ შეესაბამებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრინციპებს და აქ მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტიც საკმარისი იყო.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუძემდებლური იდეა მართმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობის უზრუნველყოფაა, რაც დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების საქართველოსთვის. სხვადასხვა კატეგორიის დავების, მათ შორის სისხლის სამართლის საქმეების მოგვარებასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდნენ მხარეების ან ხალხის მიერ შერჩეული პირები, რომლებსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ხევსურეთი, სვანეთი და სხვ.) „რჯულის კაცებს“ ; „ბჭეებს“ ; „მორვარებს“ და ა.შ. უწოდებდნენ. მათი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, იყო სამართლიანი და მოდავე მხარეებისთვის უპირობოდ შესასრულებელი.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოს დროებითმა მთავრობამ გადაწყვიტა სასამართლო რეფორმის ჩატარება, სადაც იმთავითვე მოიაზრებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება. 1917 წლის 21 სექტემბერს შემოიღეს „სასამართლო დაწესებულებების დებულება“, შემდეგ შესაბამისი ცვლილება შემუშავდა „სისხლის სამართლის წარმოების წესდებაში“, ხოლო მოგვიანებით, 1919 წლის 17 იანვარს, საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ“. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგებოდა ერთი მოსამართლისგან (სხდომის თავმჯდომარე), 12 ძირითადი და 2 სათადარიგო ნაფიცი მსაჯულისგან.

ამ კანონის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, მოსამართლეებისგან დამოუკიდებლად წყვეტდნენ განსასჯელის დამნაშავედ ცნობა-არცნობის საკითხს. ნაფიც მსაჯულად აირჩეოდა 25 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობდა სახელმწიფო ენას და არანაკლებ ერთი წლისა ცხოვრობდა საქართველოში. აკრძალვა ეხებოდათ ადრე ნასამართლევ, სამსახურიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით დათხოვნილ, ასევე გადამხდელუუნარო და ქმედუუნარო პირებს.

ნაფიცი მსაჯულების სია დგებოდა თითოეულ მაზრაში ცალ-ცალკე, ამ სიაში არ შეიძლებოდა შესულყვნენ: სამღვდელოების წარმომადგენელი, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკი, სახელმწიფო ბანკის ხაზინადარი და მოლარე, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზის უფროსები, სამხედრო და საზღვაო უწყებათა მაღალი თანამდებობის პირები, საკარანტინო დაწესებულებათა მოხელენი, გუბერნიის, მაზრისა და სოფლის კომისარი და მისი თანაშემწე, მილიციის მოხელე.

სასამართლო რეფორმის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო კანონის აღსრულებაზე ზედამხედველი სენატის დაარსება, თუმცა, 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ დაამხო საქართველოს პირველი რესპუბლიკა და გააუქმა მისი სასამართლო ორგანოები.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება აქტუალურ თემად იქცა უკვე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდანვე. 2004 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა შესაბამისი ცვლილებაც, მაგრამ ამ ინსტიტუტის ამოქმედება კონკრეტულ საკანონმდებლო ცვლილებამდე გადაიდო და ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ფუნქციონირება დაიწყო 2010 წლიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 ძირითადი და 2 სათადარიგო მსაჯულისგან, თუმცა, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე უნდა იყოს არანაკლებ 6 ნაფიცი მსაჯულისა, მძიმეზე 8,

ხოლო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე არანაკლებ 10 ნაფიცი მსაჯულისა.

ნაფიცი მსაჯული შეიძლება იყოს საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული 18 წელს გადაცილებული პირი, რომელმაც იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, აქვს შესაბამისი ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობანი და ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევა რთული და შრომატევადი პროცესია, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს კანონით დადგენილი შეზღუდვები, კერძოდ ნაფიცი მსაჯული ვერ იქნება:

- სახელმწიფო- პოლიტიკური თანამდებობის პირი;
- გამომძიებელი;
- პოლიციელი;
- სამხედრო მოსამსახურე;
- სასულიერო პირი;
- ბრალდებული;
- ფსიქოლოგი;
- ფსიქიატრი;
- იურისტი ;
- აღნიშნული პროცესის მონაწილე ;
- ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მომხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი;
- პირი ვისი მონაწილეობაც ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა მის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე.
- ამის გარდა, პირს უფლება აქვს უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე, თუ იგი :
- 70 წელს გადაცილებულია ;
- უკანასკნელი წლის მანძილზე უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;
- თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, სადაც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს;
- თუ ხანგრძლივად იმყოფებოდა ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ თუ წარდგენილი ბრალდება ითვალისწინებს სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას, პროცესის მონაწილე თითოეულ მხარეს 12 დაუსაბუთებელი აცილების უფლება აქვს, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია განაცხადოს 6 დაუსაბუთებელი აცილება. უფრო მეტიც, თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, თითოეულ მათგანს 3 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების უფლება ეძლევა. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს ასევე აქვთ თვითაცილების უფლება, გარდა ამ სავალდებულო წესებისა, მხარეებს ხშირად შეაქვთ დასაბუთებული ეჭვი კანდიდატის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაში ნათესაური, მეგობრული კავშირების ან სხვა მოსაზრების გამო, რაც ასევე ხდება ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის აცილების საფუძველი.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას და განსაკუთრებით, ჩვენში ტრადიციად დამკვიდრებულ ურთიერთობებს, ნათელი ხდება, თუ რაოდენ ხანგრძლივი და რთულია ნაფიც მსაჯულთა ობიექტური შერჩევა და მხარეთა დარწმუნება მათ მიუკერძოებლობაში. სამწუხაროდ, ეს პრობლემა იჩენს თავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, რაც სულ მცირე, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპს უგულებელყოფს.

არანაკლები დავის საგანია ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი, რომელიც ნაფიცმა მსაჯულებმა ერთხმად უნდა მიიღო და თითოეული წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაწყვიტონ პირის უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი.

თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 3 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილება მიიღება მომდევნო 6 საათის განმავლობაში ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 8 ხმით, თუ 10 მსაჯულისგან -7 ხმით, თუ 9 მსაჯულისგან -6 ხმით და ასე შემდეგ.

თუ ნაფიცი მსაჯულები ვერ მიიღებენ ვერდიქტს, სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) მისცემს მათ დამატებით გონივრულ ვადას ან დაითხოვს მათ სრულ შემადგენლობას და დანიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. თუ არც ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესწევს უნარი მიიღოს გადაწყვეტილება, ბრალდებული გამართლებულად ითვლება.

როგორც ვხედავთ, ვერდიქტის მიღება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცედურაა, ახალი ნაფიცი მსაჯულების შერჩევისას წარმოქმნილ სიძნელეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

კიდევ უფრო პრობლემურია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის სამართლიანობის, საქმის ფაქტობრივ გარემოე-

ბებთან და კანონთან შესაბამისობის საკითხი.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი არ საბუთდება, რაც იმთავითვე წარმოშობს ეჭვს მისი კანონიერებისა და არგუმენტირებულობის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ სხდომას თავმჯდომარეობს პროფესიონალი მოსამართლე, რომელიც ნაფიც მსაჯულებს აძლევს სათანადო განმარტებებს, ძალიან ძნელია სისხლის სამართლის საქმის უმნიშვნელოვანეს დეტალებში სრულყოფილად გაერკვეს პირი, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სამართლებლივი ცოდნა და კვალიფიკაცია.

უსამართლო და კანონთან შეუსაბამო ვერდიქტი შეიძლება იყოს როგორც შეცდომისა და არასაკმარისი განსწავლულობის, ასევე განზრახ უკანონო გადაწყვეტილების შედეგი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობაში არაერთი ფაქტია დადასტურებული, როდესაც ისინი პოლიტიკური, პატრიოტული, სოციალური, რასობრივი, ეთნიკური თუ სხვა მოსაზრებებით იღებდნენ, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო გადაწყვეტილებებს - მაგალითად, ემეტ ტილის საქმე (1954წელი); როდნი კინგის საქმე (1992წელი) ; ლემრიკ ნელსონის საქმე (1992წელი); ო.ჯ. სიმფსონის საქმე (1995 წელი) და ა.შ. ეს გარემოება კი ძლიერ აზარალებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ავტორიტეტსა და სანდოობას.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაფიქსირდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების განსჯადობის არეალის შეზღუდვისა და ზოგან მისი პრაქტიკულად უარყოფის შეუქცევადი ტენდენცია. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის უმეტეს ქვეყნებში, რომლებსაც მიეკუთვნება საქართველოც, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ან გაუქმდა, ან მოხდა მისი ტრანსფორმაცია შერეული (შეფენების ,ასიზების და ა.შ.) სასამართლოებად (გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი და სხვ.)

კლასიკური სახით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემორჩენილია ძირითადად ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემების ქვეყნებში, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ სახის სასამართლოები გაცილებით მაღალბიუჯეტურია, ვიდრე პროფესიონალ მოსამართლეთა სასამართლო.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოში შემოღების მიზანი იყო მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობა მართმსაჯულების განხორციელებაში, სასამართლოს მეტი დაცვა უკანონო ჩარევისაგან და მისი ავტორიტეტის ამაღლება, რაც თავისთავად მისასალმებელია. მთავარია, მომავალში კარგად გავიაზროთ ამ სასამართლოს პერსპექტივა, მის დადებითი და უარყოფითი მხარეები, არსებული რეალობა და ამ ინსტიტუტის შესაბამისობა საქართველოში დამკვიდრებულ სამართლებრივ სისტემასთან.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურჯანაძე გიორგი - „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტების დასაბუთებულობა" ,სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო", თბილისი 2011 წელი
2. გაბისონია იური - „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკვანძო საკითხები" , ჟურნალი „მართმსაჯულება და კანონი" 5 (2005 წელი)
3. დოლიძე ანა - „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და მისი შეუსაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან " , სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა ", თბილისი 2013 წელი
4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - უზენაესი სასამართლო, თბილისი 2010 წელი.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
6. სონგულია ნათია - „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი " 1 (2012 წელი)


## Jury court system in Georgia


Kakha Koberidze
Tbilisi Appeal Court adviser



This article briefly describes Jury court origins and its development up to contemporary period. Article includes description of what was done for activating Jury court in Georgia, the criteria for selection of juror, description of pros and cons of Jury court activity, as in general, as well as in Georgia .

# Die Stärkung der Oppositionsrechte in Zeiten der Großen Koalition (am Beispiel des Untersuchungsausschussrechtes)



IRINE CHIKHLADZE
Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tiflis,
Rechtswissenschaftliche Fakultät, Promotion



Die Bundestagswahlen 2013 haben jedoch erstmals Mehrheitsverhältnisse geschaffen, die es der Opposition nur noch in sehr eingeschränktem Maße erlaubt hätten, von ihren parlamentarischen Kontrollrechten Gebrauch zu machen. Diese Lage hat die Qualität der Funktionsfähigkeit der deutschen Demokratie unter Frage gestellt.

Durch den Artikel wurde die Lage im Bundestag in der 18. Legislaturperiode dargestellt und am Beispiel des Untersuchungsausschussrechtes die Notwendigkeit der Änderungen der Geschäftsordnung des Bundestages zugunsten der parlamentarischen Opposition verfassungsrechtlich analysiert.

## I. Einleitung

– „Das Gebot, parlamentarische Minderheiten zu schützen, sowie das Recht auf verfassungsmäßige Bildung und Ausübung der Opposition wurzeln im demokratischen Prinzip."

– „Dieser Schutz geht […] dahin, der Minderheit zu ermöglichen, ihren Standpunkt in den Willensbildungsprozeß des Parlaments einzubringen".

– „Verfassungsrechtlich kann demnach als unstrittig gelten, dass für die Ausübung von Opposition im Parlament relevante Wirkungsmöglichkeiten garantiert sein müssen".

Die drei Zitate machen deutlich, welch hohen Stellenwert die Opposition und deren Rechte im bundesdeutschen Parlamentarismus genießen. Sie sind es letztendlich, die eine wirkliche Demokratie erst bedingen und deren Gradmesser sind. Garantiert sind diese Rechte im Grundgesetz, konkretisiert werden sie u. a. über die Geschäftsordnung des Deutschen Bundestages sowie durch weitere Gesetze, die die parlamentarische Arbeit regeln. Die Bundestagswahl 2013 hat jedoch erstmals Mehrheitsverhältnisse geschaffen, die es der Opposition nur noch in sehr eingeschränktem Maße erlaubt hätten, von ihren parlamentarischen Kontrollrechten Gebrauch zu machen. Angesichts der enormen Mehrheitsverhältnisse der aktuellen Regierungskoalition in der 18. Legislaturperiode von 2013 bis 2017 hat der Deutsche Bundestag deshalb 3. April 2014 seine Geschäftsordnung geändert. Damit soll sichergestellt bleiben, dass die Opposition auch weiterhin in vollem Umfange von ihren Rechten Gebrauch machen kann. Dies ist ein Eingriff, der in diesem Ausmaß ein durchaus beispielloser Akt für die Geschichte des deutschen Parlamentarismus ist. Trotz eines komfortablen Mehrheitsverhältnisses mit 504 zu 127 Sitzen, hat die Regierungskoalition aus CDU/CSU und SPD ihre eigene Macht zugunsten der Aufrechterhaltung demokratischer Kontrollinstrumente beschränkt. Dies zeugt von einem Demokratieverständnis, dass sich eben nicht allein über gewählte Mehrheiten definiert, sondern gleichermaßen auch der politischen Minderheit gerecht wird. Diese Arbeit will im Folgenden den verfassungsrechtlichen Hintergrund der oppositionellen Rechte im Allgemeinen sowie im Besonderen die verfassungsrechtlichen Voraussetzungen untersuchen, die solch eine Änderung der Geschäftsordnung erlauben, die seitens der Oppositionspartei Die Linke nach wie vor bezweifelt wird. So fordert Die Linke anstelle einer Änderung der Geschäftsordnung eine generelle Neuregelung im Grundgesetz. Auch diese Debatte, sowie die Genese der Änderung der Geschäftsordnung sollen in dieser Arbeit nachgezeichnet werden.

Die nach der Bundestagswahl 2013 am 27. November von der Parteien CDU/CSU und SPD vereinbarte Koalition verfügt in der 18. Wahlperiode über insgesamt 504 der insgesamt 631 Sitze im Deutschen Bundestag. Die Fraktionen Die Linke und Bündnis 90/Die Grünen haben insgesamt 127 Sitze, was einem Anteil von etwa 20 Prozent der Gesamtzahl der Sitze entspricht – zu wenig, um in vollem Umfang von der Garantierten Oppositionsrechten nach der bis dahin geltenden Geschäftsordnung des Deutschen Bundestages Gebrauch machen zu können. Danach wäre ein Quorum von mindestens 25 Prozent der Abgeordneten notwendig, um eigene Anträge in den Bundestag, wie zum Beispiel die Einsetzung eines Untersuchungsausschusses (Art. 44 Abs. 1 GG in Verbindung mit §1 Abs. 1 PUAG) oder eine Klageerhebung wegen Verstoßes gegen das Subsidiaritätsprinzip (Art. 23 Abs. 1a GG) durchzusetzen. Das Verlangen auf Einberufung einer Sondersitzung des Bundestages er-

fordert sogar mindestens die Stimmen von einem Drittel der Abgeordneten (Art. 39 Abs. 3 GG).

Mit der Änderung der Geschäftsordnung am 3. April 2014 mit den Stimmen der Großen Koalition aus CDU/CSU und SPD und der Fraktion Bündnis 90/Die Grünen wurde diesem Mangel jedoch Rechnung getragen, indem das notwendige Quorum auf nunmehr auf 120 Mitgliedern des Bundestage abgesenkt wurde – ein bis dahin einmaliger Vorgang und beispielgebend für eine gelebte Demokratie. Der Änderungsvorschlag von den Regierungsfraktionen wurde jedoch zunächst von den beiden Oppositionsfraktionen nicht geteilt. Sie standen auf dem Standpunkt, dass die Geschäftsordnung des Deutschen Bundestages sowie zahlreiche gesetzliche Regelungen bislang solch eine Situation gar nicht vorsahen – eine Situation, in der die Regierungsfraktionen – wie jetzt aktuell in der Großen Koalition – über solch eine extrem große Mehrheit verfügen. Deshalb seien grundsätzliche Rechtsänderungen erforderlich , die über temporäre Änderungen der Geschäftsordnung des Deutschen Bundestages lediglich für die 18. Legislaturperiode hinausgehen müssten. Die Regierungsfraktionen vertreten wiederum die Auffassung, die sie erstmals in ihrem Antrag vom 11. Februar 2014 formulierten, dass ihr komfortables Mehrheitsverhältnis eine Folge des freien Wählervotums sei, das bei der Bundestagswahl 2013 jedem Abgeordneten des Parlaments ein Mandat mit gleichen Rechten und Verpflichtungen erteilt habe. Kurz: Allein die Wahlentscheidung der Bürger habe den Rahmen für das aktuelle Stärkeverhältnis von Koalition und Opposition geschaffen.

Weiterhin argumentieren die Regierungsfraktionen in diesem Antrag, dass das Grundgesetz und die Geschäftsordnung des Deutschen Bundestages die Verantwortlichkeiten und Gestaltungsmöglichkeiten der Mehrheit und der Opposition zu einem angemessenen Ausgleich bringen. Die Regeln des Grundgesetzes und der Geschäftsordnung des Deutschen Bundestages werden deshalb auch der politischen Konstellation der 18. Wahlperiode grundsätzlich gerecht. Minderheitenschutz bedeutet nicht, die Minderheit vor Sachentscheidungen der Mehrheit zu bewahren, wohl aber, der Minderheit zu ermöglichen, ihren Standpunkt in den Willensbildungsprozess des Parlaments einzubringen. Diese Ansicht hat bereits auch das Bundesverfassungsgericht in mehreren Urteilen wiederholt vertreten (vgl. BVerfGE 70, 324 [363]).

Schließlich betonen die Regierungsfraktionen, dass es Aufgabe des ganzen Parlaments und zuvorderst jedes einzelnen Abgeordneten sei, die Regierung zu kontrollieren. Dafür besitze jeder Abgeordnete eigene Mitwirkungs- und Kontrollrechte, die sich aus seiner verfassungsrechtlichen Stellung ableiteten. Hierzu zählten insbesondere Informations-, Rede- sowie allgemein-parlamentarische Mitwirkungsrechte. Zentrale Kontroll- und Mitwirkungsrechte im Bundestag sind wiederum an den Fraktionsstatus geknüpft, die auch für die Oppositionsfraktionen gleichermaßen gelten.

Im Verlauf der Debatte über die Stärkung der Oppositionsrechte hatte Bundestagspräsident Norbert Lammert bereits am 16. Januar 2014 einen eigenen Vorschlag zur Lösung des Problems vorgestellt. Danach sollten Bündnis 90/Die Grünen und Die Linke nunmehr durch einen einfachen Beschluss das Recht erhalten, gemeinsam Untersuchungsausschüsse, öffentliche Anhörungen oder Sondersitzungen erwirken zu können. Die beiden Oppositionsfraktionen wollten ihre Rechte als parlamentarische Minderheit jedoch grundsätzlich per Gesetz verankert wissen. Deshalb haben beide Oppositionsfraktionen am 29. Januar 2014 einen gemeinsamen Entwurf für ein „Gesetz zur Sicherung der Oppositionsrechte" in den Bundestag eingebracht , um so u.a. dauerhaft die verschiedenen parlamentarischen Kontrollmöglichkeiten, wie das Widerspruchsrecht gegen die Einsetzung eines Untersuchungssauschusses (§ 55 Abs. 1 GO-BT), das Recht eine Einberufung des Bundestages zu verlangen (§ 21 Abs. 2 GO-BT), das Recht eine allgemeine Aussprache oder eine Anhörung im Bundestag zu verlangen (§ 69a Abs. 5 GO-BT; § 70 Abs. 1 GO-BT), zu sichern, die sie angesichts der Mehrheitsverhältnisse der Großen Koalition bis dahin nicht ausüben konnten.

Die Fraktionen von CDU/CSU und SPD haben am 11. Februar 2014 jedoch einen eigenen Gesetzentwurf eingebracht, der eine temporär geänderte Anwendung der parlamentarischen Minderheitsrechte allein für die 18. Wahlperiode vorschlägt, indem lediglich die Geschäftsordnung des Deutschen Bundestages geändert werden sollte – ein Vorschlag, der sich in geänderter Form dann auch im Frühjahr durchsetzen sollte. Zunächst hatte am 18. März 2014 die Fraktion Die Linke dagegen aber noch einen Gesetzentwurf zur Änderung des Grundgesetzes eingebracht. Darin fordern sie für die „Rechts¬sicherheit und

- verbindlichkeit" der Sicherung der Oppositionsrechte im Bundestag insgesamt fünf Änderungen (Artikel 23, 39, 44, 45a, 93) im Grundgesetz.

Die Oppositionsfraktionen kamen jedoch mit keinem ihrer Anträge durch. Bei den Verhandlungen in den zuständigen Fachausschüssen wurden all ihre Gesetzentwürfe abgelehnt – nicht jedoch, ohne einen Kompromiss zumindest mit der Fraktion von Bündnis 90/Die Grünen zu erzielen. So wurde der Antrag der Regierungsfraktionen (Drucksache 18/481) am 3. April 2014 in geänderter Fassung nunmehr mit den Stimmen der Fraktionen CDU/CSU, SPD und Bündnis 90/Die Grünen bei Stimmenthaltung der Fraktion Die Linke angenommen. Die Geschäftsordnung des Deutschen Bundestages ist ausschließlich für die 18. Legislaturperiode nunmehr um den § 126a „Besondere Anwendung von Minderheitsrechten in der 18. Wahlperiode" erweitert worden.

Dieser enthält folgende Regelungen: Nach § 126 a Abs. 1 Nr. 1 GO-BT setzt der Bundestag einen Untersuchungsausschuss bereits auf Antrag von 120 seiner Mitglieder gemäß Artikel 44 des Grundgesetzes ein. Die Zahl der Mitglieder des Untersuchungsausschusses wird nach dem vom Bundestag beschlossenen sog. Verteilverfahren (Bundestagsdrucksache 18/212) so bestimmt, dass die Fraktionen, die nicht die Bundesregierung tragen, gemeinsam ein Viertel der Mitglieder stellen. Dement-

sprechend haben die Oppositionsfraktionen auch in dieser Fallkonstellation die Möglichkeit, die Einsetzung einen Untersuchungsausschusses zu fordern.

II. Ist das Untersuchungsausschussrecht ein wesentliches Instrument für die Ausübung der oppositionellen Kontrolle im Deutschen Bundestag?

Wäre die Geschäftsordnung des Deutschen Bundestages unverändert geblieben, hätte die Opposition mit ihrem Anteil von rund 20 Prozent keine Möglichkeit gehabt, innerhalb der 18. Legislaturperiode auch nur die Einsetzung eines Untersuchungsausschusses zu beantragen. Umso dringender stellt sich deshalb meiner Ansicht nach die Frage, inwieweit die Änderung der Geschäftsordnung des Bundestages für die Ausübung der oppositionellen Kontrolle tatsächlich notwendig war. Deshalb soll an dieser Stelle die Bedeutung des Untersuchungsausschusses und seine Rolle im Parlamentarismus dargestellt werden.

1. Art. 44 Abs. I GG – Parlamentskompetenz und Oppositionsrecht

Die Untersuchungsausschüsse sind parlamentarische Hilfsorgane des Bundestages und können weder Sanktionen verhängen, noch haben sie richterliche Gewalt. Sie ermöglichen eine sowohl rechtliche als auch politische Bewertung, sowie die Aufklärung umstrittener Sachverhalte. Deshalb sind Untersuchungsausschüsse als eine besondere Form der parlamentarischen Kontrolle von Regierung und Verwaltung zu betrachten.

Die Einsetzung von Untersuchungsausschüssen ist im Grundgesetz in Artikel 44 geregelt. Danach hat der Bundestag auf Antrag eines Viertels seiner Mitglieder die Pflicht, einen Untersuchungsausschuss einzusetzen (Art. 44 I 1 GG). Näheres ist seit 2001 zudem durch das „Gesetz zur Regelung des Rechts der parlamentarischen Untersuchungsausschüsse im Deutschen Bundestag" (PUAG) und die Geschäftsordnung des Deutschen Bundestages geregelt. Insgesamt reicht die Geschichte von Untersuchungsausschüssen bis in die Zeit der Weimarer Reichsverfassung zurück, wo sie in Artikel 34 geregelt war. Allerdings: „Gegenüber der Weimarer Verfassung wurde im GG das Antragsrecht von einem Fünftel auf ein Viertel der Abgeordneten erhöht."

Nach Ansicht des Bundesverfassungsgerichtes ist das Recht auf Einsetzung eines Untersuchungsausschusses das wichtigste Kontrollinstrument für die parlamentarische Opposition. Schon der Akt seiner Einsetzung erzeugt eine breite mediale Resonanz. Der Untersuchungsgegenstand steht damit sofort unter großer öffentlicher Aufmerksamkeit und wird selbst zu einem öffentlichen Vorgang. Die Untersuchungsausschüsse sollen institutionelles oder personelles Fehlverhalten im öffentlichen Leben aufklären.

Dafür hat ein Untersuchungsausschuss, vergleichbar mit einem Gericht, unter anderem das Recht, Zeugen vorzuladen, Akten von der Bundesregierung anzufordern oder einzusehen, sich also von der Bundesregierung informieren zu lassen, ohne dass dafür der Bundestag einen entsprechenden Antrag stellen muss. Dies ist das sogenannte Recht auf Selbstinformation, dass der Untersuchungsausschuss im Unterschied zu anderen Ausschüssen hat. Der Untersuchungsausschuss kann somit auch als ein Instrument zur „parlamentarischen Informationsbeschaffung" betrachtet werden.

Die Aufgaben eines Untersuchungsausschusses lassen sich als vier Kernbereiche zusammenfassen: So ist erstens der Sachverhalt zu untersuchen, zweitens sind die Ergebnisse der Ermittlungen zu werten. Dem Plenum hat der Untersuchungsausschuss drittens über die Ermittlungen Bericht zu erstatten. Schließlich hat dieser Ausschuss viertens gegebenenfalls weitere erforderliche Beschlüsse vorzubereiten.

2. Untersuchungsausschuss – bloßes Skandalisierungsinstument oder Kernelement der oppositionelle Kontrolle?

Aufgrund der ausgeprägten Minderheitsrechte und der großen Aufmerksamkeit der Medien werden die parlamentarischen Untersuchungsausschüsse oft als Skandalisierungsinstrument der Regierungsfraktionen genutzt. Deswegen stellt sich die Frage, ob der Untersuchungsausschuss ein bloßes Skandalisierungsinstrument darstellt, oder es als parlamentarisches Kontrollinstument hinreichend benutzt wird.

Das BVerfG bezeichnet den Untersuchungsausschuss und sein Verfahren als ein „Aufklärungsinstrument im Rahmen der politischen Kontroverse". Die Tätigkeit von Untersuchungsausschüssen wird wegen ihres gerichtsähnlichen Verfahrens von der Gesellschaft in der Regel als objektiv und neutral betrachtet. Doch ist das wirklich so? Immerhin wurde der Opposition immer wieder auch vorgeworfen, von ihr geforderte Untersuchungsausschüsse als ein Instrument zur Skandalisierung der Tätigkeit der Regierung und Regierungsfraktionen zu benutzen, worauf Matthias Riede und Henrik Scheller hinweisen.

Andererseits, darauf weisen Frank Esser und Uwe Hartung hin, sind politische Skandale in der „Auseinandersetzung um Macht, Geld, und Reputation" auch als eine Möglichkeit sozialer Kontrolle zu betrachten. Eine Ansicht, die auch Burghard Oeverhaus teilt. Für ihn leisten politische Skandale einen Beitrag zur „Ausübung von politischer Herrschaftskontrolle". M. Riede und H. Scheller kommen sogar zu dem Schluss, dass politische Skandale nicht nur einmal die Ursache für die Veränderung bestehender Machtverhältnisse waren. Gerade vor diesem Hintergrund hätten die Untersuchungsausschüsse eine regelrechte Kampffunktion für die Opposition.

Gestützt werden diese Annahmen auch durch statistische Untersuchungen. So sind die meisten Untersuchungsausschüsse des Bundestags nach 1990 gem. Art. 44 Abs. 1 Satz 1 2. Alt. GG mit den Stimmen der Opposition eingesetzt worden. Die folgende Statistik zeigt das

sehr eindrücklich. Sie enthält für den Zeitraum von 1990 bis 2013 sowohl die Zahl der Untersuchungsausschüsse als auch die Zahl jener Fälle, in denen sich der Verteidigungsausschuss als Untersuchungsausschuss konstituiert hat:

| Wahl-periode | Untersuchungsausschüsse | | Verteidigungsausschuss als Untersuchungsausschuss | | Zahl der Untersuchungsverfahren insgesamt |
|---|---|---|---|---|---|
| | Zahl der Ausschüsse | Zahl der Sitzungen | Zahl der Verfahren | Zahl der Sitzungen | |
| 12. WP 1990–1994 | 3 | 283 | – | – | 3 |
| 13. WP 1994–1998 | 2 | 176 | 1 | 19 | 3 |
| 14. WP 1998–2002 | 1 | 125 | – | – | 1 |
| 15. WP 2002–2005 | 2 | 64 | – | – | 2 |
| 16. WP 2005–2009 | 2 | 148 | 1 | 24 | 3 |
| 17. WP 2009–2013 | 2 | 176 | 2 | 67 | 4 |
| 18. WP 2013– | 1 | | – | – | 1 |

Die Quelle: http://www.bundestag.de/blob/196178/55115f5d30770ce4e858a71b65a39bae/kapitel_08_09_untersuchsungsaussch__sse-data.pdf S. 2, Bundestag [Stand 17.06.2014].

Bemerkenswert an dieser Statistik ist, dass von elf Untersuchungsausschüssen acht durch den Antrag der Oppositionsfraktionen eingerichtet wurden. Lediglich wenn sich der Verteidigungsausschuss als Untersuchungsausschuss konstituiert hatte, wurde er in drei von vier Fällen durch den Antrag der Regierungsfraktionen, bzw. aller Fraktionen im Bundestag eingesetzt.

| Wahlperiode Und Regierungs-fraktionen | Untersuchungsausschüsse | | Verteidigungsausschuss als Untersuchungsausschuss | |
|---|---|---|---|---|
| | Zahl der Ausschüsse | Antragsteller | Zahl der Ausschüsse | Antragsteller |

Die Tabellen sowie die bisherigen Ausführungen haben deutlich gemacht, dass das Untersuchungsausschussrecht verfassungsgerichtlich für die Kontrollfunktion der Opposition im Bundestag unverzichtbar ist und dass das auch allgemein anerkannt ist.

Untersuchungsausschüsse haben gewissermaßen eine institutionelle Warnfunktion, die allein wegen ihrer verfassungsrechtlichen Verankerung oft genug auch präventiv wirken , wie M. Riede und H. Scheller festhalten. „Die selbsterzieherischen und selbstreinigenden Effekte, die die Einsetzung eines Ausschusses mit sich bringen kann, werden nicht vollends durch die dominante Medienlogik verzerrt, sondern eröffnen einzelnen Abgeordneten durchaus auch Profilierungsmöglichkeiten." Zudem zieht das Parlament mit der Einsetzung eines Untersuchungsausschusses die Informationsbeschaffung zu einem Sachverhalt an sich.

Darüber hinaus sind Untersuchungsausschüsse immer wieder Anstoß öffentlicher Debatten über politisch-rechtliche Themen und damit mächtiges Instrument in den Händen der Opposition, um die Regierung zu kontrollieren und gleichzeitig der Gesellschaft eine politische Alternative anzubieten. Deswegen sollte das Recht auf Einsetzung von Untersuchungsausschüssen nicht allein auf ein bloßes Skandalisierungsinstrument der Opposition reduziert werden.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1990-1994 CDU/CSU, FDP | 3 | 2 – SPD<br>1 - Interfraktionell | - | - |
| 1994-1998 CDU/CSU, FDP | 2 | 1 – SPD<br>1 - Interfraktionell | 1 | SPD, B 90/GR |
| 1998-2002 SPD/Die Grünen | 1 | 1 – SPD, Die Grünen | - | - |
| 2002-2005 SPD/ Die Grünen | 2 | 2 – CDU/CSU | - | - |
| 2005-2009 CDU/CSU, SPD | 2 | 2 - FDP, Die Grünen, Die Linke | 1 | CDU/CSU, SPD |
| 2009-2013 CDU/CSU, FDP | 2 | 1 – SPD, Die Grünen, Die Linke<br>1 – Ang. von SPD, B 90/GR, Die Linke | 2 | Auf Antrag aller Fraktionen |
| 2013- CDU/ CSU, SPD | 1 | 1 – Alle Fraktionen | - | - |

| | Gesamtzahl | Auf Antrag der Oppositionsfraktionen | Auf Antrag der Regierungsfraktionen | Gemeinsamer Antrag der Fraktionen oder Interfraktionell |
|---|---|---|---|---|
| Untersuchungs-ausschuss | 13 | 8 | 1 | 4 |
| Verteidigungs-ausschuss | 4 | 1 | 1 | 2 |

Henrik Gast und Uwe Kranenpohl, aber auch Pascale Cancik sind bei ihrer Analyse von Untersuchungsausschüssen noch auf einen weiteren Aspekt gestoßen. So sei es bemerkenswert, dass vor allem die Erfahrung mit Koalitionsregierungen gezeigt habe, dass sich das Macht- und Gestaltungszentrum häufig in den Parteispitzen konzentriert und die miteinander vereinbarten Koalitionsvorhaben in den regelmäßig stattfindenden Koalitionsrunden sowie in den Ausschusssitzungen nur noch konkretisiert werden. Dementsprechend seien, so P. Cancik weiter, die Handlungsspielräume sowohl der Regierung als auch des Bundestags insgesamt schon sehr früh vorherbestimmt, die Kontrollfunktion der parlamentarischen Mehrheit gegenüber Regierung damit noch stärker eingeschränkt. Aus diesem Grunde habe die Kontrolle der Regierung durch die Oppositionsfraktionen in der Öffentlichkeit eine umso größere Bedeutung erlangt, um damit letztlich auch den Grundsatz der Demokratie zu wahren. „Je kleiner die Opposition ist, desto stärker müssen ihre Rechte sein“, stellte denn auch der Abgeordnete von Bündnis 90/Die Grünen, Konstantin von Notz, in der Debatte am 13. Februar 2014 fest. Vor diesem Hintergrund zeigt sich einmal mehr, welche Bedeutung das Recht auf Einsetzung eines Untersuchungsausschusses für die Opposition vor allem in den Zeiten einer Großen Koalition hat.

3. Verfassungsrechtliche Frage: Darf der Deutsche Bundestag einen Untersuchungsausschuss auf Antrag der Abgeordneten einsetzen, die weniger als ein Viertel der gesamten Bundestagsmitglieder bilden?

Laut Artikel 44 I 1 GG muss der Bundestag einen Untersuchungsausschuss einsetzen, wenn das von einem Viertel der Abgeordneten gefordert wird. Fraglich ist zunächst darum, ob das auch im Falle eines geringeren Quorums möglich ist, wenn also weniger als 25 Prozent der Abgeordneten solch einen Untersuchungsausschuss fordern. Vor dem Hintergrund dieser Frage stellt sich deshalb eine umso dringendere Frage: Inwieweit war die entsprechende Änderung der Geschäftsordnung des Deutschen Bundestages am 3. April 2014 mit den Stimmen der Großen Koalition und der Fraktion von Bündnis 90/Die Grünen überhaupt Verfassungskonform? Die Oppositionsfraktion Die Linke hat hier jedenfalls Zweifel angemeldet. In der Debatte anlässlich der Änderung der Geschäftsordnung am 3. April 2014 stellte die Abgeordnete der Linksfraktion, Petra Sitte, fest, dass „zur Einrichtung eines Untersuchungsausschusses das Grundgesetz ganz klar die Zustimmung eines Viertels der Mitglieder des Bundestages" erforderlich sei. Sie forderte deshalb: „Wenn dieses Quorum nun gesenkt werden soll, dann muss [auch, d. V.] über eine Änderung der einschlägigen Gesetze, insbesondere des Grundgesetzes, nachgedacht werden."

Allerdings: Was für die Linke „sonnenklar" scheint, lässt sich dem Wortlaut im Artikel 44 II 1 GG nicht zwingend entnehmen. So heißt es nämlich dort: „Der Bundestag hat das Recht und auf Antrag eines Viertels seiner Mitglieder die Pflicht, einen Untersuchungsausschuss einzusetzen […]". Das heißt, der Bundestag hat einerseits das Recht, einen Untersuchungsausschuss bereits auf Wunsch eines einzigen Angeordneten einzusetzen, wie auch die Verfassungsrechtlerin P. Cancik in ihrem Kommentar feststellt , und andererseits hat er die Pflicht bei einer entsprechenden Forderung von mindestens einem Viertel aller Abgeordneten einen Untersuchungsausschuss einzusetzen. Die Bedeutung liegt hier auf der Konjunktion „und". Dementsprechend hat das Grundgesetz auch nur einen „Mindeststandard" festgelegt, um die Rechte der Minderheiten im Bundestag zu schützen. Vor diesem Hintergrund steht es dem Bundestag frei, für die Einsetzung eines Untersuchungsausschusses auch ein niedrigeres Quorum festzulegen – er handelt hier im Rahmen seiner sogenannten Geschäftsordnungsautonomie , wie sie in Artikel 40 I 2 GG formuliert ist. Aus diesem Grunde darf der Bundestag konkrete Einsetzungsbeschlüsse für einen Untersuchungsausschuss regeln, indem er „eine kleinere Minderheit als qualifizierte Einsetzungs-Minderheit" ansehe.

4. Verfassungsrechtliche Anpassungspflicht des Bundestages

Dr. Pascale Cancik stellt in ihrem Artikel über die parlamentarischen Minderheitsrechte darüber hinaus die Frage, ob der Bundestag sogar eine verfassungsrechtliche Pflicht hat, „die Definition der Einsetzungsminderheit an die Sonderkonstellation der qualifizierten Großen Koalition anzupassen." In ihrer Argumentation stützt sich Frau Dr. Cancik u. a. auf einen Fall, den das BVerfG verhandelte. So hatte das BVerfG seinerzeit entschieden, dass die parlamentarische Opposition in der Ausübung ihrer Kontrollinstrumente – hier ging es um die Einsetzung einer Enquête-Kommission – nicht behindert werden dürfe, wenn dieses Mittel der Opposition „in erster Linie im Interesse des demokratischen Staates […] in die Hand gegeben ist."

In der aktuellen Großen Koalition waren vor Änderung der Geschäftsordnung des Deutschen Bundestages die Mehrheitsverhältnisse ebenfalls ein Hindernis für die parlamentarische Opposition/Minderheit bei der Ausübung ihrer Rechte z.B. einen Untersuchungsausschuss einzusetzen. Da aber die Inanspruchnahme der parlamentarischen Minderheitsrechte unbedingt auch im Interesse der bundesdeutschen Demokratie, im Interesse ihrer Verfassung liegt, wie zuvor ausgeführt wurde, könnte man mit P. Cancik sagen, dass die enorme Mehrheit der Großen Koalition die Rechte der Opposition nicht behindern darf. „Das Recht der Mehrheit zur Einsetzung eines Untersuchungsausschusses muss daher in oppositionsermöglichender Weise ausgeübt werden." Sie begründet diese These unter anderem mit Art. 38 I 2 GG, wonach alle Abgeordneten das Recht auf gleiche Teilhabe am parlamentarischen Prozess haben. Sei es anerkannt, dass das Untersuchungsrecht eine wesentlichste Aufgaben des Parlaments sei, jedoch in der aktuellen Mehrheitskonstellation hätte der die Opposition bei unterlassener Änderung der Geschäftsordnung so gut wie jegliche Möglichkeit gefehlt, ihr Recht über eine ganze Legislaturperiode hinweg auszuüben. So kommt denn auch P. Cancik in ihrer Untersuchung zu dem Schluss, dass den Oppositionsabgeordneten „die Mitwirkung an einer wesentlichen parlamentarischen Wirkungsmöglichkeit genommen" worden wäre.

Angemerkt sei an dieser Stelle aber, dass die Kontrolle der Regierung nicht nur Aufgabe der Opposition ist, sondern Aufgabe des gesamten Bundestages. Darauf hat zu Recht auch der Parlamentarische Geschäftsführer der CDU/CSU-Fraktion, Michael Grosse-Brömer (CDU), in der Debatte am 13. Februar 2014 im Bundestag hingew-

wiesen. So stellte er unter anderem fest: „Selten geht ein Gesetzentwurf so aus dem Parlament heraus, wie er hereingekommen ist. Daran sind häufig die Fraktionen beteiligt, die die Mehrheit haben."

Das ist im Grundsatz richtig und gewiss auch wünschenswert. Dass die Praxis häufig jedoch auch anders aussieht, ließ sich allerdings auch aus der auf Seite 9 und 10 dargestellten Tabellen deutlich entnehmen: Von 13 Untersuchungsausschüssen, die seit der Wiedervereinigung der Bundesrepublik Deutschland eingerichtet wurden, waren es immerhin acht, die allein auf Antrag der Oppositionsfraktionen eingesetzt wurde. Und das mag gewiss daran liegen, dass es nicht immer im natürlichen Interesse der Regierungsfraktionen liegt, ihre Regierung in der Art und Weise zu kontrollieren, wie das bei jenen Fraktionen der Fall ist, die die Regierung nicht mittragen. Und so wundert es nicht, wenn in derselben Debatte der Abgeordnete der Fraktion von Bündnis 90/Die Grünen, Konstantin von Notz, zu dem Schluss gelangt: „Es ist originäre Aufgabe des Parlaments, die Regierung zu kontrollieren […]. Aber klar ist auch, dass dabei naturgemäß die Abgeordneten der Opposition etwas ehrgeiziger sind als die der Koalition."

